ლიტერატურული გაზეთი

№5 (213) 9 - 22 მარტი 2018 | გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკევობით | ფასი 80 თეთრი

ზაზა ბიბილაშვილი

პოეზია, დანარჩენი ლიტერატურა, და დანარჩენი

2017

*

პოეზია უარს ამბობს ენაზე.

დასკვნა ეფუძნება პრაქტიკულ პოეტურ ცხოვრებაში შემჩნეულ ტენდენციას — აღარ იყოს პოეზიისთვის მნიშვნელოვანი იმ ენის თავისებურებები, შესაძლებლობები და ა. შ. რომელზეც ის იქმნება; საბოლოო ჯამში, აღარ იყოს მისთვის ადრინდელივით მნიშვნელოვანი, ზოგადად, ეს ენა.

*

ერთნი ხომ ამბობენ — პოლიტიკა ბინძური საქმეაო. მეორენი ხომ პასუხობენ — თავისთავად ბინძური არ არის, გააჩნია, ვინ აკეთებს, და როცა ბინძური ადამიანები აკეთებენ, ე, მაშინ არის ბინძური საქმეო.

შესაძლოა, პოეზიაც არ არის თავისთავად სისულელე, ნარცისიზმი, პათეტიკა, ცინგლიანი სენტიმენტალიზმი...

*

რა უცნაურია:

ზოგი რომ ლექსებისთვის ვერ იცლის, ეგეც პოეზიის ტკივილია და ზოგი რომ ლექსებისთვის იცლის, ეგეც·

*

რა ჯობია — სიზარმაცით რომ აზარალებ პოეზიას, თუ შრომისმოყვარეობით?

*

რითმიან ლექსს რითმა მაინც აქვს...

*

ეს რითმაც რა უცნაური რამეა: ამას ხელს უშლის, იმას ხელს უწყობს...

*

რას აირჩევ საჩვენებლად, ეგ კიდევ სხვაა. ისე კი, რაღაც თითქმის არსაჩვენებლის ან სულაც არსაჩვენებლის ჩვენებაც არის პოეზიის ერთ-ერთი მახასიათებელი.

პაატა ნაცვლიშვილი

ანაგრამები და ნაგრამები

და შესაკრებთა სხვა მიმონაცვლებანი

ნიჭი

თუ ყველაფერი გაიგე მწყემსებისა და ცხვრებისო,
ნიჭი გქონია, ძამიკო, ქრისტესმიერი ცხოვრების.

მასპინძლური

შენ ამ ღვინის გემო ნახე,
შენ ამ ღვინის ფერი მიქე...
მოიწონებ – თამადა ხარ, თუ არადა, – მერიქიფე!

წყალი პირში!

სიყვარული კაბალური და დუმილი კამბალური...
ვთხოვ, კამბალას, მაპატიოს,
ეს თევზური კალამბური!

საქმე ვქმენ საჭოჭმანები

ოთთთთხმაგი შიუთთთთელრაიმი

ყვავს და ყორანს საერთო აქვთ
სიყვარული ბახალათა,
კატას სუნი ურჩევნია თაგვებს კატაბალახათა,
რად მომინდა ცდა ფორმათა ასე უცებ ახალათა;
რა ჯანდაბად ავიტეხე ეს ამხელა ხათაბალა!

ჰოსპიტალი

გადაგირჩინა დედ-მამა
ერთმა კეთილმა მედდამა.

მაჯამა-ანაგრამა ანას

იამაყე ანაგრამით –
წინაპრებით და ნაგრამით,
არ დაეჭვდე, ანა, გრამით,
გაიხარე ანაგრამით –
იმით – არა, გარნა ამით!

IV-VI

სოსო მეშველიანი

ანუ, ახლა რაზეც ვწერ

რძის ხუთი ყლუპი

უკვე ერთი თვე იყო გასული, რაც ასაკით მამაჩემზე უფროს კაცთან ერთად ვცხოვრობდი მთაში. მარტო ჩვენ ორნი ვიყავით, საშინლად მომწყინდა. სადღაც ჩაღრმავებულ ადგილას გვეყენა ნახირი. გრძელი აღმართის ამოვლა მეზარებოდა, სხვა მთებში რომ გადავსულიყავი, სადაც ახალგაზრდები იყვნენ. ერთ დღესაც, საღამოხანს, ქედზე, ადამიანის სიშორისგან დაპატარავებულ, ფორმადაკარგულ ლანდს მოვკარი თვალი — ეს უბრალო რამეც ისე გამიხარდა, თითქოს მანამდე მთელ სამყაროში მარტო ვიყავი. შეჩერდა, ძახილის მაგვარი რაღაც გავარჩიე ჩანჩქერების შხუილში, ხმით, ცხადია, ვერ ვიცნობდი, მაგრამ ნაცნობის გარდა იქ არავინ ამოივლიდა. დავიძაბე, რაღაც სიტყვებს ვარჩევდი: „ხვალ“... „მამაშენი“... „ამოსვლა“... შევიკუმშე და ისეთი ხმა ამომხდა, მე თვითონ დავფრთხი — მამაჩემი ამოდის?.. აი, უცნაური! ლანდი უკვე იქ არ იყო და მერეღა მოაღწია. „ხოო... ხოოო“... სიხარულისგან ხტუნვა დავიწყე, უკვე არ მაინტერესებდა, მანამდე რას იტყოდა — ისე კი, კაი ხანი იქაქანა. დილით ხუთზე ავდექი, ძროხები ჩამოვწველე, ყველი ამოვიყვანე, ზურგჩანთას ვეცი და გავვარდი. შუა აღმართი რომ ავიარე, უკვე კარგად გათენებული იყო, ვიფიქრე — „ასე ადრე რა მინდა სახლში, მამაჩემი მაინც იმიტომ ამოდის ამ ქედის გადაღმა, რომ დათიბოს, მაინც გზად არის. გავალ ცოტა ხანს წავიმუშავებ“. ცელი და მისი ყველა „ატრიბუტიკა“ იქ გვქონდა დამალული. მივაღწიე — სწრაფი სიარულისგან ისე მქონდა სხეული გახურებული, შუაცეცხლის კვამლით გაჭვარტლული ქურთუკი რომ გავიძვრე, დილის შეციებული ნიავი აშიშინდა ოფლიან მკერდზე. შევუდექი თიბვას. უცებ ვიღაც გამოჩნდა — გრიშა ძიაც (ყველასთვის რატომღაც „მაკო“) წამოსულა სათიბში (კაცი, ვისთანაც ვცხოვრობდი მთელი ეს თვეები), უაღრესად პატიოსანი, გამრჯე კაცი იყო, მაგრამ დალევა უყვარდა. დედაჩემი სულ მასთან მატანდა თავის განთქმულ ანწლის და ჭანჭურის არაყს, ორ დღეში რომ უღებდა ბოლოს. მერე უკვე უხასიათობისგან ხმასაც არ მცემდა. ცელი იყო გამოსაკვერი. პატარა ვაკე მოვძებნე, უხეში შამბი და ღერღი მოვცელე — უცებ რაღაცამ გაიჩხაკუნა, შუშის ბოთლი იყო, რაღაც გამჭვირვალე სითხით სავსე. მოვხადე თავი — არაყი. ან მონადირეებს დარჩათ, ან მამაჩემს (აბა, გრიშა ძიას ნამდვილად არ დარჩებოდა). დავუძახე, მისი იმ რეაქციის და სიხარულით სავსე თვალების აღწერას, სულ ცოტა, ჩეხოვი თუ შეძლებს. მაშინვე გახსნა ზურგჩანთა, ამოიღო ყველი, ცელოფანში გახვეული ღომი, ობჩამოთლილი, განახევრებული პური და იქვე ბუერის ფოთლებზე დაალაგა. გადაკრა, ღომი და ყველი მიაყოლა და გადმომაწოდა. ცოტა მოვსვი. უჭმელი ვიყავი, არც მშიოდა, მაგრამ რამე ხომ უნდა მიმეყოლებია?! მომერიდა, ვიუარე — მე სახლში მივდიოდი, იმას ელეოდა საგზალი. ისევ ცოტა მოვსვი, მერე ისევ ცოტა და... მივხდი, უკვე არანაირი თიბვის თავი არ მქონდა. წამოვდექი, ნაჩქარევად დავემშვიდობე და დავეშვი თავდაღმართში. მერე ტყეში შევედი. ცოტა ხანში ისე მომეთენთა სხეული, უცებ ისე მტაცებელივით დამეცა შიმშილი, ასეთი რამ მანამდე არ მახსოვს — მუხლებიც პლასტელინივით მეღუნებოდა ყველა მხარეს. ჩამოვჯექი. მერე ისევ გავიარე ცოტა. ისევ ჩამოვჯექი. თან ჯერ მაყვლის ბუჩქებში მწიფე მაყვალს დავუწყე ძებნა — ვერაფერი. მერე რძიან მჭადა სოკოს ვეძებდი (რომელიც უმად იჭმევა). ვერც ის ვნახე. ასე ჩავაღწიე თხილნარამდე, სადაც ადრე პატარა საკარტოფილე ნაკვეთი გვქონდა. იქ ზარის წკრიალი გავიგონე. ხმით მივხვდი, რომ ჟორაილას პირუტყვი იყო სადღაც ახლოს (მთაში არ დაჰყავდა). მივედი, ერთ თვინიერ ძროხას მივადექი, ახლად ჩამოწველილი იყო, მაგრამ რამდენიმე ყლუპი მაინც ჩავიწველე პირში და შემოვლითი გზით თავდაღმართში დავეშვი.

XII-XIII

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნონა კუპრეიშვილი

რევოლუციის ეროსი

ეს იღბლიანად ნაპოვნი სათაური (პიკასოც კი ამბობდა თურმე, მე არაფერს ვქმნი, მხოლოდ ვპოულობო) ზედმიწევნითი სიზუსტით ასახავს ჩვენი საუბრის თემას. კერძოდ, რუსეთში 1917 წლის ოქტომბრის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ ხელისუფლებაში მოსული ბოლშევიკების დამოკიდებულებას ახალი საბჭოთა ადამიანის ოჯახური, განსაკუთრებით კი მისი სექსუალური ცხოვრებისადმი და ამ ცვლილების რეპრეზენტირებას მაშინდელი ქართული მხატვრული პროზის ორ სრულიად განსხვავებულ ტექსტში. იმ ერთობ უცნაურმა ეგზალტაციამ, რომელიც მაშინ მასების ვულკანური ენერგიის გამოთავისუფლებას მოჰყვა, შესაძლოა ყველაზე მეტად სწორედ ამ საკითხის რევოლუციური სიტლანქით გადაჭრაში იჩინა თავი.

ბოლშევიკებმა, რომლებიც პირველ ეტაპზე მსოფლიო რევოლუციის იდეით იყვნენ შეპყრობილნი და თავი ლამის სამყაროს პირველშემქმნელებად წარმოედგინათ („ძველის ნანგრევებზე ჩვენ ავაშენებთ ახალს“), მშვიდობისა და მიწის დეკრეტების შემდეგ გამოსცეს დეკრეტი ოჯახისა და ქორწინების შესახებ. საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ეს ინიციატივა საბჭოთა მთავრობის მშრომელთა ყოველდღიურ ცხოვრებაზე ზრუნვადაა შეფასებული მაშინ, როდესაც რეალურად ვითარება საკმაოდ ორაზროვანი იყო.

ანარქისტულად განწყობილი მეზღვაურები, საეჭვო წარმომავლობის სხვადასხვა მარგინალი, აშკარა ბოროტმოქმედები, რომლებიც ცენტრსა და პერიფერიებში ხელისუფლების სათავეში მოექცნენ (ისინი განსაკუთრებით ეგრეთ წოდებულ „ჩერეზვიჩაიკებს“, ანუ საგანგებო კომისარიატებს მიეძალნენ), თავიანთი სულიერი და გონებრივი შესაძლებლობების ფარგლებში ახდენდნენ მიღებული კანონების ინტერპრეტირებას. ერთობ უცნაურად იქნა აღქმული ზემოთ ნახსენები დეკრეტიც. იგი, არც მეტი, არც ნაკლები, ქალთა სოციალიზაციად, ქალის ბურჟუაზიული წარსულის გადმონაშთებისგან, კერძოდ კი ოჯახის წნეხისგან, სრულ გათავისუფლებად, მისთვის „აქამდე აკრძალული სექსუალური თავისუფლების“ მიღების საშუალებად გამოცხადდა. საკმარისია, გაეცნოთ ვლადიმირ-სარატოვის, როსტოვისა თუ ტამბოვ-ვოლოგდის ნოვაციური კანონშემოქმედების ნიმუშებს (ცოტა მოგვიანებით, კერძოდ, 1927 წელს, თბილისშიც იბეჭდება ერთი ამ ტიპის სახელმძღვანელო — ვ. ფანცხავა, ვ. ლორთქიფანიძე „ტფილისის მუშა-ახალგაზრდობის სქესობრივი ყოფა-ცხოვრება“) 18-დან 32 წლამდე „ქალთა ნაციონალიზაციისა“ და მათი „გადანაწილების“ შესახებ, კომკავშირელი ქალის კომკავშირელ ვაჟთან თანაცხოვრების მოვალეობაზე, თავისუფალი სიყვარულის დღეების დაწესებაზე, სექსუალური კომუნების შექმნის აუცილებლობაზე, რომ დღევანდელი მოთხოვნები და თვით ავტორიტეტული ეგრეთ წოდებული „შვედური ოჯახებიც“ კი ზედმეტად ლიბერალურად მოგეჩვენებათ. ამიტომაც 1918 წლის უცხოურ პრესაში გამოჩნდა წერილები სათაურებით: „ბოლშევიკების მიერ ქალთა ექსპროპრიაცია“, „ბოლშევიკები ტაბუს ადებენ ოჯახის შექმნას“, „პოლიგამია საბჭოურად“, „სოციალიზმმა დააკანონა პროსტიტუცია“, „ბოლშევიკებმა რუსეთი ცივილიზაციის მიღმა გადაისროლეს“ და სხვა. დღევანდელ რუს ისტორიკოსთა ნაწილი ამგვარ რეაქციას რევოლუციის დაუძინებელ მტერთა ხრიკებად მიიჩნევს, ხოლო თავად პრობლემას მითის კატეგორიას ანიჭებს. რაც შეეხება ოფიციოზს, მათი აზრით, იგი შორს იყო ასეთი არასერიოზულობისგან. არადა, ვლადიმერ ლენინმა ჯერ კიდევ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მესამე ყრილობაზე საგანგებოდ მიაქცია ყურადღება რევოლუციის გამარჯვების შემთხვევაში მოსალოდნელი „მგრძნობელობის ბუნტით“ გონივრული მანიპულირების მნიშვნელობას. 1904 წელს იგი წერდა: „მგრძნობელობის გამოთავისუფლება, რომელიც არ შეეწირება ფსევდოოჯახურ ფასეულობებს, დიახაც წაადგება სოციალიზმის გამარჯვების საქმეს“... ამასთან, დღეს უკვე ბევრი რამაა ცნობილი მომავალში პარტოკრატებად ქცეული რევოლუციის მამების პირადი ცხოვრების შესახებ, რომელიც ზებუნებრიობით არ გამოირჩევა და არაერთი ადამიანური სისუსტითაც იყო გაჯერებული.

გამოდის, რომ საქმეს ისე მაინც ვერ წარმოვადგენთ, თითქოს ბოლშევიკების ლიდერებმა მსგავსი გადახრების ან პერვერსიების შესახებ თითქმის არაფერი იცოდნენ. სულაც პირუკუ. დავიმოწმოთ კიდევ ერთი მაგალითი სხვა მასალიდან: ავსტრიელ-ამერიკელი ფსიქოლოგი, ფროიდის მოწაფე და ევროპული ფსიქოანალიზის სკოლის ერთ-ერთი შემქმნელი ვილჰელმ რაიხი (1897-1957) თავის ნაშრომში „სექსუალური რევოლუცია“ (პირველად გამოიცა 1934 წელს) იმოწმებს ლევ ტროცკისა და ვლადიმერ ლენინის მიმოწერის ასეთ ფრაგმენტს: ტროცკი: „უეჭველია, სექსუალური ძალადობა ადამიანის ჩაგვრის უმთავრესი საშუალებაა. სანამ არსებობს ამგვარი რამ, საუბარიც კი ზედმეტია ნამდვილ თავისუფლებაზე. ოჯახმა, როგორც ბურჟუაზიულმა ინსტიტუტმა, სრულად ამოწურა თავისი თავი. ამის შესახებ ხშირად უნდა ვესაუბროთ მუშებს...“ რაზედაც ლენინი პასუხობს: „...და არა მარტო ოჯახი. უნდა მოიხსნას სექსუალობასთან დაკავშირებული ყველა აკრძალვა... ჩვენ ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ სუფრაჟისტებისგან“. და ეს, როგორც ვნახეთ, ერთადერთი თეორიული გამონათქვამი არ იყო. სწავლება კი შეიძლებოდა არა მარტო სუფრაჟისტებისგან, არამედ უპირველესად მარქსიზმის კლასიკოსებისგან, რომლებიც ჯერ კიდევ „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“ (1847) ახდენდნენ მომავლის იმგვარი საზოგადოების დეკლარირებას, რომელშიც გადაფასდებოდა ბურჟუაზიული სოციალური ინსტიტუტების, მათ შორის, პირველ ყოვლისა, ოჯახის, ძველი ფორმით არსებობის მიზანშეწონილობა (თუმცა ლევან ბრეგაძემ პრობლემის სიღრმეში ჩაგვახედა. მან მანიფესტის ავტორთა იმგვარ თავისმართლებას მიაქცია ყურადღება, სადაც ამ საკამათო ნოვაციის საფუძვლად ბურჟაზიული ოჯახის ძველისძველი ამორალურობაა მიჩნეული. აი, ეს ციტატაც: „მეტად სასაცილოა ჩვენი ბურჟუების მაღალზნეობრივი ძრწოლა, თითქოს კომუნისტებში ოფიციალური საზიარო ცოლობა არსებობდეს. კომუნისტებს არ სჭირდებათ საზიარო ცოლობის შემოღება; იგი თითქმის მუდმივად არსებობდა... ჩვენი ბურჟუები განსაკუთრებულ სიამოვნებას იმაში პოულობენ, რომ ერთმანეთის ცოლებს შეაცდენენ ხოლმე...“). ასეა თუ ისე, რევოლუციურ რუსეთში დიდი ენთუზიაზმით აიტაცეს ეს შეფასება და მას შემოქმედებითადაც მიუდგნენ. შედეგად, ლევ ტროცკის პარტიის ერთ-ერთი წევრის, ვინმე ტეიტლანის ცნობას თუ მოვიშველიებთ, ოჯახის ცნება ჩანაცვლებულ იქნა „მეწყვილეთა“ ცნებით, ამიტომაც რუსეთის მსხვილ ქალაქებში ოჯახებს სწორედ „მეწყვილენი“ სჭარბობდნენ.

რაც შეეხება სუფრაჟისტებს, მათ აშკარად გადააჭარბეს ცნობილმა რევოლუციონერმა ქალებმა, ალექსანდრა კოლონტაიმ, ლარისა რეისნერმა, ინესა არმანდმა, რომლებსაც „რევოლუციის ვალკირიებს“ უწოდებენ არა მარტო მათი იდეების, არამე უფრო მათივე მჩქეფარე პირადი ცხოვრების გამო. ლენინის მთავრობის სახკომი, რკპბ ცკ-ის ქალთა განყოფილების („ჟენოტდელის“) ხელმძღვანელი, მოგვიანებით კი სსრკ-ს ელჩი ნორვეგიასა და მექსიკაში, ალექსანდრა კოლონტაი, მაგალითად, ისევე, როგორც ინესა არმანდი, ერთობ თავისუფალი მორალით გამოირჩეოდა. ყრილობებზე წარმოთქმულ სიტყვებში, სტატიებსა თუ ბროშურებში იგი ილაშქრებდა ლეგალური ქორწინების წინააღმდეგ, უწოდებდა რა მას „დიდ გაუგებრობას“ და პროპაგანდას უწევდა „სასიყვარულო თამაშების“ სხვადასხვა ფორმას მთავარი ლოზუნგით: „მიეცით გზა ფრთიან ეროსს!“ კოლონტაი მუდმივად სვამდა აქცენტს არსებულ სექსუალურ დისპოზიციებზე და ოსტატურად მანიპულირებდა ამ დროს წარმოქმნილი „ჭიქა წყლის სახელით“ ცნობილი სიყვარულის თეორიითაც, რომლის ძირითადი პრინციპი ასე ჟღერდა: „სექსუალური მოთხოვნილება ისეთივე ბუნებრივია, როგორც ჭიქა წყლის დალევა და იგი იმავე სიმარტივით უნდა დავიკმაყოფილოთ“. ამასთან, მოითხოვდა სექსუალური ცოდნის სკოლებში შეტანას, რადგან ამ გზით, მისი აზრით, მკვეთრად შემცირდებოდა ნაადრევ ქორწინებათა რიცხვი (აი, ამ იდეის სისწორე კი, ვფიქრობ, დრომ დაადასტურა). რაც შეეხება ინესა არმანდს, მისი „სიყვარულისა და ვერაგობის“ ისტორიის აღწერას დიდი რომანისტის კალამი სჭირდება...

ერთსა და იმავე დროსა და სივრცეში თანაარსებობა რევოლუციური დროისთვის დამახასიათებელი ურთიერთგამომრიცხავი მოვლენებისა, რუსი სიურეალისტი და აბსურდისტი მწერლის დანიილ ჰარმსის (1905-1942) მიერ საკუთარ პიესებში გადმოტანილი,სწორედ რომ აბსურდის თეატრის პრინციპებით ვითარდებოდა. ერთი შეხედვით, ძნელი დასაჯერებელია, რომ სამოქალაქო ომისა და საყოველთაო ნგრევის წლებში პეტერბურგსა და მოსკოვში (და ასეთი რამ 20-იანი წლების თბილისშიც ხდებოდა) სრულიად შიშველ ქალთა მცირერიცხოვანი ჯგუფები (მათ მხოლოდ წითელი ლენტები ამშვენებდა წარწერით ДОЛОЙ СТЫД!) ახალი მორალის დასაცავად საჩვენებელ დემონსტრაციებს მართავდნენ. ცხოვრების ფსკერიდან ამოხეთქილი სოციალური რევანშიზმის დამანგრეველი ძალა და სისხლის ტბები, რომლებიც გარშემო იდგა, მათ, როგორც ჩანს, სრულიადაც არ აფერხებდა. მაშინდელ სისასტიკეზე ობიექტურად მოგვითხრობს (ვგულისხმობ წითელი და თეთრი ტერორის ერთიან სოციალ-პოლიტიკურ სივრცეში გააზრებას) ემიგრაციაში წასული რუსი ისტორიკოსი სერგეი პეტრეს ძე მელგუნოვი (1879-1956) წიგნში „წითელი ტერორი რუსეთში“ (პირველად გამოიცა გერმანიაში 1923 წელს, 1975-ში კი ნიუ-იორკში. არ იქნებოდა ურიგო, ეს წიგნი ქართულადაც თარგმნილიყო). ავტორი არაერთ უმტკივნეულეს საკითხთან ერთად ჩვენთვის საინტერესო თემასაც ეხება: „რაც შეეხება ამ ყბადაღებულ „ქალთა სოციალიზაციას“ და „თავისუფალი სიყვარულის დღეებს“, რომელმაც ბოლშევიკური და არაბოლშევიკური პრესის ქირქილი გამოიწვია, როგორც ადგილებზე განუკითხაობის ფაქტები, აუცილებლად მოხდებოდა“. მართლაც ასეა. მით უფრო, თუ კიდევ ერთ გარემოებას გავითვალისწინებთ: მთელი ეს დეკონსტრუქცია ან დეკონსტრუქციის მცდელობა ვერ იქნებოდა მხოლოდ თეორიულ-მსჯელობითი ხასიათის, რადგან მას ნათლად გამოკვეთილი პოლიტიკური მიზნებიც ჰქონდა. „ნეპის“ პირობებში ბოლშევიკებს ძალიან სჭირდებოდათ დემოკრატიისა და პიროვნული თავისუფლების ილუზიის შექმნა. ამ ანკეესს კი, როგორც ცნობილია, ჯონ რიდითა და ჰერბერტ უელსით დაწყებული არაერთი ცნობილი ევროპელი მოაზროვნე და, ასე განსაჯეთ, წარმატებული ბიზნესმენიც კი წამოეგო.

უკანასკნელ პერიოდში საქართველოს გასაბჭოების ფორმებზე ანალიტიკური საუბრის დროს მწერლები, ისტორიკოსები და სოციოლოგები ხაზგასმით მიუთითებენ სოციალ-დემოკრატიული იდეებით შეპყრობილი გასული საუკუნის 10-20-იანი წლების (და, თუ გნებავთ მოგვიანებითაც, „გამარჯვებული სოციალიზმის მშენებელი“), ჩვენი საზოგადოებისთვის ოჯახის, როგორც დამცავი მექანიზმის, როლზე. ისტორიული დროის დიდი მონაკვეთის მანძილზე სახელმწიფოებრიობის გარეშე მცხოვრებ ქართველობას ავად თუ კარგად ოჯახი იცავდა და ეს ფუნქცია მან, იდეალურიდან საკმაოდ დაშორებული ფორმის მიუხედავად, საბჭოთა რეჟიმის თითქმის ოთხმოცწლიანი არსებობის სხვადასხვა ეტაპზეც შეასრულა. ქართველი ბოლშევიკები ხომ ბრმად ბაძავდნენ ცენტრს, ღებულობდნენ და ასრულებდნენ მის ყველა დავალებას და ვინ იცის, რომ არა 30-იან წლებში რევოლუციური ეროსის დაცხრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მა, საბჭოთა საზოგადოების დეეროტიზაცია (პარტიამ გადაწყვიტა, რომ ინდუსტიალიზაციის მშენებლობას მგრძნობელობის გაღვივება ხელს შეუშლიდა), რა მიმართულებით განვითარდებოდა ჩვენი საზოგადოება. ამ მოსაზრების ილუსტრირებას ვხედავთ რადიკალურად განსხვავებულ პოზიციებზე მდგარი ორი ქართველი პროზაიკოსის, მიხეილ ჯავახიშვილისა და კონსტანტინე ლორთქიფანიძის, მხატვრულ ნარატივში.

1929 წელს თბილისში გამომცემლობა „შრომამ“ გამოაქვეყნა ახალგაზრდა პროლეტარი მწერლის კონსტანტინე ლორთქიფანიძის მოთხრობა „პირველი დედა“. კონსტანტინე ლორთქიფანიძე ნიჭიერი, თუმცა იდეოლოგიურად უკიდურესად ანგაჟირებული მწერალი იყო. იგი იმ თაობას ეკუთვნოდა, რომელმაც შვება მხოლოდ წინა თაობის დიდოსტატების საფლავებზე შედგომის შემდეგ იგრძნო. როგორ ჩანს, მას იმთავითვე მომადლებული ჰქონდა ქარის მიმართულების ზუსტად შემგრძნობი ფლუგელის ალღოც, რაც იმ დროს ძალიან სასარგებლო თვისება იყო. ამას მოწმობს მისი ადრეული პოეზიის არაერთი ნიმუში (რად ღირს თუნდაც წარსულისგან აქამდე არნახული თვითგამიჯვნა ან უდანაშაულო ადამიანების დასახვრეტად გადამყვანი სატვირთო მანქანის „ქებათა-ქება“) და მთავარი ტექსტიც, რომანი „კოლხეთის ცისკარი“, რომელმაც კორექტირება, შეიძლება ასეც ითქვას, ცკ-ას საეტაპო დადგენილებების მიხედვით განიცადა.

„პირველი დედა“ დაწერილია სწორედ იმ დროს, როდესაც პროლეტმწერალთა ავანგარდში მდგარი კონსტანტინე ლორთქიფანიძე პოეზიიდან პროზაზე გადაერთო (ისევ და ისევ პარტიის კარნახით, რომელიც ახალი გმირული ცხოვრების ამსახველ ალტერნატიულ ტექსტებს ითხოვდა) და აქტიურად ბაძავდა მის მიერ მრავალგზის უარყოფილ წინამორბედებს, განსაკუთრებით კი მიხეილ ჯავახიშვილს (მოთხრობები „ხავსი“, „გუგა როგავა“, რომელიც მოგვიანებით რომანადაც იქცა და „ხავსის“ სათაური დაისაკუთრა). უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ იგი გამონაკლისს სულაც არ წარმოადგენდა.

მართალია, კონსტანტინე ლორთქიფანიძე ჯერ კიდევ ვერ აყალიბებს რამდენადმე ნათელ მხატვრულ ამოცანას, ძნელად კრავს სიუჟეტს და თვალშისაცემი ლექსიკური სიმწირით მხოლოდ შემოქმედებით გამოუცდელობას ავლენს, ახალგაზრდა მწერალი ხელისუფლებისთვის, როგორც თვითონ უწოდებდნენ, დამკვრელ საიმედო ძალად მიიჩნევა. „პირველ დედაში“ ავტორი ცდილობს, გვიჩვენოს ქართველი კომკავშირელი გოგონას, გაიანე მაისურაძის, ყოველდღიური ცხოვრება, რომელიც მისი სტატუსის შესაფერისად, გაუთავებელ კრებებსა და სააგიტაციო შეხვედრებზე იხარჯება. თუმცა სასიყვარულო, უფრო სწორად კი სექსუალური სურვილების, დაახლოებით „ჭიქა წყლის თეორიის“ მიხედვით, დასაკმაყოფილებლად დრო მაინც რჩება: „სქესობრივი საკითხი მისთვის ისეთივე მოთხოვნილებაა, როგორც ჰაერი, ახალი და ნოყიერი პური. სუფთა და ჯანსაღი იყოს ჰაერი, ყველგან გაძღება, ყველგან ისუნთქავს და არ ესმის გაიანეს, რატომ აძალებს ყოველი მამაკაცი მასთან, მხოლოდ მასთან ერთად ცხოვრებას, არ ესმის გაიანეს მათი საყვედურები და არც სცალია, რომ შეისმინოს...“ სხვა სიტყვებით, გაიანეს პირადი ცხოვრება „მოუმზადებელი“ მკითხველისთვის უწესრიგოა. სინამდვილეში იგი „პროგრესულია“ არა მარტო იდეურად, არამედ, ასე ვთქვათ, ფიზიოლოგიურადაც. მოულოდნელი ორსულობა ამ „ჰარმონიულობას“ არღვევს იმდენად, რამდენადაც უარყოფითად აისახება ახალგაზრდა ქალის პარტიული მომზადების დონეზე. გაიანე ხედავს, რომ ჩამორჩა გუშინდელ ამხანაგებს და ესაა მისი წუხილის ძირითადი მიზეზიც. ხელისშემშლელი ფაქტორი კი, ცხადია, ორსულობაა (ერთ-ერთი პერსონაჟი, გომბორა, ამბობს: „რა დროს ობივატელობაა (გომბორა ორსულობას ობივატელობას ეძახის — კ. ლ.). ჯერ ბრძოლა არ გათავებულა!“ — და ჩამოთვლის იმ სიმაგრეებს, რომელიც აფერხებს მსოფლიო რევოლუციის აფეთქებას“). მწერალი ბუნდოვნად წარმოსახავს გაიანეს სულიერ დისკომფორტს, მის მიწყდომ-მოწყდომას დედობასა და სანიმუშო კომკავშირელი მუშაკის პოზიციათა შორის („...მე მინდა ვიყო დედაც და მოწინავე საზოგადოებრივი მუშაკიც!“). საბოლოოდ მას სრულ გაურკვევლობაში გამოცდილი ბებიაქალის პარამონოვას კართან ვხედავთ... კონსტანტინე ლორთქიფანიძე ქალთა საკითხის ბოლშევიკური პირდაპირობით გადაწყვეტას არ ჩქარობს. იგი კარგად გრძნობს გარდამავალი პერიოდის წინააღმდეგობრიობას და სირთულეს, ამიტომაც საკითხს ღიად ტოვებს. მოგვიანებით, 60-იან წლებში, როდესაც კონსტანტინე ლორთქიფანიძე არა მარტო ოფიციოზის, არამედ „სამოციანელთა“ მიერაა აღიარებული (ოღონდ ძნელი სათქმელია, რამდენად გულწრფელი და საყოველთაო იყო ეს აღიარება), იგი მისთვის ჩვეული სამწერლო ტაქტიკით კვლავ უბრუნდება პირველდედობის თემას და საგრძნობლად დამუშავებული ამ მოთხრობის ტექსტი 1967 წელს გამოცემულ თავის ერთტომეულში შეაქვს. „პირველი დედის“ ეს ახალი რედაქცია, პირველ ყოვლისა, საინტერესოა ავტორის მხატვრული ოსტატობის ზრდისა და იდეოლოგიური სიმწიფის თვალსაზრისით. სტილური მოუქნელობა და აზრობრივი სიხისტე აქ მეტ-ნაკლებად დაძლეულია. გმირები მეტი სახეობრიობით გამოირჩევიან, იმოსებიან საკუთარი ისტორიებით. გაიანეს პროტესტიც, მიმართული ძველი საზოგადოებრივი მორალის წინააღმდეგ, ვერბალურად პიროვნული თავისუფლებისთვის ბრძოლას ან შესაძლოა, ასეც ვიფიქროთ, ოჯახის მოძველებული წესების მიუღებლობას ემსგავსება, თუმცა პრაქტიკულად მას ბევრად უფრო მეტი სექსუალური პარტნიორი ჰყავს, ვიდრე წინა რედაქციაში. უცნაურია, მაგრამ მწერალი, რომელიც ცდილობს, გაემიჯნოს საეჭვო ღირებულების ადრეული ბოლშევიკური რეფორმაციის პრაქტიკებს, 20-იან წლებში შექმნილი დეკრეტების რიტორიკას მაინც ვერ ელევა და ერთგან ერთ-ერთ პერსონაჟს, მაროს, ათქმევინებს: „ჩამციებია, თუ მეშჩანკა არა ხარ, ერთი მაკოცნინეო“ (ვლადიმირის დეკრეტში სიტყვა-სიტყვით ეწერა: თუ კომკავშირელი ქალიშვილი უარს ეტყვის კომკავშირელ ვაჟს სექსუალურ მომსახურეობაზე, ის მეშჩანი და ბურჟუიკაა). ფინალიც ბედნიერია. პარტიული კარიერაც და დედობის სიხარულიც ამ, პეტროვ-ვოდკინის „პეტროგრადის მადონას“ მსგავსად, წითელთავშლიანი ახალგაზრდა ქალისთვის შეუძლებელი სულაც

არ ჩანს. მრავალი ძიების შემდეგ გაიანე სრულყოფილი ოჯახის შექმნის ზღურბლზეა. ერთი დეტალიც: მოთხრობას თარიღად უზის 1928 წელი. ეს, ალბათ, იმისთვის, რომ მკითხველმა იფიქროს, რაოდენ დამოუკიდებელი იყო ავტორი საბჭოთა კონიუნქტურისგან და რამდენად „უმტკივნეულო“ იყო მის მიერ გამოვლილი სამწერლო გზა.

სრულიად სხვა ვითარებაა მიხეილ ჯავახიშვილთან. როგორც XX საუკუნის დასაწყისში ევროპიდან დაბრუნებული შემოქმედებითი ახალთაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი, მიხეილ ჯავახიშვილი ქალთა საკითხის სიმწვავეს სწორად აღიქვამს და იქნებ ამიტომაც ახდენს მისი ევროპული და ტრადიციული გაგების სინთეზირებას. როგორც თეიმურაზ დოიაშვილი შენიშნავს წერილში „მიხეილ ჯავახიშვილი და ფსიქოანალიზი“, ეს არ იყო ქალისა და მამაკაცის ურთიერთობის პრობლემის დამუშავების ქართულ ლიტერატურაში გაკვალული ტრადიციული გზა. სიყვარულის მორალურად განმტკიცებული დოგმატის სანაცვლოდ მწერალი ქალის პიროვნულ ხასიათში ღრმად იხედება და მის არაერთ ფარულ მხარეს ფროიდიზმზე დაყრდნობით აანალიზებს. ზოგადად, რევოლუციამდელ საქართველოში ამ მეტად მტკივნეულ თემას, იმდროინდელი ევროპული ფილოსოფიურ-ესთეტიკური აზრის ჭრილში, აქტიურად განიხილავდნენ, რასაც, ახლდა, როგორც არჩილ ჯორჯაძე შენიშნავდა, ჩვენი „ზერელე და ყალბად მორცხვი საზოგადოების“ მსგავს სიახლეებზე რეფლექსირების, რბილად რომ ვთქვათ, თავისებურება. არადა, ბევრ სხვა საკითხთან ერთად ქალის პრობლემის სწორად გააზრება „ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების სინთეტური სურათის“ მომცემი და ამდენად ქვეყნის წინსვლისთვის აუცილებელი რომანის შექმნასთანაც იყო დაკავშირებული. იგივე არჩილ ჯორჯაძე ამბობდა: არა გვაქვს რომანი, იმიტომ, რომ არა გვყავს ქალი... გასაბჭოების შემდეგ პრობლემა უფრო გაბუნდოვანდა, 30-იან წლებში კი მისმა სრულმა პოლიტიზირებამ ძიების პროცესი ჯერ შეაფერხა, შემდეგ კი სულაც მიმართულება შეუცვალა.

გავიხსენოთ, პუბლიცისტიკიდან პროზაში დაბრუნების შემდეგ მიხეილ ჯავახიშვილის კალამი უფრო მკბენარე გახდა. მის ტექსტებში ქალის მხატვრულ სახეს ახალი სოციალური პლასტი დაედო და აშკარად გროტესკულ-ალეგორიული ელფერი შეიძინა. მწერალმა, ცხადია, კარგად იცოდა იმ საბჭოური რეინტერპრეტაციების შესახებ, რომელზედაც ზემოთ ვისაუბრეთ, თუმცა, როგორც ჩანს, ეს მწარე ღიმილს გვრიდა. სწორედ ეს დამოკიდებულება ჩანს 1926 წელს გამოქვეყნებული რომანის „თეთრი საყელოს“ ერთ-ერთი პერსონაჟის, ცუცქიას, მიმართ. მიხეილ ჯავახიშვილი ამ პერსონაჟის მიმართ მარჯვედ იყენებს მისივე სექსუალური ქცევის მოდელებს, თუმცა ამით არ კმაყოფილდება და განზოგადების, სიმბოლიზების უფრო ეფექტურ საშუალებას მიმართავს. ცუცქია, როგორც ვიცით, რომანის მთავარი გმირის, ელიზბარის, ქალაქელი ცოლია. მოდურად, ანუ „პოლუბოქსით“ შეკრეჭრილი თმით, ხელში განუყრელი პაპიროსით და დაუვიწყარი რეპლიკით „ოჩენ ნადო!“ მისი არა მარტო პიროვნული სახე, არამედ პლასტიკაც ცოცხლდება (ამას დაუმატეთ ინგლისური კეპის ავლაბრულად ტარების მანერა, რუსულ-ქართულად მეტყველება, გამორჩენის მიზნით ქმართან ურცხვი ლაქუცი, პოლიტიკაზე კამათის ჟინი, „ლორიგანის სუნამო-პუდრისა და ვიქტორია ჩულქებისადმი“ დაუფარავი ლტოლვა). ცუცქია იქნებ ყველაზე მეტად განასახიერებს იმ საშიშროებას, რომელიც ახალ ცხოვრებას მოაქვს, რადგან თანასწორობის ლოზუნგები, რომლებსაც იგი ყველას სახეზე აფარებს, გაყალბებულია და ორლესური მახვილივით საშიში: „ცუცქიამ თანასწორობა ასე გაიგო: ყოველგვარი ვალდებულება მე დამითმო, ხოლო ყოველივე უფლება თვითონ დაისაკუთრა“. თუმცა პორტრეტირება ამით არ სრულდება. ჯავახიშვილი ამ სახეს რევოლუციურ ტრანსფორმაციათა ისეთ კონტექსტში ხედავს, სადაც „მდაბიოს ტოტალური გააზნაურება“ მარადიულ ფასეულობებს ნგრევითა და საეჭვო ღირებულებების დოქტრინათა ჩანაცვლებით ემუქრება. ამას კი თითქმის არაფერი აქვს საერთო არც ქალთა უფლებებთან და არც „ნათელი სოციალისტური მომავლის“ მშენებლობასთან. ცუცქია ელემენტარული მედროვეა: „ცუცქია გაიბერ-გამიაზნაურდა. გეგონებათ უელსის პრინცის ან დევონშირის ჰერცოგის ჩამონავალიაო... ტკიპივით მწუწნის, უსაქმობით იწენება და ოჯახში ჰარამხანას მიჩენს...“ მას არა სიყვარული, არამედ უპასუხისმგებლო ცხოვრებისა და გამორჩენის სურვილი ამოძრავებს. საინტერესოა, რომ რომანის საჟურნალო ვარიანტში („თეთრი საყელო“ პირველად 1925 წელს ჟურნალ „მნათობში“ დაიბეჭდა) ცუცუქია საერთოდ არ არის. მწერალმა იგი მოგვიანებით შემოიყვანა, მასთან დაკავშირებული ეპიზოდები კომპოზიციურად ძალზე ოსტატურად ვაჟიკად გარდასახული ელიზბარისა და ხათუთას სასიყვარულო ისტორიაში ფრაგმენტებად ჩართო და ამით ანკარა და მღვრიე წყლის ურთიერთშერევის ეფექტი შექმნა, მკითხველს კი რეალური საშუალება მისცა, შეადაროს ერთმანეთს ამ ორ ქალთან, ცუცქიასა და ხათუთასთან, დაკავშირებული ელიზბარის სულიერი თუ ფიზიკური ტყვეობიდან გათავისუფლების პერიპეტიები. ეს ზუსტი გათვლა იყო, რადგან ელიზბარის ქალაქიდან მთაში გაქცევა ცუცქიას მხატვრული სახის დამატებით უფრო მოტივირებული და დამაჯერებელი გახდა. მედროვეობის თემა ერთ-ერთი მტკივნეულ თემათაგანი იყო მიხეილ ჯავახიშვილისთვის და, ჯაყოსა და „დამპატიჟეს“ გარდა, ახალი რაკურსით მან სწორედ „თეთრ საყელოში“ გაიჟღერა.

დაბოლოს, რაღაც თავისმართლების მსგავსი: ხშირად და, ვფიქრობ, უსაფუძვლოდ გვსაყვედურობენ ხოლმე ლიტერატურის ისტორიით ზედმეტად გატაცებას ან, უფრო მეტიც, ამ ისტორიაში გარკვეული თავშესაფრის ძიებას. მიმაჩნია, ამგვარი „ვერდიქტი“ ყოველთვის არ ამართლებს, რადგან იქ, იმ გუშინდელში, ძირითადად არა „მკვდარი ბუნება“, არამედ დღევანდელობისთვის საგულისხმო არაერთი პრობლემა გვხვდება. ჩემი წერილიც ამ მოსაზრების აქტუალიზებას ეძღვნება.

ატლანტის ოკეანეში დაწერილი ლექსი
ვახტანგ ჯავახაძეს

მენატრება მიწა მეტი, ტყე მეტი და **ხ**ე **მ**ეტ**ი**,
მენატრება ანჩისხატი, ქაშვეთი და **მ**ეტ**ეხ**ი.

გოდება
მამაჩემის ერთი ქანდაკების გამო

აჰა, ხემი, **ჩ**ემო **ხ**ელო!
აატირე, **ხ**ემო, **ჩ**ელო!

ბავშვობის მონატრება

ბავშვობაში ის იყო წამალი და მა**ლ**ა**მ**ო...
ახლაც გამალოკინა ნეტა ერთი მა**მ**ა**ლ**ო!

სკოლისდროინდელი

რა კოხტად არის **გ**ა**დ**აკვეთილი
ჩემი გამოცდა **დ**ა **გ**აკვეთილი!

09.07.1989

სულია გერმანია
ანაგრამისეული!

უამინდობა რიოდეჟანეიროში

ქარმა დაჰკრა სამბა და წვიმამ დასცხო **ლ**ამბა**დ**ა,
ამ ამინდში ლაბადა, ნახე, როგორ **დ**ამბა**ლ**ა!

ყველაფერი დასწრებაზეა, მათ შორის ადგილი პიკნიკისთვის

კოხტა ადგილი, და**ვ**ა**კ**ებული,
აღმოჩნდა უკვე და**კ**ა**ვ**ებული!

მიხეილ ჭიაურელი
ვერიკო ანჯაფარიძეს

სხვა ამასთან როგორ მოვა – რის ვერელი, **რ**ა ვა**კ**ელ**ი**!
სადაც გინდა გასახელებს – ეგ დიღმელი **კ**ავა**ლ**ე**რ**ი!

პატარა ევროპული ქალაქი
ორრმაგი ტოლე**რრ**ანტული შიუთელ**რრ**აიმი

ქუჩას შვენის ფასადები შულესი და მე**დრ**ე**ს**ესი,
ერთის წინ დგას ფოლკსვაგენი, მეორის წინ – მე**რს**ე**დ**ესი!

პოეტური გეოგრაფია

მა**ლ**აიზია **ლ**ა**მ**აიზია!
ტან**ზ**ა**ნ**ია ტან**ნ**ა**ზ**ია!

ჩერნობილი

უ**კრ**ა**ინ**ა – **ურ**ა**ნ**ი**კ**ა!

სრა-სასახლეების ბინადართ

თქვენ ვით გაიგებთ, სრა-სასახლეთა ოქროსა,
გინა **ვ**ერცხლისა **მ**ყოფნი,
მე როგორ მყოფნის მერცხლის ბუდე და
მე რარიგ ბუდეს **მ**ერცხლისა **ვ**ყოფნი!

საექსკურსიო

ე! გ**ზ**ა**ბ**ილიკები...
ეგ **ბ**ა**ზ**ილიკები...

ჩაკიდული თხემების წმინდა იოანე ნათლისმცემლის სავანეში
ნაგებობის ერთი კედელი აქ კლდეა

ნახე კლდეი?
ხან – კედელი!

არ აღელდე, ბარაშკაჯან!

თუ ფოთოლი აიფარე **ლ**ე**ღ**ვის,
არ გექნება საფუძველი **ღ**ე**ლ**ვის!

მარკშეიდერი „გრენლანდიის“ ფონზე

რა გვეშველება, *აინშტაინო,*
თავზე გვემხობა *ტიანშანიო!*

რას უზიხარ მთელი დღე კომპიუტერს, ბიჭო!

გნახე გა**რ**ო**ბ**ოტებული –
დავრჩი გა**ბ**ო**რ**ოტებული!

ებრაელთათვის

მიადევნე, **რ**ებე, **თ**ვალი,
შვატი დადგა – **თ**ებე**რ**ვალი.

პაატა ნაცვლიშვილი

ანაგრამები და ნაგრამები

და შესაკრებთა სხვა მიმონაცვლებანი



საჭადრაკო ბარბარიზმი-1

თუ კუ ოფიცერს სჯობია, შახმატს სჯობია **ჭ**ად**რ**აკი.
ვერ გამიგია ვერაფრით, ტურამ მომიკლა **რ**ად **ჭ**აკი!

საჭადრაკო ბარბარიზმი-2

მეფის ირგვლივ ოფიცრებმა ქსოვეს ქსელი სა**შ**ამა**თ**ო,
არაფერი აღარ დარჩა იმ საცოდავს სა**თ**ამა**შ**ო!

მკრეხელური ფიქრი სვეტიცხოველში

დამიწყო თვალის **ხ**ატმან **ფ**ათუნი...
რამ გამახსენა **ფ**ატმან-**ხ**ათუნი!

ფესტივალი ვესტფალიაში

ზეიმობს, გერმანული *ვესტფალია* –
დღეს აქ სიმღერის *ფესტივალია!*

რა გინდა, სულო და გულო!..

გულში **ს**აუკეთესო
სულში **გ**აუკეთესო!

მოწევა კლავს ადამიანს და აცოცხლებს ეკონომიკას

ქვეყნის ბიუჯეტისთვის ძროხა არის მ**ეწ**ველი
ეს ამდენი თვითმკვლელი – ეს ამდენი მ**წე**ველი!

ძილ-ღვიძილი

სი**ზ**მარი
ზმ**ის** არი...
ხანდახან –
მზ**ის** არი!

ალპინიადა-1973

ხიბლავს აკაკის *კავკასიონი.*
ახლა არ მკითხოთ, – *ვინ აკაკისო!*

ევროპა თუ აზია?

ბრინჯი თუ პური, პური თუ **ბრ**ი**ნ**ჯ**ი**?
ოღონდ არ იყოს ერთურთთა**ნ ჯ**ი**ბრ**ი!

სასიამოვნო მოგონება

გარემოება ადგილის და დროის გა**რემო**ება...
ნეტავი შეიძლებოდეს ამათი გა**მეორ**ება...

ოჯახი

თუ ხარ ჩემი მეკერე, თუ ხარ ჩემი **მ**ე**კ**ა**რ**ე,
შენ გამიღე კარები, შენ გამითბე **კ**ე**რ**ა **მ**ე!

გამოცხადება

გა-ცა-ვკვირდი, მახარებლის წინ დამიდგა **რ**ა **ს**ა**ხ**ება,
თავზე ედგა შარავანდი, ხელთ ეჭირა **ს**ა**ხ**ა**რ**ება!

ვახტანგ გორგასლის სიკვდილზე
წიგნისთვის „ანდაზები და აქანდაზები“

აბჯრის მქსოველს მოუვიდა ერთადერთი ი**აღლ**ი**ში** –
ვახტანგს შუბი დააძგერეს უაბჯარო ი**ღლ**ია**ში**.

ფაშვიბერტყაძის თვითშეფასება

*ფარ**შ**ე**ვ**ანგი*
*ვ**ა**რ ფე**შ**ანგი!*

LOVE ME DO

ვინ იტყოდა მსმენელთაგან იმ პირველი **ს**ინგლის,
რომ ბითლების სიმღერები გასცდებოდა ინგლის**ს**.

შვეიცარიელი მეგობრები შავიზღვისპირეთში

ეს არ არის, რა თქმა უნდა, ჟენევა და **ბ**ა**ზ**ელ**ი**,
რიზეს პირსზე თევზაობენ ცისფერთვალა **ლ**ა**ზ**ებ**ი**.

პრემიერა მესხეთის თეატრში

პრემია და პრემიერა. გველოდება *ახალციხე* –
ოთხივ კუთხით წამოსული სალაროებს *ეცა ხალხი!*

გახსენება

არც ტკივილი მი**ყ**უ**ჩ**დება
და არც გული მი**ჩ**უ**ყ**დება!

ნარდის პირველი ტურნირი საქართველოში
მიშა სურგულაძეს

მარსებით და ოინებით შენ იმატე, **მ**ა**თ** ა**კ**ელ**ი**,
დაე, მუდამ მოგდიოდეს, ჩემო მიშა, **კ**ა**მ**ა**თ**ელ**ი**!

გეოგრაფია რუსულ პარონიმთათვის
წიგნისთვის „ბაბილონის გონდოლა“

Знает каждый **невежд**а,
Где искать мыс **Дежнев**а.
Знает каждый **невеж**а –
Не столица **Женев**а.

ძაღლქარავნიანი
წიგნისთვის „ანდაზები და აქანდაზები“

ძაღლი ჰყეფს და თავის გზაზე მშვიდად მიდის *ქარავანი,*
არც ძაღლსა და არც ქარავანს არად აგდებს *აქ არავინ.*

მახინჯაური

კონდუქტორო, მაგ სასტვენში იქნებ ერთიც **ჩ**ა**გ**ებ**ერ**ა
რაღა დარჩა! გავიარეთ ბოლოსწინა **გ**ა**ჩ**ე**რ**ებ**ა**!

იერუსალიმის დაკარგვა ქართველთაგან

ღალას ვეღარ უძლებ და მძიმედ გაწევს **ბ**ე**გ**არა,
დააბრუნე კლიტენი, აქამდე რომ **გ**ე**ბ**არა.

ქართ სათარეშო

გურჯისტანი, გრუზია და ჯორჯია და **ს**ა**ქ**ა**რთ**ვ**ელო...
ძველისძველად... ორზღვასშუა... აქ ყოფილა **ქ**ა**რთ**ა**ს**ველო.

ყაყაჩოების კოცონი

უნდა ვნახო, ეს კოცონი რას ვერა და **რ**ა**ს** ე**ლ**ე**ვ**ა,
შენ ყაყაჩოს რომ ეძახი, – ბალახია **ს**ა**რ**ე**ვ**ე**ლ**ა.

შორეული ნაოსნობა

მუდამ მინდოდა ეს სილამაზე
სულ ნამცეცა-ნამცეც მე**ქ**უ**ჩ**ებინა,
ერთ მშვენიერ დღეს შინ დაბრუნებულს
რომ შენთვის ერთად მე**ჩ**უ**ქ**ებინა.

მოხუცი ტენორის მონოლოგი
დასკვნითი შიუთელრაიმი

აღარ მომენატრებით, სანატრელო **რ**ოლ**ებ**ო!
ზარად მექცა ლილეო, რექვიემად – **ბ**ოლ**ერ**ო!

ცეცხლი წყალში

წყალში დგას და უკიდია სიყვარულის **თ**ამა**რს** ალი,
უწყლოდ როგორ აღსრულდება, ღმერთო შენი **ს**ამა**რთ**ალი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაგდღის ცრუფართი

შენ გგონია – **ქ**ეი**ფ**ია!
მე კი ვიცი – **ფ**ეი**ქ**ია!

ქართველი ტურისტები ესპანეთში

სხვასთან არა, შენთან მინდა, მოვიხილო პრ**ა**დო, ნანა!
სხვებს ბუტიკში გირჩევნიათ ხეტიალი, პ**ა**რდონ, ანა!

ვინ/რაგინდარა

ადიოდა კიბეებზე ვიგინდარა **რ**ახ**ა**რ**უ**ხ**ი**თ,
ამოევსო ჯიბეები რაგინდარა **ხ**ა**რ**ახ**ურ**ით.

აღმოსავლურ-დასავლური დივანი

ერთმანეთში აირია მაშრიყი და *მაღრიბი,*
ორთავ დარჩა ამის გამო და ამიტომ *ღარიბი.*

ერთმანეთში აირია მაღრიბი და *მაშრიყი*
და დაუწყო ამის მერე მათ მსოფლიომ *შაყირი.*[1]

[1] ლინგვისტუსს თავის ბლოგზე (იხ.) აქვს მშვენიერი არაგრამა – შაყირი-არშიყი.

კოცნა-არკოცნა გაცილებისას

ისევ შეხვედრაზე ფიქრობ,
იმთავითვე ასეთია **გ**აცილების **ბ**უნება...
არ აკოცო! ვინ რა იცის,
როგორია ამ საღამოს **ბ**აცილების **გ**უნება!

აკრობატი

იმისთანა ლამაზი გააკეთა **მ**ალა**ყ**ი,
სჭირდებოდა ამ ამბავს კარგი მხატვრის **ყ**ალა**მ**ი!

ბალახი აგვისტოში

ჩამოცხა უწყ**ა**ლოდ
და დარჩა უწყლოდ**ა**!

დიალოგი

— ბავშვებისთვის რომ აგიკიდია
ეს ამოდენა **ბ**არგი, **კ**არგია?!
— ბავშვებსაც ჰკითხე! რაც შიგ აწყვია,
სწორედაც მათთვის **კ**არგი **ბ**არგია!

ჰაინც-პეტერ სლატინი – სნეულთა შემწე
წიგნებისთვის „ბაბილონის გონდოლა“ და „სელფები“

Head of Austrian Red Cross Mr. S**l**a**t**in
Is absolute opposite of Comrade S**t**a**l**in.[1]

[1] ავსტრიის წითელი ჯვრის ხელმძღვანელი ბატონი სლატინი ამხანაგ სტალინის აბსოლუტურად საპირისპიროა. (ინგლ. თარგმანი: Google Translate).

ანაპის სანაპირო

მოვინდომე შენთვის მექო სანაპირო *ანაპის რო,*
სწორედ მაშინ გადარეცხა ზღვამ ანაპის *სანაპირო.*

მამა რომა

რატომ ცდილობ, რომ დამალო ეგ თვალები **ნ**ა**მ**იანი?
შენ კი არა, ვის არ მოჰგვრის ცრემლებს ანა **მ**ა**ნ**იანი!

აღშფოთებული მასპინძელი ახალი ამბების სააგენტოში

სააგენტო ჰქვია, თორე – რა აგენტი, რის *აგენტი!..*
მომაწოდეთ, თუ კაცნი ხართ, ასანთნი და *სიგარეტნი!*

თვენი თაფლობისა და ჩაფლობისა

ღმერთო, არასდროს არ დაასრულო უსასრულობა
თაფლობის თვენის,
ზღვაში და მზეში და სიყვარულში და ერთმანეთში
ჩაფლობის ჩვენის...
რატომ აღმოჩნდა ასე ხანმოკლე ეს თებერვალი
თაფლობის **ჩ**ვენის,
და რატომ აღარ გასრულდა ნეტა სიმწარე კუპრში
ჩაფლობის **თ**ვენის?!

ქართველი მეცხოველეების სევდიანი სიმღერა

მზისად ვიხრუკებით, **ც**ისად **ვ**იტრუსებით!
ვისად რით ვჭირდებით, **ვ**ისად – **ც**იტრუსებით!

გაფრთხილება და რჩევა

არ გაბედო, ვერ გაივლი ამ დიდ გუბეს ემაგ შენი
დანჯღრეული კა**რ**ე**ტ**ით!
თუ არ იშლი, ასოების ადგილები შეცვალე და...
გადაცურე კა**ტ**ე**რ**ით.

გულშემატკივრული

სულ სხვა არის ქალის ტვირთი, სულ სხვა არის კაცის **ბ**ა**რ**გი...
რაც ორივეს უმსუბუქებს ამ სიმძიმეს, არის **რ**ა**გ**ბ**ი**!

პოტიომკინის გაკვირვება

პოტიომკინის სოფელი – სხვა არაფერი – **ფ**ა**ს**ა**დ**ი!
შიგნით ჭუჭყი და ტალახი, გარეთ – ბროლი და **ს**ა**დ**ა**ფ**ი!
რაც მან სასახლედ აქცია, არ ივარგებდა *სარდაფად,*
და უკვირს, მისი სმარტობა ჯეროვნად რად *არ დაფასდა.*

კიდევ ერთი მოგზაურობა იტალიაში

ვერ აგიწერთ ბრწყინვალებას მილანის და **ტ**უ**რ**ინისა –
დავიღალე, თავი არ მაქვს ჟურნალისტურ **რ**უ**ტ**ინისა!

რა უთხრა ყვავმა თავის ბახალას

გინდ იყავი მაღალი, გინდ იყავი **დ**ა**ბ**ალი,
მაინც არაფერია ქვეყნად შენი **ბ**ა**დ**ალი!

უზიკოო ბრაზილიის დამარცხება

სწორედ მაშინ შეეპარა ამ ჩემს რწმენას **ბ**ზ**ა**რ**ი**, ლია,
როცა მატჩზე უზიკოოდ გამოვიდა **ბ**რ**ა**ზ**ი**ლია!

რაბათი და რა რაბათი!

შეხედეთ, როგორ დამშვენდა ჩვენი ხრიოკი *მთაბარი,*
და როგორ გაგვილამაზა ხელისუფლებამ *რაბათი,*
ეგ შენი კრიტიკანობა, კეთილ ინებე, *მართ აბი,* –
ახალციხიდან მომწერა ჩემმა კოლეგამ *ბარათი.*

დონერ-ქაბაბის ძეგლი
კადირ ნურმანის ხსოვნას [1]

ო, რა ქაბაბი გამოუძერწავს! ო, რა ქაბაბი!
ო, რა **დ**ო**ნ**ე**რ**ი!
ამას რიგით რას გასწვდებოდა,
ამას შეძლებდა მხოლოდ **რ**ო**დ**ე**ნ**ი!

[1] თურქი კულინარი კადირ ნურმანი (1933-2013) დონერ-ქაბაბის ანუ შაურმის გამომგონებლად ითვლება.

რა ელოდება მოუთმენლად თავის სეზონს?

სა**მ**ო**ს**ე**ლ**ი
სა**ლ**ო**მ**ე**ს**ი!

სატრაბახო
Trabajo (ესპ.) – მუშაობა

კუბა და კარიბები, ჯამაიკა, *მექსიკა:*
სამბა – ნო, ტრაბახო – სი! ცეკვა – არა, *საქმე – კი!*

ვის უხმობს ზარი?

სსს! ჩაუცვამს ივლისს სიცხის გამჭვირვალე სა**რ**ა**ფ**ანი,
ჩუ! შორიდან ზარებს რეკენ ზარზმანი და სა**ფ**ა**რ**ანი!

ცხენის ნალი სახელოსნოს კარზე

სტუდიასო ხის კარი აქვს, მიაჭედეს ხე**ს**ო **ნ**ა**ლ**ი,
ნიშნად იმის, – ბედნიერი იქნებაო ხე**ლ**ო**ს**ა**ნ**ი!

ძილი და ძალა

რამ დამიფრთხო, ნეტავი,
ძილი, *მოსვენება?!*
რაღაც ძალა ჩამძახის, –
გიყო *ესო ვნებამ!*

სტიქია

თავს დაგვატყდა წყალდიდობა, ქსანი გახდა **ა**მ**ა**ზ**ო**ნ**ი** –
გააყოლა სახლს და ბოსტანს ახალ სახლის **ა**ნ**ა**ზ**ო**მ**ი**!

დემოკრატია – მშვიდობის მტრედი

დემოკრატია...
აა! მტრედი? ოკ!

ხავერდოვანი ლექსი
წიგნისთვის „ბაბილონის გონდოლა“

ვინ – იალქნად და ***ვინ – აფრად,***
ვინ – კაცურად, ვინ – *ვაცურად...*
მოგართვა და დაგიფინა **ბ**ა**რ**ხ**ა**ტი.
ფრენა გინდა, ვერ ***დაფრინავ,***
ცურვა გინდა, ვერ *დაცურავ,*
ერთი სიტყვით, – **ხ**ა**რ** **ბ**ა**ტ**ი!

მთაში სალამურს ვაკვნესებ

მასალათა გამძლეობა, ამტანობა **მ**ა**ს**ა**ლ**ური...
ხისა არის, მაგრამ საყვირს მირჩევნია **ს**ა**ლ**ა**მ**ური!

ჯვარედინი ანაგრამანი სეთურის სახის გასახსნელად
ჭაბუა ამირეჯიბს

ყველამ ვიცით, ვინ ბრძანდება ეს სეთური *არქიფო,*
ყველამ ვიცით, რა ხვითოა ეს არქიფო ***სეთური,***
მაგრამ, მოდი, აბა, ვცადოთ, სიტყვებს ვუყოთ *ფორაქი* [1]
და „სეთურის“ ნაცვლად ყველგან ჩავსვათ
სიტყვა ***„რუსეთი“!***

[1] მებრძოლთა უყავ ფორაქი... (ფეშანგი, შაჰნავაზიანი, თავი 29, სტროფი 523)

სანამ გულმა რეჩხი მიყო...

მელოდება აკაკისა და მუხრანის სა**ჩ**ხ**ერ**ე,
საჩხერისკენ მიიხარის გული ჩემი სა**რ**ე**ჩ**ხ**ე**.

ჭიანჭველები მკლავებზე

ჟრუანტელი ბა**ლ**ა**ნ**ური
არის ფრიად ბა**ნ**ა**ლ**ური.

ერთი ორთაგანი
რიმეიქი

მზე დედაა, ვარსკვლავები და-ძმებია,
ხოლო *(შორი)* **ბ**ო**ლ**ი**დ**ი –
ცის კაბადონს რომ ავსებს და აკაშკაშებს –
ერთი *(ორში)* **დ**ო**ბ**ი**ლ**ი.

ტრენინგი სატყეო ინსტიტუტში

დღეს სემინარის **ტ**ოპი**კ**ი
არის „მუხა და **კ**ოპი**ტ**ი“.

სულერთია!

შამპანური ძირითადი ღვინო არის **თ**ერ**ჯ**ო**ლ**ისთვის,
თუმცა ამას არ ჰქონია მნიშვნელობა **ჯ**ერ **ლ**ო**თ**ისთვის.

ბრძოლები

არის ბრძოლა საუზმისთვის, სადილისთვის,
სამხრისათვის,
არის ბრძოლა ჩინ-მენდლისთვის, პრემიისთვის,
სამხრისათვის,
მთაწმინდა თუ დიდუბე თუ – არის ბრძოლა
სა**მ**ა**რ**ხ**ი**სთვის,
მიწისათვის, სიკვდილს შემდეგ არაფერში
სა**ხ** მ**ა**რ**ი**სთვის.

საკრალური საკრავი
წიგნისთვის „ლექსბორბალები“

აქეთ საკლავი, იქით *საკრავი,*
ბოლო სიმღერა ისმის *კრავისა...*

დღეგრძელობა

რაც რამ წლები ჰქონდა გამჩენს, თურმე ჯამში მა**ს** **უ**თ**ა**ლა,
და გინესის რეკორდთ წიგნში შეიყვანა მა**თ**ა**ს**ალა.

რეტროპერსპექტივა
თამარ ცაგარეიშვილს

არ სჭირდება ამას ბევრი ბაასი და *მასლაათი,*
მდიდარია ეგ თოქშოუ სასაუბრო *მასალითა.*

ერლომ ახვლედიანისა და ლომერ ახვლედიანისათვის

რა იცის დევიდ *ბერლომ* [1] –
რას ნიშნავს კოდი – *ლომებრ!*
ვაგზავნით სიტყვას – ***ერლომ,***
ვღებულობთ სიტყვას – ***ლომერ.***

[1] დევიდ კენეტ ბერლო (1929–1996) – ამერიკელი მეცნიერი, კომუნიკაციის მოდელის ავტორი.

მდივანნი – ვადიმნი
დონჟუანური პარალელი

ვის გინდა, რომ შეადარო ის სამი ძმა *მდივანი?*[1]
ალბათ მხოლოდ როჟე ვადიმს[2]: მდივანები – *ვადიმნი!*

[1] პრინცებად და „მექორწინე ძმებად“ წოდებულმა სერგო (სერჟ), ალექსი და დავით მდივნებმა მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში სახელი გაითქვეს თავიანთი მრავალრიცხოვანი ქორწინებებით კინოვარსკვლავებთან თუ მულტიმილიონერთა შთამომავლებთან, რომელთა შორის იყვნენ პოლა ნეგრი, მერი მაკორმიკი, ლუიზა ასტორ ვან ალენი, მეა მიურეი, ბარბარა ჰატონი და სხვები.

[2] როჟე ვადიმი, იგივე ვადიმ პლემიანიკოვი (1928–2000) – ფრანგი კინორეჟისორი, სცენარისტი მსახიობი და პროდიუსერი; კინოვარსკვლავების – ბრიჯიდ ბარდოს, ანეტ სტროიბერგის, კეტრინ დენევისა და ჯეინ ფონდას პირველი ქმარი.

ძმამ ძმას ანგარიში უყოო

კარგად ვიცი – შენ ასეთი რამეები ა**რ** გა**შ**ი**ნ**ებს,
მაგრამ მაინც ანგარიში გაუწიე ა**ნ**გა**რ**ი**შ**ებს!

→

ზამთარი. თბილისი. წითელი და თეთრი.
წიგნებისთვის: „ბაბილონის გონდოლა“, „ანდაზები და აქანდაზები“

რა ჰქნა თოვლმა! – ქალაქი როგორ უცებ **დანაზდა**,
თოვლზე „ნივა“ წითელი როგორ გაჩნდა **ანაზდად**,
როგორ გაჭრა სითეთრე, როგორ მჭახედ **დაზადნა**...
იანვარში... მარწყვიო... დედაბერმა... **ანდაზად**!

არამსმელისთვის
მიშა ქურდიანის ხსოვნას

კოხტა ღვინით თავს იწონებს **წ**ვეულება **ჩ**ვენი,
შენ კი გიდგას – ასეთი გაქვს **ჩ**ვეულება – **წ**ვენი!

კონტრასტი

ზეკი – წლებით **დაბარ**გული,
თავში – ფიქრი **ბარდ**აგული,
გზა – მძიმე და **ბადრ**აგული,
მზე – ჩახჩახა, **გაბადრ**ული.

დამსხვრეული იმედები, დაბზარული ოცნებები

დღიურებად *ხამს რვ*ეული:
იმედები – *დამსხვრ*ეული.

მარკეტები და *ბაზრ*ები –
საცეკვაო *დარბაზ*ები.

და ცეკვები *დარბაზ*ული:
ოცნებები – *დაბზარ*ული.

სიჩქარის აკრეფაც ასეთი უნდა!

შეხედავ და გეამება – მოზიმზიმე *ფერარია*,
მოიხედავ – მის ადგილას აღარ არის *არაფერი!*

1993: ...და ცხონდა ცხონდა ცხონდა ცხონ...
წიგნისთვის „ლექსბორბალები“

ისე შენი პაპის პაპის პაპის პაპის სული *ცხონდა*,
რომ ხვალ დილას ქართველებმა აფხაზეთში
რუსებს *დაცხონ!*

ტარიკათი
სუფიური როკვა მორიდებულ მორიდთათვის
(რედაქციის მოთხოვნით ცხრაჯერ შეკვეცილი ვარიანტი)

ურათან ურათან ურათან ურათან ურათან ურათან
ურათან ურათან ურათან ურათან ურათან ურათან
ურათან ურათან ურათან ურათან ურათან ურათან
ურათან ურათან ურათან ურათან ურათან ურათან
ურათან ურათან ურათან ურათან ურათან ურათან
ურათან ურათან ურათან

ვიშიდერ ვიშიდერ ვიშიდერ ვიშიდერ ვიშიდერ ვიშიდერ
ვიშიდერ ვიშიდერ ვიშიდერ ვიშიდერ ვიშიდერ ვიშიდერ
ვიშიდერ ვიშიდერ ვიშიდერ ვიშიდერ ვიშიდერ ვიშიდერ
ვიშიდერ ვიშიდერ ვიშიდერ ვიშიდერ ვიშიდერ ვიშიდერ
ვიშიდერ ვიშიდერ ვიშიდერ ვიშიდერ ვიშიდერ ვიშიდერ
ვიშიდერ ვიშიდერ ვიშიდერ

ქრიზი ქრიზი ქრიზი ქრიზი ქრიზი ქრიზი ქრიზი ქრიზი
ქრიზი ქრიზი ქრიზი ქრიზი ქრიზი ქრიზი ქრიზი ქრიზი
ქრიზი ქრიზი ქრიზი ქრიზი ქრიზი ქრიზი ქრიზი ქრიზი
ქრიზი ქრიზი ქრიზი ქრიზი ქრიზი ქრიზი ქრიზი ქრიზი
ქრიზი

ყახირ ყახირ ყახირ ყახირ ყახირ ყახირ ყახირ ყახირ
ყახირ ყახირ ყახირ ყახირ ყახირ ყახირ ყახირ ყახირ
ყახირ ყახირ ყახირ ყახირ ყახირ ყახირ ყახირ ყახირ
ყახირ ყახირ ყახირ ყახირ ყახირ ყახირ ყახირ ყახირ
ყახირ

მასა მასა მასა მასა მასა მასა მასა მასა მასა მასა მასა მასა
მასა მასა მასა მასა მასა მასა მასა მასა მასა მასა მასა მასა
მასა მასა მასა მასა მასა მასა მასა მასა მასა მასა მასა მასა

ლავიამოუ ლავიამოუ ლავიამოუ ლავიამოუ ლავიამოუ
ლავიამოუ ლავიამოუ ლავიამოუ ლავიამოუ ლავიამოუ
ლავიამოუ ლავიამოუ ლავიამოუ ლავიამოუ ლავიამოუ
ლავიამოუ ლავიამოუ ლავიამოუ ლავიამოუ ლავიამოუ
ლავიამოუ ლავიამოუ ლავიამოუ ლავიამოუ ლავიამოუ
ლავიამოუ ლავიამოუ ლავიამოუ ლავიამოუ ლავიამოუ
ლავიამოუ ლავიამოუ ლავიამოუ

დინჯალალე დინჯალალე დინჯალალე დინჯალალე
დინჯალალე დინჯალალე დინჯალალე დინჯალალე
დინჯალალე დინჯალალე დინჯალალე დინჯალალე
დინჯალალე დინჯალალე დინჯალალე დინჯალალე
დინჯალალე დინჯალალე დინჯალალე დინჯალალე
დინჯალალე დინჯალალე დინჯალალე დინჯალალე
დინჯალალე დინჯალალე დინჯალალე
დინჯალალე

პაატა ნაცვლიშვილი

ანაგრამები და ნაგრამები

და შესაკრებთა სხვა მიმონაცვლებანი

მირუ მირუ მირუ მირუ მირუ მირუ მირუ მირუ მირუ
მირუ მირუ მირუ მირუ მირუ მირუ მირუ მირუ მირუ
მირუ მირუ მირუ მირუ მირუ მირუ მირუ მირუ მირუ
მირუ მირუ მირუ მირუ მირუ მირუ

ნავიმას ნავიმას ნავიმას ნავიმას ნავიმას ნავიმას
ნავიმას ნავიმას ნავიმას ნავიმას ნავიმას ნავიმას
ნავიმას ნავიმას ნავიმას ნავიმას ნავიმას ნავიმას
ნავიმას ნავიმას ნავიმას ნავიმას ნავიმას ნავიმას
ნავიმას ნავიმას ნავიმას ნავიმას ნავიმას ნავიმას
ნავიმას ნავიმას ნავიმას

დინჯალალე დინჯალალე დინჯალალე დინჯალალე
დინჯალალე დინჯალალე დინჯალალე დინჯალალე
დინჯალალე დინჯალალე დინჯალალე დინჯალალე
დინჯალალე დინჯალალე დინჯალალე დინჯალალე
დინჯალალე დინჯალალე დინჯალალე დინჯალალე
დინჯალალე დინჯალალე დინჯალალე დინჯალალე
დინჯალალე დინჯალალე დინჯალალე
დინჯალალე

მირუ მირუ მირუ მირუ მირუ მირუ მირუ მირუ მირუ
მირუ მირუ მირუ მირუ მირუ მირუ მირუ მირუ მირუ
მირუ მირუ მირუ მირუ მირუ მირუ მირუ მირუ მირუ
მირუ მირუ მირუ მირუ მირუ მირუ

ლავიამოუ ლავიამოუ ლავიამოუ ლავიამოუ ლავიამოუ
ლავიამოუ ლავიამოუ ლავიამოუ ლავიამოუ ლავიამოუ
ლავიამოუ ლავიამოუ ლავიამოუ ლავიამოუ ლავიამოუ
ლავიამოუ ლავიამოუ ლავიამოუ ლავიამოუ ლავიამოუ
ლავიამოუ ლავიამოუ ლავიამოუ ლავიამოუ ლავიამოუ
ლავიამოუ ლავიამოუ ლავიამოუ
ნავიმას ნავიმას ნავიმას ნავიმას ნავიმას ნავიმას
ნავიმას ნავიმას ნავიმას ნავიმას ნავიმას ნავიმას
ნავიმას ნავიმას ნავიმას ნავიმას ნავიმას ნავიმას
ნავიმას ნავიმას ნავიმას ნავიმას ნავიმას ნავიმას
ნავიმას ნავიმას ნავიმას ნავიმას ნავიმას ნავიმას
ნავიმას ნავიმას ნავიმას

ვიშიდერ ვიშიდერ ვიშიდერ ვიშიდერ ვიშიდერ ვიშიდერ
ვიშიდერ ვიშიდერ ვიშიდერ ვიშიდერ ვიშიდერ ვიშიდერ
ვიშიდერ ვიშიდერ ვიშიდერ ვიშიდერ ვიშიდერ ვიშიდერ
ვიშიდერ ვიშიდერ ვიშიდერ ვიშიდერ ვიშიდერ ვიშიდერ
ვიშიდერ ვიშიდერ ვიშიდერ ვიშიდერ ვიშიდერ ვიშიდერ
ვიშიდერ ვიშიდერ ვიშიდერ

ყახირ ყახირ ყახირ ყახირ ყახირ ყახირ ყახირ ყახირ
ყახირ ყახირ ყახირ ყახირ ყახირ ყახირ ყახირ ყახირ
ყახირ ყახირ ყახირ ყახირ ყახირ ყახირ ყახირ ყახირ
ყახირ ყახირ ყახირ ყახირ ყახირ ყახირ ყახირ ყახირ
ყახირ

ურათან ურათან ურათან ურათან ურათან ურათან
ურათან ურათან ურათან ურათან ურათან ურათან

ურათან ურათან ურათან ურათან ურათან ურათან
ურათან ურათან ურათან ურათან ურათან ურათან
ურათან ურათან ურათან ურათან ურათან ურათან
ურათან ურათან ურათან

მასა მასა მასა მასა მასა მასა მასა მასა მასა მასა მასა
მასა მასა მასა მასა მასა მასა მასა მასა მასა მასა მასა
მასა მასა მასა მასა მასა მასა მასა მასა მასა მასა მასა

ქრიზი ქრიზი ქრიზი ქრიზი ქრიზი ქრიზი ქრიზი ქრიზი
ქრიზი ქრიზი ქრიზი ქრიზი ქრიზი ქრიზი ქრიზი ქრიზი
ქრიზი ქრიზი ქრიზი ქრიზი ქრიზი ქრიზი ქრიზი ქრიზი
ქრიზი ქრიზი ქრიზი ქრიზი ქრიზი ქრიზი ქრიზი ქრიზი
ქრიზი

ნავიმას ნავიმას ნავიმას ნავიმას ნავიმას ნავიმას
ნავიმას ნავიმას ნავიმას ნავიმას ნავიმას ნავიმას
ნავიმას ნავიმას ნავიმას ნავიმას ნავიმას ნავიმას
ნავიმას ნავიმას ნავიმას ნავიმას ნავიმას ნავიმას
ნავიმას ნავიმას ნავიმას ნავიმას ნავიმას ნავიმას
ნავიმას ნავიმას ნავიმას

დინჯალალე დინჯალალე დინჯალალე დინჯალალე
დინჯალალე დინჯალალე დინჯალალე დინჯალალე
დინჯალალე დინჯალალე დინჯალალე დინჯალალე
დინჯალალე დინჯალალე დინჯალალე დინჯალალე
დინჯალალე დინჯალალე დინჯალალე დინჯალალე
დინჯალალე დინჯალალე დინჯალალე დინჯალალე
დინჯალალე დინჯალალე დინჯალალე
დინჯალალე

მირუ მირუ მირუ მირუ მირუ მირუ მირუ მირუ მირუ
მირუ მირუ მირუ მირუ მირუ მირუ მირუ მირუ მირუ
მირუ მირუ მირუ მირუ მირუ მირუ მირუ მირუ მირუ
მირუ მირუ მირუ მირუ მირუ მირუ

ვიშიდერ ვიშიდერ ვიშიდერ ვიშიდერ ვიშიდერ ვიშიდერ
ვიშიდერ ვიშიდერ ვიშიდერ ვიშიდერ ვიშიდერ ვიშიდერ
ვიშიდერ ვიშიდერ ვიშიდერ ვიშიდერ ვიშიდერ ვიშიდერ
ვიშიდერ ვიშიდერ ვიშიდერ ვიშიდერ ვიშიდერ ვიშიდერ
ვიშიდერ ვიშიდერ ვიშიდერ ვიშიდერ ვიშიდერ ვიშიდერ
ვიშიდერ ვიშიდერ ვიშიდერ

ურათან ურათან ურათან ურათან ურათან ურათან
ურათან ურათან ურათან ურათან ურათან ურათან
ურათან ურათან ურათან ურათან ურათან ურათან
ურათან ურათან ურათან ურათან ურათან ურათან
ურათან ურათან ურათან ურათან ურათან ურათან
ურათან ურათან ურათან

და ასე შემდეგ, სრულ გასხივოსნებამდე თუ არა, ტრანსამდე მაინც.

გასაღები „ტარიკათის“ გასაგებად:

ტარიკათი – სულიერი სრულყოფის გზა სუფიზმში;
მორიდი – სუფის მოწაფე/მიმდევარი;
თანურა – სუფიური ცეკვის ეგვიპტური ნაირსახეობა;
ზიქრი – უფლის გამუდმებული და დაბეჯითებული ხსენება;
ხირყა – დერვიშის შესამოსელი;
სამა – სუფიური რიტუალი (ლექსების დეკლამაცია ან ცეკვა მუსიკის თანხლებით);
მოულავია – ჯალალედინ რუმის მიერ დაფუძნებული სუფიათა საძმო კონიაში (თურქეთი);
მასნავი – ჯალალედინ რუმის მისტიკური პოეზიის ექვსწიგნეული.

თუ ლექსის გასაგებად ამ გასაღების შემდეგაც საჭირო გახდა დამატებითი რამ განმარტებანი, რედაქციას ვთხოვ, გიორგი ლობჟანიძეს მიმართოს.

დერვიშის ცეკვა გადაღებულია ავტორის მიერ ბედუინების სოფელში (ეგვიპტე) 2007 წელს, მოცეკვავე დერვიშთა სტატუეტები კი – კონიაში (თურქეთი) 2009 წელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებიუტი

გიორგი ბერიძე

„ზახილის“ საქმე

ჩვენი წერილი ქართული ლიტერატურის ცნობილ შედევრს, დავით წერედიანის „ზახილს“ შეეხება (და კიდევ ერთ სხვა შედევრსაც). მხატვრული ტექსტის ანალიზი რომ დანაშაულის გამოძიებას ჰგავს, ეს ჩვენამდეც არაერთხელ შეუნიშნავთ. წერილის სათაურიც სწორედ ამის მიხედვით შევარჩიეთ.

ამ ორიოდე წლის წინ აღნიშნული ნაწარმოები ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტშიც შეიტანეს. აბიტურიენტებს დაახლოებით ამგვარი დავალება მისცეს: „იმსჯელეთ ლექსში წარმოდგენილი მასხარისა და მეფის მხატვრული სახეების შესახებ“. გვგონია, რომ მეფისა და მასხარის ოპოზიციაზე აქცენტირება აბიტურიენტს უბიძგებს, იფიქროს უფრო მეტად ნაწარმოებში განვითარებული კონფლიქტის ანალიზზე, რომელიც პირველ ორ სტროფშია ასახული, მესამეს კი ნაკლები ყურადღება დაუთმოს. არადა, ჩვენი მოკრძალებული აზრით, ყველაზე მძაფრ ემოციებს სწორედ უკანასკნელი სტროფი აღძრავს და, ამდენად, ნაწარმოების ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილიც სწორედ ესაა. საკუთარ მოკრძალებულ აზრებზე მეტად, რასაკვირველია, პატივცემულ პროფესიონალებს ვენდობით, ამიტომ ვამჯობინებთ, მათ მიერ მოცემული დავალების შესრულებას მივყოთ ხელი.

რა შეიძლება მასხარაზე ითქვას? უპირველეს ყოვლისა, ცხადია, შექსპირის პერსონაჟები გაგვახსენდებიან. სწორედ შექსპირს უკავშირდება შექმნა „ბრძენი-სულელი“ მასხარის კლასიკური სახისა, რომელსაც აშკარად იყენებს ლექსის ავტორი, მაგრამ მის პერსონაჟთან შექსპირისეულზე ახლოს მაინც იან მატეიკოს მასხარა (Stańczyk) დგას. ამ ცნობილ ტილოზე პოლონეთის სამეფო კარის გამრთობი — სტანჩიკია გამოსახული. ის ერთადერთია, ვინც სმოლენსკის დაკარგვამ ბალ-მასკარადის გნიასს მოსწყვიტა და დაამწუხრა. ქვეყნის გამგებელი დიდგვაროვნები კი, რომლებიც უკანა ფონზე ილანდებიან, ცეკვა-თამაშის ბუღში გახვეულან და მოლხენას აგრძელებენ. რას იტყვით, სიტუაცია სავსებით იდენტურია არა? მსგავსება ნიუანსებშიც კი თვალსაჩინოა, თითქოს წარმოუდგენელიც კია ამაზე უფრო ზუსტი ანალოგიის პოვნა. ჩვენ მაინც გვგონია, რომ არის ერთი, უფრო ზუსტი და გაცილებით უფრო ზუსტიც, ოღონდ ამაზე – მერე; ჯერ დავალება გვაქვს დასასრულებელი. მასხარის სახის შტრიხები ნაპოვნია, ცოტა მრავალსიტყვაობაც და ეს ნაწილი შეგვიძლია დასრულებულად ჩავთვალოთ, მაგრამ რა ვუყოთ მეფის სახეს? მიუხედავად ნახატთან ნიუანსობრივი მსგავსებისა, მას პოლონელად ვერაფრით წარმოვიდგენთ, რადგან შაჰი მისგან მაჰმადის რჯულის მიღებას მოითხოვს, პოლონეთის დამპყრობელი კი ქრისტიანული რუსეთია. ამავე მიზეზით გამორიცხულია გერმანიაც, ბრიტანეთიც, საფრანგეთიც (ჯერჯერობით მაინც). მაშ, რომელია ისეთი ქვეყანა, რომლის მეფეებისგანაც შაჰები რჯულის შეცვლას ითხოვდნენ? ჰმ... საქართველო ხომ არა? ევრიკა! ეგ უნდა იყოს. ნამდვილად ეგაა, ტექსტიც ხომ ქართულ ენაზეა დაწერილი! ჰოდა, ნამდვილად ეგაა. ავტორი კი არსად ახსენებს, მაგრამ მაგათ ეგრე იციან, უნდა გაგირთულონ საქმე. ერთი სიტყვით, მეფის შტრიხიც ნაპოვნია. ისღა დაგვრჩენია, რამდენიმე ტროპი გამოვავლინოთ, საპროგრამო ლიტერატურიდან ოთხიოდე ციტატა მოვიყვანოთ, თუ არ წამოგვყვებიან, მოვიტაცოთ, დასკვნა დავურთოთ და დავალება შესრულებულად ჩაგვეთვლება. სრული ბედნიერება კი ის იქნება, თუ ავტორისეულ კრედოსაც დავიმოწმებთ:

„ბნელდაბნელ მივალ, ჟიჟმატი მზუზავს,
თრთოლავს სანთური, კრთოლავს სანათი.
ვარ მინდობილი კლასიკურ მუზას
მცირეოდენი განდაგანათი“.

რა ზუსტად დაეთანხმა ჩვენს ანალიზს: მასხარისა და მეფის კონფლიქტი — კლასიკური მუზა, მეფის შეფარული ქართველობა — მცირეოდენი განდაგანა. ამაზე მეტი რაღა შეიძლებოდა გვეთქვა?

დავალება დასრულებულია და მისი შეფასება უკვე მხოლოდ პატივცემულ პროფესიონალთა პრეროგატივაა, ჩვენ კი შეგვიძლია, ცოტა მოვდუნდეთ და ანალიზისას გაჩენილ, მაგრამ უპასუხოდ დარჩენილ კითხვებზე ვიფიქროთ, რომლებიც, რა თქმა უნდა, ქულის დაკლების შიშით თემაში არ ჩაგვიწერია. აი, მაგალითად, ასეთზე: ჩვენი მასხარა, როგორც ჩანს, თავისი საქმის კარგი მცოდნეა და მაინც უფრო მეტად ბრძენია, ვიდრე სულელი *(„კვლა წავუხდინე ხელობა რქმის და მაჯამად მირქმის“)*. მაშ, რით ავხსნათ, რომ ის სრულიად უხიფათო სიტუაციაში საბედისწერო შეცდომას უშვებს? მთელი ცხოვრება საორჭოფო მდგომარეობებიდან თავის დაღწევის მეტი, ალბათ, არც არაფერი უკეთებია *(„ბევრის მომსწრე და მთმენი“)*, ახლა კი, პირიქით, ხელსაყრელი პოზიცია ეკავა და ისე გაბრიყვდა, რომ სიკვდილსაც ძლივს გამოასწრო. აქამდე თუ ამდენი მოითმინა, ახლა რაღა მოხდა ასეთი მოუთმენელი? რამ გადარია? რამ გაასულელა? ან ეს მეფეც რამ გააცხარა ასე ძალიან, ერთბაშად საყვარელ მასხარაზე რომ იყარა ჯავრი? ჯავრი ჰქონია, იქნებ კიდევაც ნაღვლობდეს... ძალაუნებურად გაიფიქრებ, რომ ავტორის ბრალია, ვერ ზიდა ბოლომდე კლასიკური პერსონაჟის სიმძიმე და სადაც ვიწრო იყო, იქ გაწყვიტა (ღმერთო ჩემო, გაფიქრებაც კი როგორი უხერხულია!). ეჰ, არადა, როგორ გვჯეროდა, რომ დავალებაში ყველაფერი ამოვწურეთ! რაღა დაგვრჩენია, გავაგრძელოთ ფიქრი, მოვისაზროთ, გამოვიძიოთ...

სათაურიდან დავიწყოთ. ხომ ამბობენ, სათაური ნაწარმოების თვალებიაო, სულის სარკეაო. ეგებ ამ შემთხვევაში მართალიც გამოდგეს. პირველად გამოქვეყნებული ვარიანტის სათაური იყო „შავშამშე მეფის მასხარა“, მრავალი წლის შემდეგ კი „ზახილი“ დაერქვა. რატომ მაინცდამაინც „ზახილი“? რატომ გამოცვალეს „მეფის მასხარა“? იმიტომ ხომ არა, რომ ავტორს „ზახილის“ მხატვრულ სახეზე უფრო მეტი უფიქრია, ვიდრე მეფისაზე, ის უფრო მნიშვნელოვნად ხომ არ მიაჩნია? ეს კითხვაც პატივცემულ პროფესიონალებს დავუტოვოთ, ჩვენ კი ვნახოთ, რა ხილია ეს ზახილი.

რამდენიც არ ვიარეთ, ისევ მხატვრობას მივადექით, მუნკის „კივილს“ ვერაფრით ავუარეთ გვერდი. კივილსა და ზახილს შორის განსხვავება ნამდვილად არის, თუმცა არსებითად მაინც ერთი ხასიათის ცნებებია, ამიტომ ამ განსხვავებათა ძიებას არ ჩავუღრმავდებით. „კივილი“, როგორც ამბობენ, პირველი ექსპრესიონისტული ნაწარმოებია, რომელმაც განსაზღვრა კიდეც ექსპრესიონიზმის ერთ-ერთი (თუ ერთადერთი არა) ცენტრალური თემა. ჩვენი სასიქადულო მწერალი, კონსტანტინე გამსახურდიაც ხომ, ჯერ კიდევ იქამდე, ვიდრე სასიქადულო მწერლის ხალათს დაიმსახურებდა და დიდი მეცადინეობთ შემოიცვამდა ტანზე, წერდა: „ომის კონვულსიებში დამანჭული, ადამიანის სული ერთბაშად ხედავს, რომ ეს ნაპრალი უკვე საშინელ უფსკრულად გადაიქცა. გაისმა ისტერიული კივილი უფსკრულთან მისულის პირიდან... და ეს კივილია ექსპრესიონიზმი“. აი, აქ კი ღვაწლმოსილი ლიტერატორები წინ გადაგვეღობებიან და გადაჭრით გვეტყვიან, რომ დავით წერედიანის ნაწარმოების ექსპრესიონიზმთან დაკავშირება საფუძველშივე მარცხისთვის განწირული იდეაა, რადგან ამ დროისთვის ლიტერატურული ექსპრესიონიზმი, როგორც მოვლენა, უკვე კარგა ხნის დასრულებულია. როგორ გინდა, ღვაწლმოსილი ლიტერატორების დარიგებას არ დაუჯერო, არადა უკვე ეშხში ვართ შესულები და უკან გამობრუნებაც გვესიკვდილება. აქ ჩვენდა უნებურად გაგვახსენდება ერთი მონაკვეთი ილო მოსაშვილის ლექსიდან:

„ეშხი იქ არის,
სადაც ქარია,
ქარი, რომ მკერდი მკერდზე გვიგალოს,
სიცოცხლეც,
გულიც,
ლექსიც მკვდარია
უქარიშხალო და უგრიგალო“.

ეს ლექსი დაგვეხმარა, დაგვეძლია დიდი მოწიწება ღვაწლმოსილი ლიტერატორების მიმართ და ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად გაგვეგრძელებინა გზა. მაგრამ ახლა სად გინდა ეს გრიგალი მონახო? მივიხედ-მოვიხედეთ და რას ვხედავთ — ჰოი, საკვირველებავ, უკვე თითქმის გრიგალთან ვყოფილვართ მისულები – კონსტანტინე გამსახურდიას „ზარები გრიგალში“ ჩვენგან სულ ორ ნაბიჯზეა. ჰოდა, გეზიც იქით ავიღეთ...

მივედით თუ არა, უეცრად კოკისპირულად დასცხო:

„აწვიმდა სამრეკლოს, აწვიმდა საყდარს...“

„აწვიმს ტახტსა და ტახტრევნებს,
ფარებს, ეტრატებს, ქნარებს,
სამეფო სარჩულ-საპირეს,
ჯვარს და ნახევარმთვარეს.
წავილექსებ და სირცხვილით
შემეფაკლება ღაწვი,
აწვიმს შაირს და ქარაგმას,
ყველა ხუმრობას აწვიმს...“

ასეთ წვიმაში, აბა, სადღა წავიდოდით? დავრჩით.

დავრჩით და ვნახეთ, რომ ეს მნათე ოქროპირაც ჩვენი მასხარასავით უბედური კაცი ყოფილა. ქრონოლოგიურად თუ მივყვებით, ჩვენი მასხარა ყოფილა მნათესავით კაცი, მისი სამშობლოც დაპყრობილია და მის საყვარელ საქმესაც, რომელსაც მთელი ცხოვრება აკეთებდა და შიგ მთელ თავის შემოქმედებით ენერგიას დებდა, აწვიმს. ვნახოთ, იქნებ ჩვენს კითხვაზე პასუხიც ვიპოვოთ, – ხომ გახსოვთ, ამხელა გზა რისთვისაც გამოვიარეთ? რამ გაასულელა ეს ბრძენი კაცი ისე, რომ თავი დაიღუპა? მოდი, გავიხსენოთ, რა მოხდა მნათეს შემთხვევაში. ოქროპირი თავისი საყვარელი საქმის შესრულებისას კვდება, ოღონდ არა ჩვეულებრივი, არამედ განსაკუთრებული, საუკეთესო, იმდენად კარგი შესრულებისას, რომ მიღებული შემოქმედებითი სიამოვნებისგან ექსტაზში ვარდება და თავს ვეღარ აკონტროლებს, რაც მისთვის საბედისწერო აღმოჩნდება. ჩვენს მასხარასთანაც ზუსტად ასეა ყველაფერი, ისიც დამწუხრებული შედის მეფესთან, მაგრამ საკუთარი საქმის შესრულებისას ნელ-ნელა ექსტაზი მოიცავს, რის გამოც მეფის დამარცხება აღარ ჰყოფნის და დამაგვირგვინებელი ხუმრობის ფასად თავსაც კი წირავს. ისიც ექსტაზში დაღუპული გმირია და თავისი ხასიათით, მიუხედავად პროფესიისა, შექსპირისა და მატეიკოს გმირებზე მეტად სწორედ მნათე ოქროპირს ენათესავება.

ჩვენი ცნობისმოყვარეობა (იმედია, ძვირფასი მკითხველისაც) ამით დაკმაყოფილდა, თუმცა უფრო მართებული იქნება, თუ ვიტყვით, რომ ერთი მხრივ დაკმაყოფილდა, რადგან ახლა უკვე სხვა საინტერესო საკითხს მივადექით...

ორი მთავარი პერსონაჟის ასეთ პრინციპულ მსგავსებას დამატებული საოცარი დამთხვევა ტროპისა (კონკრეტული სახის დადგენაში ღვაწლმოსილ ლიტერატორებსარ შევეცილებით, ეს ხომ მათი საყვარელი საქმეა): *„აწვიმდა სამრეკლოს“ — „ყველა ხუმრობას აწვიმს“*, ნება-უნებლივ ბადებს ეჭვს, რომ შესაძლოა, პლაგიატთანაც კი გვქონდეს საქმე (ეს კიდევ უფრო უხერხული გასაფიქრებელია). გამოვიძიოთ. არგუმენტები თითქოს არც ისე ცოტაა, მაგრამ წეღანაც ეგრე ჩანდა და ბოლოს კი სხვაგვარად გამოდგა, ვინძლო ამჯერადაც მშრალად გამოძვრეს ბატონი ავტორი.

ვნახოთ, რა აზრისაა დავით წერედიანი კონსტანტინე გამსახურდიას შესახებ. საერთოდაც, გამოუთქვამს კი რაიმე აზრი? ჩანაწერებში ერთ ასეთს წავაწყდით: *„გვეუბნებოდა ვერის პარკში ერთი ძველი პენსიონერი, ისტორიული დრამა ჩაეფიქრებინა, გაგენდობოდა, ცალკე დაგისვამდა, წვრილად მოგიყვებოდა, მორიდებული ყმაწვილები ვიყავით, ადვილად ვეღარ გამოვეხსნებოდით“*. აქ ყურადღებას იქცევს სიტყვა „პენსიონერი“. რატომ მაინცდამაინც პენსიონერი და არა მაგალითად, მოხუცი, ან ჭარმაგი ან სხვა მრავალი ისეთი სიტყვა, რომელთა მოფიქრებაც ჩვენს პოეტს ნამდვილად არავისგან ესწავლება, თანაც, თუ ცოტა არითმეტიკას მოვიშველიებთ, გამსახურდია ამ დროისთვის 65 წლისაც არ უნდა იყოს, მაგრამ რომც ყოფილიყო, განა ეს მწერლისთვის საპენსიო ასაკია? ნამდვილად არა. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში „პენსიონერი“ აღნიშნავს არა იმდენად ასაკს, რამდენადაც სამუშაო მდგომარეობას. როგორც ჩანს, დავით წერედიანიც იმ აზრს ემხრობა, რომ კონსტანტინე გამსახურდია ამ დროისთვის უკვე დიდი ხნის პენსიონერია, თავისი მწერლური კარიერა კარგა ხანია დაასრულა. ამ მოსაზრების თანახმად, მას შემდეგ, რაც საბჭოთა ხელისუფლებამ თავისუფლად წერა აკრძალა, კონსტანტინე გამსახურდიამ, ზოგიერთი სხვა მწერლისა და თავისივე პერსონაჟისგან განსხვავებით, ექსტაზში დასაღუპავად ვერ გაიმეტა საკუთარი თავი და ნამდვილი მწერლობისგან ისტორიული რომანებისკენ გადაუხვია. მწერლური გზა თავად წერედიანმაც მიატოვა და თარგმანისკენ აიღო გეზი, თუმცა აქ იძულება არ ყოფილა, შეეძლო წერა, პირიქით, აგულიანებდნენ კიდეც, მაგრამ ავტორს არ ეწერებოდა. თუმცაღა მიზეზს რა მნიშვნელობა აქვს, გადახვევა გადახვევაა და თუ ერთი პენსიაზე გასვლად შეფასდა (ჩვენ მიერ არა – იმათ მიერ, ვისაც ეს აზრი ეკუთვნის), მეორე რატომ უნდა შეფასდეს სხვანაირად? ვიდრე ამ კითხვას ვუპასუხებდეთ, აუცილებელია ორ სხვა კითხვაზე გავცეთ პასუხი. პირველი: რამდენად ღირებულია ის ლიტერატურული პროდუქტი, რომელიც მთარგმნელმა წერედიანმა შექმნა? და მეორე: რამდენად ღირებულია ის პროდუქტი, რომელიც ისტორიული რომანების მწერალი გამსახურდიას ხელიდან გამოვიდა?

მოგეხსენებათ, სიფრთხილეს თავი არასოდეს სტკივა, განსაკუთრებით კი მაშინ, თუ ლიტერატურულ წერილს აქვეყნებ, ამიტომ ამ კითხვებს უპასუხოდ დავტოვებთ, ან კი რა უფლება გვაქვს, შეფასებები ვაკეთოთ – ეს ხომ ძვირფასების, პატივცემულებისა და ღვაწლმოსილების პრეროგატივაა, ჩვენ კი მხოლოდ ცნობისმოყვარეები ვართ, უბრალო გამომძიებლები და არა მსაჯულები და სანამ კონსტანტინე გამსახურდიას ნახევარს მაინც არ გავაკეთებთ, მანამდე ჯობია, თავი შევიკავოთ მისი განსჯისაგან.

მასხარისა არ იყოს, მგონი, ჩვენც გვარიანად ავცდით გზას. რას ვიზამთ, ასეც ხდება ხოლმე. დროა, ნაწარმოებს დავუბრუნდეთ.

მსგავსება ბევრია, მაგრამ იქნებ რაიმე განსხვავებაც მოიძებნოს.

ერთი ასეთი, არცთუ უმნიშვნელო განსხვავება ის არის, რომ მნათე ოქროპირს თავისი საქმის შესრულება აკრძალული აქვს, მასხარას კი პირიქით, არათუ არ უკრძალავენ, უხმობენ კიდეც, მაგრამ თავად აღარ მიუწევს გული, ესირცხვილება *(„შემეფაკლება ღაწვი“)*.

ერთი წუთით! ეს ხომ ძალიან ჰგავს იმას, რაც წეღან ავტორების შესახებ ვთქვით. თურმე მთლად შორსაც არ წავსულვართ. ჩვენ კი ვიცით, რომ პერსონაჟისა და ავტორის გაიგივება არ შეიძლება, მაგრამ ხანდახან მაინც ხომ აქვთ ხოლმე რაღაც საერთო? აქ ეს საერთო თვალნათლივია: მნათე ოქროპირს, გამსახურდიასავით, აკრძალული აქვს მუშაობა, მასხარას კი, წერედიანის მსგავსად, საქმისკენ აღარ მიუწევს გული. აქედან ცხადია, რომ პერსონაჟები საწყის იმპულსს ავტორთა ბიოგრაფიებიდან იღებენ, მათი სახეების მსგავსება-განსხვავებები ზედმიწევნით ზუსტად იმეორებს ბიოგრაფიულ მსგავსება-განსხვავებებს; ამაზე დაყრდნობით კი ერთადერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება, პლაგიატი გამორიცხულია (ჩვენთვის იმთავითვე გამორიცხული იყო, მაგრამ გამოძიებამ რომ დაადგინა, მაინც კარგია).

კიდევ შეიძლებოდა გვეთქვა რაღაც გერმანიაზე, ექსპრესიონიზმზე, მაგრამ სადღაც ხომ მაინც უნდა დავამთავროთ, თანაც აზრის მდინარებას აყოლილნი თავდაპირველად ჩაფიქრებულ ფინიშს უკვე გამოვცდით და არცთუ უხიფათო წყალვარდნილებსაც მივუახლოვდით. ჰოდა, ვიდრე ჩვენი ამბავიც ექსტაზში სიკვდილით დაგვირგვინებულა, გვირჩევნია, აქ დაგემშვიდობოთ...

ალა დათუკიშვილი

ბექას

ჩვენ არ გვჯეროდა ფენიქსების მკვდრეთით აღდგომის,
რადგან სიკვდილი არა ჰგავდა გარდაცვალებას,
მღეროდა მაშინ ლენოქსი და შორი სადგურის
უჭერო ცის ქვეშ ყაყაჩოებს ყიდდნენ ცალებად.
იმ დროში სისხლი შეადგენდა რძიან ოპიუმს,
და რძე შემხმარი ტუჩებიდან სული გაექცათ,
მათ, ვინც საკუთარ სასახლეებს ჭაღი მოპარეს
რადგან სინათლე ერთი იყო შინ და გარეთაც.
და ლამფის შუქზე ჩაღამებულ თვალის ცეცებით,
გვიყვარდა კითხვა აგრონომის მისტერიების,
ისხდნენ ქუჩაში დოცენტები, როგორც ბეცები,
ჭამდა თაობას გაცეტება, ისტერიები...
სულზე გვიჭერდა ჩამომხრჩვალი ახალგაზრდობა,
უსამშობლონი სამშობლოზე თავებს ვწირავდით,
ასე გაწვდილი ვენებიდან დრო სისხლს გვიწოვდა
და სუქდებოდა ყველა ქუჩის ყველა წყვდიადი.
როგორი იყო,სად ვიყავით,რატომ ვიყავით,
დრო დაქცეული ვერასოდეს გაგვცემს პასუხებს,
ჩვენი სამშობლოც დღემდე დადის რკინის ნიღაბით
და ასე...
მხოლოდ მენიღბეთა ბედი აწუხებს.

სხვანაირი ქალები...

წელს იანვარმა აითრია მტკივანი ფეხი,
ვწყევლოთ თავბედი, რა აზრი აქვს ყველა დანარჩენს,
მე მენაღვლება სხვანაირი ქალების ბედი,
რომლებმაც უნდა მოითმინონ, რათა გადარჩნენ.
მე მენაღვლება, რომ ცხოვრება მსხვერპლით ვერ ძღება,
პირველი ღამის სარეცელზე ისევ ვმარცხდებით,
უნდა თავები დავიხოცოთ, როგორც მერცხლებმა
ცივი ფანჯრების ჟალუზებზე შემონარცხებით.
რომ იქნებ გაძღეს თეთრი თოვლი სისხლის დანახვით,
ველარ გავიგოთ კართან უცხომ როგორ ახველა
და, ღმერთო, ღმერთო, რამდენი რამ უნდა დავმარხოთ
ღამეში, სადაც წამებაა თვალის გახელა.
მე მენაღვლება ეგ თითები, წინდებს რომ კერენ,
და იმედებად დარჩენიათ პატარა დები,
მოდის საღამოს დამშეული ოჯახი მერე
და საჭმლის სუნში გეხარშება სული და კვდები.
და თითქოს ლუკმა-ლუკმად აჭმევ შენსავე გულღვიძლს
ყველას და ასე ცოცხლად იტან სასტიკ განაჩენს,
დანაყრება კი ისეთია, რომ ყველას ულირს
იყოს, ითმინოს, შეეწიროს, რათა გადარჩნენ...

ქისტური ოდა

მეფიქრები, რომ ქუჩაში ხარ თხელი მაიკით,
რომელსაც ალბათ ახატია რემბოს მკლავები,
ხმას უთიშავ და არ პასუხობ უცხო დარეკილს,
არ სვამ ალკოჰოლს, არც თამბაქოს არ ეკარები.
გულში იცინი, როცა ქუჩას მოაქვს ცხელება
და როცა ხელებს გაჩვენებენ კასტეტებიანს,
რადგან ყველაფერს მიეჩვიე შიშველ ხელებით,
ბავშვობას თოვლის ხელთათმანიც არ გკეთებია.
თუ კი საერთოდ ან ოდესმე იყავი ბავშვი,
რადგან როგორც კი დაიგულე ცხენი მეგზურად,
შენს ბედაურზე მთელი სახლის ტვირთი გადასვი
და ეჭვი არც კი შეგპარვია, რომ ვერ გეზრუნა.
დაგქონდა ასე აისები მკვირცხლი, ხალასი,
ბავშვი იყავი და კაცური დარდი გესია,
და გქონდა ხედი ჯოყოლოში ისე ლამაზი,
ორი მეჩეთის გასაყარი და ეკლესია...
მაშინ ბავშვები ჯოჯოხეთის ბალახს სუნთქავდნენ
ჩემს სოფელში და არყის ბოთლმაც ბევრი დაახრჩო,
ამ შებოლილი ოცნებებით ვკრავდით მუთაქებს
და ძირიანად ითხრებოდა ჩვენთან ყაყაჩო.
ვიჯექით მაშინ და ვარსკვლავებს სიზმრად ვითვლიდით,
რადგან ცა იყო ისე ბნელი, ისე ზარმაცი,
შენ რომ დედიკოს უმალავდი კოჟრებს იმ დილით,
ღმერთმა იხილა ეგ თითები და... ჩვენ გადავრჩით.
მეფიქრები, რომ ქუჩაში ხარ თხელი მაიკით,
რომელიც ასე ჩამიბეჭდეს რემბოს მკლავებმა,
თბილად ჩაიცვი — გიმესიჯებ მთელი პანიკით,
შენ კი მპასუხობ — ქისტს სიცივე არ ეკარება!

ნაქარალი

გადაივაკეს ქარიშხლებმა და შენ მოხვედი,
ეს ნაქარალი უდაბნოზე უარესია,
აქ მარტოობის ვამპირები სხედან მოლბერტზე,
ხაიმ სუტინის გაფატრული ხორცით კვნესიან.
ახლა წითელი ზეცა მიწვავს თვალებს სისხლიანს,
ვიცი, ელფები გააღებენ ზეცის კარებებს,
ხალხი კი, ხალხი ისეთია, როგორც იციან,
უნდა დაეცე, დაეცე და შეგიყვარებენ.
ცა შენი სახლის სახურავზე ნამქერს გადაშლის,
აქ სახურავი არ სჭირდება სახლებს თივიანს,
რადგან არასდროს არ მოსულა თოვლი ქალაქში
და უთოვლობა ისეთივე ბუნებრივია,
როგორც უშენოდ დარჩენილი მე ვარ, ძვირფასო.
აქ ბუნებრივად კამათობენ მხოლოდ მზეზე და
ბედუინების ათასგვარი სისხლის ჰარემზე
ზოგჯერ უდაბნოს ყვავილებიც ისე მბეზრდება,
რომ ამ წელიწადს ავდექი და აღარც დავთესე.
და ხომ გითხარი, საშიშია ეს ნაქარალი,
არ მოგატყუოს ამ ვნებებმა, თუ კი ავეშვი,
რადგან ყოველი, როგორც გჯერა, ისე არ არის,
არ გაბედო და არ ჩამხედო,
ამ მკვდარ თვალებში.

ჰიჯამა

თითისწვერებზე შემომდგარი ნერვით იღამებ,
როგორი ცაა, ვარსკვლავები იქცნენ ყასბებად,
თითქოს ორსული საფლავები გადმოიღვარნენ
და კიდევ მეტი შვილი უნდათ ამოსავსებად.
გაკვეთილი ხარ,როგორც კვეთავს კედელს მიწისძვრა,
ქვით ჩაქოლილი ტანი ხარ და თვითონ ქვიტკირი,
რაც მთავარია, ვინც გიყვარდა არა იცის რა,
რომ მკვდარი ცოცხალ ჭირისუფალს აქეთ მისტირი.
არაფერია, ამ ჰიჩკოკის გმირსაც აიტან,
საკუთარ მხარზე დააძინებ ვამპირ წყვდიადებს,
სიცოცხლეს მაინც უყურებდი, როგორც ნამეტანს,
გადარჩი მხოლოდ იმიტომ, რომ სხვებმა ინატრეს...
მე ლექსი ვიცი, ნუშის ყვავილს გავდეს რითმები,
ლაღად დახტოდეს ირემივით მოქნილ ფეხებით,
შენ კი დგახარ და ყველა ლექსით სისხლში ითხვრები,
მკვდარი სხეულით ყველა დაჭრილს ზურგზე ეხვევი.
თითისწვერებზე შემომდგარი ნერვით აღამებ,
რა მწარედ გახსოვს, შენი ჯავრი ვინც არ იჯავრა,
ან შენში იყო ან იმათში, ჰო და ნაგავმა,
ცუდი სისხლივით გაიწოვა, როგორც ჰიჯამა.

თოვლის პათოსი

ბოშა გიოს

ღამეა ახლა დეკემბრის და სისხლის სიცივის,
ამ მთების იქით ჭირხლია და თოვლის პათოსი,
ახლა თელავის გალავანთან ბოშა იცინის,
და ცხელ ფიქრებზე მითამაშებს თითებს გათოშილს.
მისდევენ ქუჩებს დაუღლელი ფეხისგულები,
თითქოს ეძებენ სამშობლოს და განგის ნაპირებს,
ეძებენ, რადგან ჩვენ სისხლისგან არ ვიკურნებით,
უცხო მხარე კი სისხლს უფრორე მეტად აყივლებს.
წამოაყვედრეს გამვლელებმა ხურდა ამაგი,
ხურდა, რომელიც ჩამოსცვივდათ წმინდა ფრთებიდან,
არადა, ბიჭზე პატარაა ჩემი ქალაქი,
ისეთი მორცხვად იყურება ძველმანებიდან.
როგორი მძიმე ღამეა და როგორ შემცივდა,
დღემდე ველი და არ მოდიან ტყესთან ირმები
და ვხვდები, რატომ გამომიღე შენი ნეკნიდან,
მარტოსულობა გაგაგიჟებს, ისე ირევი...
უკვე რამდენჯერ მოგიყევი, აქ უდაბნოა,
ვერ გამოვყვები სადგურისკენ შენს ძველ ბანაკებს,
ვერ მოგიყვები, ვინც მიყვარდა, როგორ დამტოვა
და ვეღარც შენგან ვერ მოვისმენ ბოშის არაკებს.
არ ვიცი, იქნებ ისე მოხდეს, ვეღარც გიხილო,
ოცნებად დარჩეს ნაშვილები ბიჭის პათოსი,
გმადლობ, ყოველთვის რომ გახსოვდა ჩემი სახელი,
გმადლობ, გულში რომ მიხუტებდი ამ სულგათოშილს.



თეონა

ანეკდოტია

არაფრისმთქმელი მზერით ვეძებ ამინდის პროგნოზს:
თოვლია მალე. ჰაერი კი ცივი, ნოტიო.
იქნებ არ იცი: ეს ცხოვრება, ჩვენ რომ არ მოგვწონს
ერთი პატარა უბადრუკი ანეკდოტია.

ცივი ქალაქის ცას შევყურებ თბილი იმედით
და ჩემს არეულ სულს მაგონებს მისი ტრანსპორტი.
აღარ მეგონა, გულწრფელად თუ გავიღიმებდი
თუმც განსაცდელის სიმძიმისგან... წელში გავსწორდი.

სკვერებში სხედან ქალაქელი ლურჯი მტრედები
და ონავრების ცელქ ნაბიჯებს ელოდებიან.
არ გეუბნები: როცა შენსკენ არ ვიხედები,
ეს გულიც ერთი მოფრთხიალე დიდი მტრედია.

ასე უჩუმრად ჩავინიშნავ ამინდის პროგნოზს:
თოვლია გულში. ცრემლები კი — სველი, ნოტიო.
დაიმახსოვრე: ეს ცხოვრება, ჩვენ რომ არ მოგვწონს,
ერთი უნიჭო, უბადრუკი ანეკდოტია.

ძვირფას სახეებს

ეს ქარი თითქოს გადაღლილ ნაძვებს
აწუხებს და თან სევდა ერევა,
ჰგონია, დარდი მიწვდება ცამდე
და ძლიერ იკლო ბედნიერებამ.
ვუსმენ უამურ ქროლას და ზუზუნს,
გაზაფხულს ველი და ასე ვუძლებ
ღრუბლების პირქუშ და მძიმე კუნძულს,
მე რომ ლოდივით მედება გულზე.
ვიძინებ ასე... დილით კვლავ ვებრძვი
დარდში აბურდულ ფიქრის მახეებს
და — დინებასთან მებრძოლი თევზი —
ფიქრში ვუღიმი ძვირფას სახეებს.

მოვა ვიღაცა

მოვა ვიღაცა, გადაგარჩენს და წავა
და დაგიტოვებს ფრთებს ჩამოშვებულს თუმცა,
მაინც განაგრძობ მერე სვლას და წვას თავად,
ვერ ეგუები ამ განშორებას უცბად.
მაგრამ თენდება. ისევ იბმება ჯაჭვი,
ძველებურ დღეებს ცდილობ, გაექცე, ილტვი...
ნელა ენთება მზეც. ძველებურად არ წვიმს
და ფერადდება ფიქრის შავ-თეთრი ტიტრი.

ამაოება

დახვეტავს ქარი მოგონების ცისფერ ბარათებს
და ერთიანად შემომაყრის არეულ სულზე.
მე დარდით სავსე მეათასე ღამეს გავათევ
შენ — ვერასოდეს ვერ გაიგებ, რას როგორ ვუძლებ.
საკუთარ თავსაც კი ვუმალავ არეულ დარდებს
და არ ვუყურებ არც ერთ მათგანს ღიად თვალებში.
მერე ვკითხულობ ლექსებს ჩუმად, ვინ იცის, რამდენს
და ვრწმუნდები, რომ შეცდი, როცა ხელი გამიშვი.
თბილ შემოდგომის დღეებს გულზე მალამოდ ვიდებ
და ხელს მისვამენ თავზე მშვიდი საღამოები.
მიყვარს, როდესაც ცხოვრების გზას ღიმილით მივდევ,
თავს მახსენებდეს თუნდაც ურჩი ამაოება.

მონატრება

ჯერ არ ეტყობა ამინდებს, რომ
სექტემბერია,
ტროტუარებზე გაწოლილა ზაფხულის ხვატი.



ბითაძე

ეს ორი დღეა, ხასიათში შემომერია
ნაღველი,
ჩემგან მოშორებით დადიხარ რაკი.
სადღაც მოწყენით თვლემენ ხმელი ძაღლები ქუჩის,
მერცხლები მარტო დატოვებენ მამაც ბეღურებს
და შემოდგომის მიწურულზე,
როცა ითოვებს,
გამვლელი შურით თვალს შეავლებს
ჩვენს ნაფეხურებს
გაკვალულს ერთად.
მერე მოვა ახალი ფიფქი,
შეენაცვლება წვიმა ქარებს, მერე ქარი — მზეს.
შენ ისევ ტკბილად დამამშვიდებ, რომ არ ღირს ფიქრი
და ძველებურად ჩაიღიმებ,
ლექსს თუ დაგიწერ.

ისევ ლექსებთან

ვიარე და ისევ ლექსებთან მივედი,
ცხრა მთა გადავლახე და სხეულდაღლილმა,
ნატანჯი სულით და მფეთქავი იმედით
სულის მოსათქმელად მოვნახე ადგილი.
ვიარე და ბოლოს მიშველა ლექსებმა,
გულს არ სდომებია სხვა რამე — წამალი,
ვერ მარგო ცივმა და სასტიკმა წესებმა,
გარს რომ მეხვეოდნენ ურიცხვი ამალით.
შენს გულშიც უმანკო ლექსები ყვავიან
და მინდა,
ერთ დღესაც
მაგ გულში ჩაგხედო.
ვითომც არაფერი, ქუჩაში ქარია,
სულ არ ენაღვლება,
ასე რომ ვთავხედობ.

საღამოს დარდი

როცა გარეთ დიდი, მოწყენილი,
კოხტა ნეკერჩხლები ტოტებს ხრიან
და ცას ეფერება კანტიკუნტად
მოშავო ღრუბელი რამდენიმე,
ამ დროს მახსენდები დაჟინებით
და ცაც, ღრუბლებთან რომ ალერსშია,
ისე გულმოდგინედ იქუფრება,
რომ ამ მოალერსეთ აატირებს.
მერე უფრო ძლიერ მომინდება
მხრებზე შენი ხელის შემოხვევა,
მაგრამ, ხელს ავუქნევ საკუთარ თავს:
ჩვენ ხომ ერთმანეთს არ ვერითმებით.
გზებიც სხვადასხვა გვაქვს, საფიქრალიც,
ერთი მეორეს რომ არ ემთხვევა:
სწორედ ამიტომაც ვერ შეგბედავ,
შენი ვერაფერი ვერ ვიქნები.

თვითირონია

რად გვინდა ზედმეტი ვარამი,
ვერ ხედავ? ცხოვრება მიდის.
თან არ გადაგყვება არავინ,
სჯობს იყო დინჯი და მშვიდი.
რაღა საჭიროა, სიყვარულს
მიხსნიდე შენ წარა-მარა.
მიწაზე კი მყარად სიარულს
დროა მივეჩვიო, კმარა
ოცნების ბილიკზე ფრენა და
გულშიც სიყვარული დიდი.
თან არ გადაგყვება არავინ,
ცხოვრება მარტივად მიდის.

დეგიუტი

ვახო ვახტანგაძე

ჩემს მეგობარს

ჩემს წიგნებს თამბაქოს
მიმზიდველი სურნელი ასდის,
ჩემს თაროებსაც,
მაგრამ ფურცლებს
განსაკუთრებით სასიამოვნო
ამოსუნთქვის სიყვითლე დაკრავს,
ნიკოტინის ტრაგიკული გამოძახილი.
სულ მცირეოდენ,
შუა გზაზე მიტოვებულებს
შერჩათ სითეთრე.
რაღაცით აბორტსაც წააგავს ალბათ
შუა გზაზე მიტოვება დაწყებულ წიგნის.

ჩემს ოთახს მძიმე სურნელი აწევს,
უკვე ჩამომხმარ ჩემი ფილტვების გამონაბოლქვი,
კიდევ კარგი რომ ყვითელ ფერშია გადაწყვეტილი,
შენის არ იყოს...
როდესაც დიდხანს მიწევს წასვლა,
და ვუბრუნდები
უკვე განწმენდილს ცოდვებისგან
მშობლიურ ოთახს,
ნერვები ისე მეძაბება,
თითქოს ნაწილი ჩემი სხეულის
შეუცვლია ვიღაცა ჭკვიანს
სხვისი კიდურით.
შემდეგ ასმაგად მოწადინებით ვხრჩოლავ მომდევნოს,
ხშირად ასანთის გაკვრაც არ მინდა,
უკვე ჩაფერფლილს,
მეორეზე გადავუკიდებ
და მორჩა კინო.
შენ გიყვარდა ასე მოწევა,
შენი ქართული ნესტიანი ტაბაკის.

შენგან ვისწავლე ძალიან ბევრი,
ყველაზე მეტად შენ ცდილობდი
დასაწყისშივე ამომეცნო ჩემი თავი,
სასიკვდილო ცოდვები ჩემი
და ხმამაღლა,
ამაყად მეთქვა:
საკმარისია!..
თუმცა ყველაზე შესანიშნავად,
შენვე უწყოდი,
რომ სწორედ ცოდვა
გვაყალიბებს ადამიანად,
და არსებობის სიყვარულის,
მიზანს გვისახავს.
სამწუხაროა,
ასე მალე დასრულდა, რასაც
შენი ცხოვრების კინო ერქვა.
ვინ იცის,
ბევრად მეტსაც გამოგტყუებდი,
იმ ფირს რომ კიდევ ეტრიალა,
შენი ცხოვრების კადრები რომ აუსახია...
ნეტავ რომელი ფირი ეყოფოდა?

მოკლედ რომ გითხრა,
მომენატრე,
თამბაქოს ყოველ ღრმა ნაფაზზე
მახსენდება შენი ჩასუნთქვა
და ხორხის სიღრმიდან გამოსროლილი
მწველი იუმორის შემცველი სიტყვები.
რომ შეგახედა
ახლა ვერლიბრს ვწერ,
თანაც შენზე,
მოჰყვებოდი ალბათ გინებას,
ვერლიბრაანთ გოგო-ბიჭების.



ვიცი, სიკვდილი დასაწყისია,
მეორე, ბევრად გრძელი ცხოვრების.
მე ისევ ჩემს ოთახში ვარ,
კვამლით გაბუღულ ოთხკუთხედში,
ვერაფრით ვიძინებ,
ვერც რითმას ვაწყობ,
ვერც ჯვარედინს,
ვერც აქა-იქას,
ამიტომ ვერლიბრს მივეტანე,
გონებას ვთიშავ,
ღერიდან პირდაპირ
ღერზე ვუკიდებ
და გაკვრით ვავსებ
მიყოლებით უამრავ ფურცელს,
იმდენად სწრაფად
გაყვითლებასაც ვერაფრით ასწრებს.
ვიღაცა უცხოს,
ჯანსაღი კაცის
ნაწერიც კი ეგონებოდა.

ალბათ ამას მომიწონებდი,
ალბათ არა!
აუცილებლად.
რომ არ ვჩერდები,
კარგად თუ უქმად
მაინცა ვსწერამ.

— უბერავ კიდე? —
მირეკავ ხშირად,
მეკითხები ყოველთვის, როცა
მეორე ხელში გავსებული მიჭირავს ჭიქა.
ერთხელ ან ორჯერ,
ზუსტად არ მახსოვს,
სინდისის ქენჯნამ თუ გადამძალა
და მოგატყუე:
— არა, რას ამბობ... —
ალბათ საქმე მოვიმიზეზე.
ან შესვენება
დალევიდან დალევებს შორის.
სულ რომ ტაძარში ვმდგარიყავი,
ხელში სანთლით,
უბახუსო,
ნაკურთხ ღვინოზეც უარი მეთქვა,
მაინც მეტყოდი:
— დაანებე რა!..
სანამ დრო გაქვს,
სანამ ხელი
და გონება გიჭრის.
მეც გპირდებოდი.
მერე დიდხანს მოჰყვებოდი
ათასფერ ამბებს.
დღემდე არ ვიცი,
ნეტავი როგორ ახერხებდი
ერთი თემიდან მეორეზე
გადანაცვლებას ასე ფაქიზად.
ბოლოს უცებ გამითიშავდი,
და მერე ისევ ორივენი,
ჩვენი ცხოვრების ყველაზე მძიმე,
სავსე ჭიქას
გადავკრავდით სულმოუთქმელად.

არ ვიცი, რა ვთქვა,
არც ის ვიცი,
აქამდე რაც ვთქვი.
ერთი ნაღდია,
მომენატრე,
ყოველი ღერის
შემდეგ ღერზე გადაკიდება
შენს თავს მახსენებს.
და იმ საოცარ,
ოთხკუთხედ ოთახს,
სადაც ხშირად გვისაუბრია,
რომელიც რატომღაც
ყვითელში იყო გადაწყვეტილი.
ნეტავი რატომ?..

ეროვნული ბიბლიოთეკა

*

ერთი პოეტური ტექსტის სხვადასხვანაირად წაკითხვა...

სხვადასხვანაირობაც არის და სხვადასხვანაირობაც. მოსცხებენ კრიტიკას და მერე თუ გაირკვა, რომ სულ სხვა რამეზეა ტექსტი, წარბშეუხრელად და ნირშეუცვლელად იტყვიან — მე ასე დავინახე, და ლიტერატურის თვისება და ხიბლიც ეგ არის, მისი სხვადასხვაგვარად წაკითხვა რომ შეიძლებაო; კიდევ — გამოქვეყნებული ტექსტი ავტორს აღარ ეკუთვნისო და ა. შ.

სინამდვილეში, როცა დაწერილსა და წაკითხულს შორის ასეთი — რადიკალური — აცდენაა, ამ სამიდან ერთ-ერთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე: ან ავტორმა თქვა გაუგებრად, ან კრიტიკოსმა ვერ გაიგო გასაგებად ნათქვამი, ან კიდევ ვერც ავტორმა თქვა მთლად გასაგებად და კრიტიკოსმა იმასაც სულ სხვა სახელი დაარქვა, რაც ოდნავ მაინც გასაგები იყო.

ასე ვამატებთ და ვამატებთ ლიტერატურას ბუნდოვანების საბურვლის თითო (ორ-ორ, მეტ-მეტ) ფენას და იმანაც რაღა ქნას — თანდათან სრულ გაუგებრობად იქცევა.

*

საჭირო რამაა ლიტერატურული კრიტიკა — მისი წყალობით მშვენივრად ერკვევი, ვის როგორი პირადი დამოკიდებულება აქვს ერთმანეთთან, სულაც — ვინ ვისთან მეგობრობს.

*

საპნის რეკლამებში ხელებზე და საკვებზე უჩინრად განლაგებულ თუ მობინადრე ბაქტერიებს მსხვილ-მსხვილად რომ გვიჩვენებენ ხოლმე...

რაღაც ასეთი, ასეთივე არასახარბიელო უნდა იყოს კარგი ლიტკრიტიკოსის მახვილი და ობიექტური თვალის სანახები.

*

არის ბარბარიზმები, სხვა ტიპის ენობრივი დარღვევები, რომლებიც ასე მკვიდრდება პრაქტიკულ ენაში: ერთხელ იტყვის ვინმე და ყურს რატომღაც მკაფიოდ, მძაფრად მოხვდება, სხვაზე იოლად დაამახსოვრდება, იმეორებს მერე მეორე, მესამე, ოცდამეშვიდე... ასე ხდება სხვადასხვა თეორიაში, მათ შორის — ლიტერატურულ კრიტიკაშიც: ესა თუ ის მცდარი, საეჭვო, გაუგებარი მოსაზრება კლიშედ მხოლოდ იმიტომ დამკვიდრებულა, რომ თავის დროზე რატომღაც ყურს მძაფრად მოხვედრია და იოლად დამახსოვრებია...

*

სოციალურ ქსელში ერთ-ერთი დიალოგისას სიტყვამ მოიტანა — კარგი იქნებოდა, გარკვეულიყო, რა პრობლემები აქვს ჩვენს (ჩვენში) ლიტერატურასო. ისიც იქვე ითქვა, რომ ყველა პრობლემის აღნუსხვა და ამ ნუსხაზე შეთანხმება (ან თუნდაც იმაზე შეთანხმება, თუ ვინ უნდა შეთანხმდეს ამაზე), მსუბუქად რომ ვთქვათ, ძნელია. სხვისი არ ვიცი, მე კი ამ „პროვოკაციამ“ თავში ზედიზედ რამდენიმე პრობლემა წამომიტივტივა. მათი ნაწილი, ასე ვთქვათ, ზოგადსაკაცობრიოა, ნაწილი — ქართულ ლიტერატურასა თუ ლიტერატურულ გარემოს განსაკუთრებით ახასიათებს. ზოგი მკაფიოდ გამოკვეთილია, ზოგი უფრო ივარაუდება. ამას გარდა, ისინი ერთმანეთსაც კვეთს, სხვადასხვა კლასიფიკაციისაა და ა. შ. მოკლედ, რაღა ბევრი გავაგრძელო:

1). მწერლობა — მეორადი პროფესია.

საქართველოში მწერლობით თავის რჩენა, პრაქტიკულად, შეუძლებელია. მწერალი იძულებულია, შემოსავლიანი სამუშაოსგან თავისუფალ დროს „იყოს მწერალი“. ოდნავ განსხვავებულ შემთხვევებს ნუ გამოვეკიდებით — ძირითადად მაინც ასეა.

2). ნიჭიერთა ნაკლებად თვითპრეზენტაციულობა და პირიქით — უნიჭოთა მეტად თვითპრეზენტაციულობა.

3). ზედაპირული აზროვნება.

ბოდიში, მაგრამ ტექსტების უმეტესობა სურვილს იწვევს, მასში ავტორის უფრო მასშტაბური აზროვნება გამოსჭვიოდეს.

4). ინფორმაციის ნაკლებობა.

ტექსტების უმეტესობა ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ მათმა ავტორმა ცოტა რამ იცის. ყოველ შემთხვევაში, ისინი ინფორმაციულად მსუბუქია.

5). საკუთარ თავზე მცდარად დიდი წარმოდგენა.

6). „კრიტიკის არარსებობა“.

ეს ალბათ გაზვიადებული (უფრო სწორად, დაკნინებული) შეფასებაა. მაგრამ ლიტერატურულ წრეებში ამას ისე ხშირად ჩივიან, უნდა მივიჩნიოთ, რომ კრიტიკა იმაზე გაცილებით ცოტაა, ვიდრე სასურველი და საჭიროა.

7). მხოლოდ დადებითი კრიტიკა.

კრიტიკის არარსებობის შთაბეჭდილებას ისიც ქმნის (ან – კრიტიკის არარსებობას ისიც განაპირობებს), რომ რეცენზენტების დიდი ნაწილი მხოლოდ დადებითი, მაქებ-მადიდებელი კრიტიკით არის დაკავებული.

8). პირად ურთიერთობაზე დამყარებული კრიტიკა.

ადამიანისადმი კერძო დამოკიდებულება (თუნდაც, ვთქვათ, მასთან ერთ

ზაზა ბიბილაშვილი

პოეზია, დანარჩენი ლიტერატურა, და დანარჩენი

2017

კონკრეტულ საკითხზე წამოჭრილი კონფლიქტი) მისი შემოქმედებისადმი დამოკიდებულებად იქცევა ხოლმე.

9). კრიტიკის მიუღებლობა.

ადამიანის კიდევ ერთი ბუნებრივი თვისების გამოვლინება ლიტერატორებში. ამჟღავნებს ტენდენციის ხასიათს: როცა ათიდან ცხრა ავტორი არ იღებს კრიტიკას, მეათეც ერთგვარად „იძულებული“ ხდება, ასევე მოიქცეს, რაკი, სხვაგვარად, მხოლოდ ის დარჩება გაკრიტიკებული. არადა, შესაძლოა ეს მეათე, ზოგადად, არც არის კრიტიკისადმი უარყოფითად განწყობილი.

10). მერკანტილიზმი.

ერთი ლიტერატორის ანგარებიანი მიდგომა მეორე ლიტერატორისადმი: რაკი ეს მეორე თავისი გრძელ- ან მოკლევადიანი მდგომარეობით ანგარიშგასაწევი ფიგურაა და მისი კეთილგანწყობის მოპოვება პირველისთვის მერკანტილურად სასარგებლოა, ამიტომ პირველი ან პირდაპირ ემლიქვნელება მას და არსაქებელს უქებს, ან ყველანაირად თავს არიდებს მის შემოქმედებაზე აზრის გამოთქმას — მაშინაც კი, როცა ეს მოეთხოვება.

11). მადლიერება, სიკეთეზე სიკეთით პასუხის ინსტინქტი.

12). მეგობრობა.

ეს კეთილშობილური ადამიანური გრძნობა (თუ რაც არის) ალბათ სხვა პროფესიებსაც არ აკლებს ხელს. ლიტერატურული ობიექტურობისთვის კი თვალსაჩინო პრობლემაა.

ხატოვნად ასეც შეიძლება თქმა: იქნებ ისეთ მტრობას ვერაფერი უწევს ჩვენს ლიტერატურას, როგორსაც მეგობრობა.

13). „უწუპუწუ“ ურთიერთდამოკიდებულება ლიტერატურაში.

თითქოს ეს, ძირითადად და უფრო გამოხატულად, ერთ-ერთ სქესს ახასიათებს, თუმცა გვხვდება მეორე სქესის წარმომადგენლებშიც.

14). იმ ჟანრებთან, ფორმებთან ბრძოლა, მათი მარგინალიზება, რომლებიც ამ ბრძოლა-მარგინალიზაციის სუბიექტებს არ / ვერ ხელეწიფებათ.

15). ენჯიოშეკვეთები, ენჯიომწერლობა — პირდაპირ დაფინანსებული ლიტერატურული პროექტები ან არასამთავრობო სექტორში მოდური თემების გამიზნული დამუშავება ლიტერატურაში, თან — ამ თემებისადმი შემკვეთის თუ ინსპირატორის დამოკიდებულების გათვალისწინებით.

თუ ე. წ. არასამთავრობო ორგანიზაციას ეპატიება პრობლემის ცალმხრივად გამოკვეთა და შესაძლოა ეს მისი ეფექტიანი ფუნქციობისთვის აუცილებელი ხერხიც კი იყოს, მწერლობისთვის მეტად მდარე სტილია სწორხაზოვნება, ცალმხრივობა და მისთ. ვფიქრობ, ზოგადად, ასეთი აზროვნება ანტილიტერატურული აზროვნებაა; და ლიტერატურისთვის მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობა არა აქვს, ვინ იძლევა თემის შეკვეთას — კომპარტია თუ რომელიმე უფლებადამცველი ორგანიზაცია.

16). ტექსტის, ასე ვთქვათ, გაიგივება ავტორთან, ავტორის ბიოგრაფიის მიბმა მის შემოქმედებასთან.

ამის საცდური დიდია. ეს, შეიძლება ითქვას, ბუნებრივად ხდება. პიროვნული თვისებები ან თავგადასავალი ნებისმიერ პროფესიულ იმიჯს სძენს ან აკლებს რაღაცას. პროზაში პირველი გრამატიკული პირით თხრობა აძლიერებს ინტიმისა და დამაჯერებლობის შეგრძნებას. დოკუმენტური ლიტერატურა, ძირითადად, სულაც ამით ფასობს. შეგვიძლია, გავიხსენოთ საჯარო ლიტერატურულ პრეზენტაციებში ავტორის მონაწილეობის მნიშვნელობაც.

თუმცა ჩამოთვლილი ფაქტორები იმას არ ნიშნავს, რომ ეს ტექსტის ობიექტურად აღქმას ხელს არ უშლის. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია ადამიანი და იქნებ — ლიტერატურაზე მნიშვნელოვანიც. მაგრამ თუ ამ უკანასკნელის ხარისხს ვარკვევთ, მაშინ ის — ლიტერატურა ყველაფრისგან დამოუკიდებლად უნდა განვიხილოთ.

მაგალითად, ტექსტის — თუნდაც ის ლირიკული პოეზიის ნიმუში იყოს — შესაფასებლად სულ არ არის საჭირო იმის ცოდნა, მასში გადმოცემული ამბავი ან ემოცია მართლა გადახდენია ან განუცდია თუ არა ავტორს. თუ ავტორი ამტკიცებს, გადამხდა და განვიცადეო, მაგრამ ეს ტექსტში არ ჩანს, მაშინ ტექსტი არასრულფასოვანია და მნიშვნელობა აღარა აქვს იმას, რომ ავტორის ბიოგრაფიაში (ვთქვათ) მართლა მოხდა ეს ყველაფერი. მეორე მხრივ, თუკი ტექსტი გვაჯერებს, რომ ავტორს (ლირიკულ გმირს, პერსონაჟს) ეს გადახდენია და განუცდია, მაშინ არაფერს ნიშნავს, რომ (თუ) აღნიშნული ამბავი და განცდა ავტორის ბიოგრაფიისთვის უცხოა. გადაუხდენლის განსაცდელად არსებობს წარმოსახვა, ფანტაზია, სხვის ტყავში შეძვრომის ხელოვნება და სხვა სამწერლო ილეთები და მონაცემები.

17). სოციალური ქსელები.

რამაც, ერთი მხრივ, ნაწილობრივ გაანეიტრალა ლიტერატურული კლანები და მკითხველამდე გზა გაუხსნა „დაჩაგრულ“ ავტორებს, მანვე, მეორე მხრივ, კიდევ უფრო ნააქეზა არაპროფესიონალიზმი.

18). ლიტერატურული კონკურსების არასრულფასოვანი ხასიათი.

შესაბამისი პროფესიული თუ ფინანსური რესურსის არარსებობა ან არმოძიება. ჯერ — ორგანიზატორების, შემდეგ კი ჟიურის ზერელე მიდგომა საქმისადმი. ელემენტარული უპასუხისმგებლო დამოკიდებულება, საკონკურსო მასალის არწაკითხვა.

ლიტერატურულ კონკურსებს მნიშვნელოვნად ვნებს სახელების ავტორიტეტიც. მართალია, ავტორის სახელი ხშირად მიუთითებს ნაწარმოების ხარისხზე, მაგრამ არა — ყოველთვის. ყოველთვის ასე რომ იყოს, მაშინ ჟიური საჭირო აღარ იქნებოდა.

და სხვა.

19). ჩვეულებრივი სნობიზმი.

20). ამ სიის არასრულყოფილება. თუმცა ეს ყველაზე მცირე პრობლემაა, ალბათ.

*

„ლიტერატურულ კონკურსებში გამარჯვება-დამარცხება პირობითი ამბავია“.

ამ ფრაზას დამარცხებულის (უფრო სწორად — ვერგამარჯვებულის) დასამშვიდებლად იყენებენ ხოლმე. ამ დროს, შეიძლება ის ჭეშმარიტებასაც ღაღადებს, მაგრამ დამამშვიდებლად იმ კონკურსანტისთვის თუ ივარგებს, ვინც კონკურსში დამარცხებას დეპრესიაში ჩაუგდია და მის თვითშეფასებას არასწორად მიაქანებს კატასტროფისკენ. ასეთი რამ კი არც ისე ხშირად ხდება.

სხვა მხრივ, ვერაფერი დამამშვიდებელი ფრაზაა. ტაძრისა და გზების ურთიერთმიმართება არ ვიცი, მაგრამ, აბა, რა საჭიროა კონკურსი, თუ ის პირობითია?

*

ჟიურის წევრის ჟიურის წევრობა ნიშნავს, რომ მას კარგად ესმის ის, რასაც აფასებს; იმათზე კარგადაც კი, ვისასაც აფასებს. ყოველ შემთხვევაში, ასეთი მოვალეობა დააკისრეს — მოვალეობა, ავტორზე უკეთ ესმოდეს.

ანუ შეიძლება ითქვას, ჟიურის წევრი ავტორზე მნიშვნელოვანი ფიგურაა კონკურსში. მაგრამ ეს მის არამიწიერ უნარებს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს. შესაბამისად, მას არ უნდა ჰქონდეს, ვთქვათ, 2 დღე იმისთვის, რომ 1000 ნაშრომი წაიკითხოს. ასეთი თანაფარდობა თავის გასამართლებლად თუ გამოადგება ისევ მას — მერე რომ თქვას, ან იგულისხმოს — აბა, რა მექნაო. ამას გარდა, ჟიური ხშირად მიანიშნებს, რომ ნაშრომის ფასის განსაზღვრა პირველივე აბზაცების წაკითხვით შეიძლება. ხშირად მართლაც ასეა, მაგრამ არა — ყოველთვის. არის წიგნები, რომელთა მეორე ნახევარი უფრო ძლიერია, ვიდრე პირველი.

ეს მნიშვნელოვანი ფიგურა, რასაკვირველია, ენთუზიაზმზე არ უნდა მუშაობდეს. მისი შრომის ანაზღაურება პრემიაზე ნაკლები (საგრძნობლად ნაკლები მაინც) არ უნდა იყოს. ოღონდ ეს ჟიურის (ჟიურის წევრის) კეთილდღეობაზე ზრუნვას კი არა, მის დიდ პასუხისმგებლობასა და მოვალეობას უნდა გულისხმობდეს. მაგალითად, კარგი იქნება, ჟიური რეცენზიით განმარტავდეს თავის დამოკიდებულებას ამა თუ იმ საკონკურსო ნაწარმოების მიმართ (პრაქტიკული გამოცდილება იმის სურვილსაც კი იწვევს, რომ ეს მიდგომა თითოეულ საკონკურსო ნაშრომს შეეხოს, რაკი იგივე გამოცდილება აღიარებს შესაძლებლობას, გამარჯვებულ ტექსტს ფინალში ვერგასული ტექსტი სჯობდეს). ამ ფორმატის დანერგვა პროფესიულ რეცენზიებსაც შეგვმატებდა.

*

ერთი მწერალი თუ 31-ჯერ არ სჯობია მეორეს, 31-ჯერ არ უნდა ამჯობინო, ხოლო თუ 31-ჯერ ამჯობინებ, უნდა თქვა კიდეც, რომ 31-ჯერ სჯობია, და ამ სიტყვებზე პასუხისმგებლობა იკისრო.

*

ლანძღეთ თქვენ იაფი ეპატაჟი და ადიდეთ ღირსეული თავმდაბლობა — პირველი ყეფს, მეორე მიდის — ოღონდ სულ სხვა შინაარსითა და კონტექსტით: პირველის ყეფა ყველას ესმის, ხოლო მეორე მიდის უჩუმრად, შეუმჩნევლად, უკვალოდ...

*

რასაც წიგნებში დასცინიან, არასაკადრისი მეგონა; განსაკუთრებით — წიგნების ავტორებისთვის...

*

არც ამისი საშველი ვიცი:

ქართულ კლასიკურ ლიტერატურას და თანამედროვე (თითქმის თანამედროვე) ქართული ლიტერატურის ნაწილს სკოლის ასაკში ვეცნობით. ერთი მხრივ, ეს „სწავლის მთავარი ასაკია“, ანუ ამ ასაკში უფრო ვართ სწავლისთვის განწყობილი — ბიოლოგიურადაც და სოციალურადაც; შესაბამისად, თითქოს ეს არ არის ურიგო ამბავი. მაგრამ მეორე მხრივ, თქმაც არ უნდა, რომ სკოლაში ამ ლიტერატურას სწორედ ვეცნობით, თან — ძალიან ზერელედ ან უარესი — ცუდად, არასწორად, დამახინჯებულად, და ამას სწავლასთან ბევრი არაფერი აქვს საერთო.

და ისიც ჩვეულებრივი ამბავია, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადის დრო, მაგრამ ჩვენ აღარ ვუბრუნდებით ამ ლიტერატურას მაშინ, როცა მისი გაგების მეტი შანსი გვაქვს.

აღარასოდეს ვუბრუნდებით.

*

გარემოს ანტილიტერატურულობის ერთი ნიშანი:

„აკრძალულ“ თემებზე ან იმიტომ არ წერ, რომ ხალხმა ალიაქოთი არ აგიტეხოს, ან იმისთვის წერ, რომ ხალხმა ალიაქოთი აგიტეხოს.

*

მუზა და მუშა.

არის ასეთი პარტნიორული წყვილებიც ლიტერატურულ სივრცეში.

*

ნიშნავს თუ არა მწერლისთვის ყველაფერს გამოჩენა ერთი მკითხველისა, რომელმაც მისი ერთი სტრიქონი, ერთი ლექსი, ერთი პოემა, ერთი მოთხრობა ან ერთი რომანი იცის? რა სისულელეა! ერთის ნაცვლად სამი ან ხუთიც რომ ჩაწერო, ყველაფერს ეგეც არ ნიშნავს და ამ ერთი, სამი თუ ხუთი მკითხველისთვის სულაც არ ღირს ის დავიდარაბა, რაც ამ ყველაფრის შექმნას სჭირდება.

სასიამოვნოა — კი ბატონო (იმასაც გააჩნია, რა ხასიათზე ხარ), მაგრამ მეტი? სიამოვნებისთვის კიდევ, გადი და ერთი გემრიელი ხაჭაპური შეჭამე, კომპოტი დალიე, ლამაზ ქალს თვალი ჩაუკარი... ამ სიამოვნებისთვის იკლავ თავს?!

*

ტყუილია, თითქოს ადამიანის იუმორის გრძნობის ხარისხი მისი გონებრივი განვითარების ხარისხს მიანიშნებს. სინამდვილეში, იუმორის გრძნობა მხოლოდ ერთ-ერთი უნარი, გნებავთ — ნიჭია. ადამიანს კი, როგორც წესი, ყველა უნარი და ნიჭი ერთად არ ეძლევა. პირიქით, ერთი მიმართულებით განვითარება ხშირად სხვა მიმართულებების შეფერხებასაც კი გულისხმობს.

რა თქმა უნდა, ყოფილა და არის გამონაკლისებიც, მაგრამ ეს გამონაკლისებია.

და გამონაკლისურად ცოტაა მწერალიც, რომელსაც მართლა კარგი იუმორის გრძნობა აქვს. სამაგიეროდ, ბევრია შემთხვევა, ლიტერატურულ ტექსტებში შემჩნეულ უმდარეს ღლაბუცს იუმორად რომ მოიხსენიებენ.

*

შეუძლებელი არ არის მკითხველის, აუდიტორიის, კრიტიკოსების წამოკიდება მდარე ლიტერატურით, ლიტერატურული სისულელით; თანაც — დიდი ხნით, ერთი შეხედვით სამარადისოდაც კი.

აკი წინააღმდეგობრივ ზღაპრებს დაჰფუძნებია მრავალმილიონიანი რელიგიები, თავიანთი იერარქიებით, სტრუქტურა-ინფრასტრუქტურებით, მკვლევრებით, მეცნიერებით...

*

ლიტერატურაში ყველაზე მეტი სიმართლის თქმა შეიძლება.

იქნებ ამიტომაც არის, სულ უფრო ნაკლებად რომ სჭირდება ადამიანს ლიტერატურა.

*

თურმე, გაცილებით უფრო ჭკვიანად და სიმპათიურად გამოიყურება ერი, ვიდრე მასობრივად ალაპარაკდება პოეზიაზე.

*

ზოგჯერ მეჩვენება, რომ მეჩვენება, რომ „აღარ მაქვს სიტყვა თქვენი ყურისათვის“.

*

გახსენებების წერა ჩემი საქმე ვერ არის. ხოლო თუ როდისმე რამე მსგავსს მაინც ვშვრები, გზადაგზა მეცინება — „მეშინია“, თენგიზ ჩანტლაძის იმ კომიკურ გმირს არ დავემსგავსო, ვითომ სამსუნ ბარნაულს რომ იხსენებს და სინამდვილეში საკუთარ თავზე ლაპარაკობს. ამ „საფრთხეს“ კი ის მიქმნის, რომ სხვას კატეგორიულად ვერ ვაფასებ, ვერ ვკისრულობ სახელების დარქმევას, იარლიყების მიწებებას. ის თუ შემიძლია, საკუთარ განცდებს მივაყურადო და ბოლოს და ბოლოს, თუ რამეა, ხელიც მაგათ შევახოცო...

*

რა მჭირს ასეთი ტექსტების წერისას? რატომ ვანდომებ იმას თვეებს, რასაც სხვა ერთ საათში მოამთავრებდა?

თითქოს ველოდები, თავისით როდის ამოცვივდებიან თავიანთი სოროებიდან თუ ბუნაგებიდან განცდები, ფაქტები, ფრაზები. თითქოს არ მინდა, რომელიმე ფაქტი, განცდა და ფრაზა თავის სოროებუნაგში ჩარჩეს. თითქოს მინდა, აბსოლუტურად ყველას, უდანაკარგოდ, მოვუყარო თავი, და თითოეული მათგანი იყოს ნამდვილი, თვითნაბადი... ოღონდ თან ისეთიც, როგორიც მინდა, რომ იყოს.

საბოლოო ჯამში: თითქოს ეს ტექსტი აქამდეც არსებობდა, არსებობს, და მე ახლა ვიხსენებ. უფრო სწორად, საკუთარ თავს დროსა და საშუალებას ვაძლევ, თითოეული სიტყვა გაიხსენოს და თავის ადგილას ჩასვას...

*

რაც უნდა ბევრი ვწერო და ვილაპარაკო, რომ ძველი, თავმდაბლობის მონათესავე ღირებულებები, რომლებიც საზოგადოდ ადრეც დაუფასებელი იყო, მაგრამ ვიცოდით, რომ მათ გულში მაინც არც ისე ცოტა ვინმე თანაუგრძნობდა... ჰო, რაც უნდა ბევრი ვწერო და ვილაპარაკო, რომ ეს ღირებულებები დღეს, უბრალოდ, ჩამოფასებულია, აღარ არსებობს და ეს რეალობად უნდა მივიღოთ, ანუ დღევანდელი რეალობა მათ გარეშე უნდა ვიგულისხმოთ... ჰო, რამდენჯერაც უნდა გავიმეორო ეს, გულში იმდენჯერ ვეწინააღმდეგები საკუთარ თავს და ასე მოქცევა არასწორად მიმაჩნია, ისე, როგორც არასწორად მიმაჩნია მიღებული რეალობა.

ჰოდა, ეს უკვე შეცდომაა. ან ისევ შეცდომაა. გამოდის, რომ სულ ტყუილად ვწერ და ვლაპარაკობ იმას, რაც დასაწყისში ვთქვი.

*

ცხოვრობ და თანდათან იჯერებ, რომ სიმართლე ა(ღა)რ წერია ადამიანურ ვნებათა რიგში. მისთვის არ იბრძვიან, ის არ უყვართ, არ უნდათ. ის მხოლოდ საჯაროდ მოსატანი არგუმენტია, რომელიც ცვლის რეალურ „მინდა“-ს, „მაწყობს“-ს.

ჰო, ბევრი-ბევრი, რაღაც შეიფუთოს სიმართლედ. მაგალითად, ეს:

— ბავშვი რომ მთხოვს, კამფეტი მიყიდეო, არ უნდა ვუყიდო?! ჰოდა, აბა, ამისთვის არ ვუტირო დედა სხვის ბავშვებს?!

როგორ გინდა უპასუხო, რომ — არა. ბავშვი, შვილი ხომ უკვე სიმართლეა. საკუთარი შვილი, რა თქმა უნდა.

*

სიმართლე კიბოა. რომელიც ოდესღაც, ადრეულ ბავშვობაში გაგიჩნდა. მას მერე ამოიყრის და ამოიყრის მეტასტაზებს. ვერ იტყვი, რომ არ ებრძვის ცხოვრების მედიცინა — ქირურგიით, ქიმიური თერაპიით, სხვა ხერხებით. მაგრამ რად გინდა — კიბო კიბოა — მოკვლით ხომ მოგკლავს და მანამდეც არ გაგახარებს.

თუმცა ამ კიბოზე გამარჯვებულებიც არსებობენ, რაღა თქმა უნდა. რაღა თქმა უნდა, მისგან მარად ჯანმრთელებთან ერთად.

*

მადლობა, რომ სხვა გზას არ მიტოვებთ, გარდა იმისა, ვიყო ნამდვილი ქრისტიანი — თქვენი სიხარულით გავიხარო, მხოლოდ თქვენი სიხარულით.

*

ჩემო მწერლებო და პოეტებო (სხვებს რომ თავი დაგანებოთ), ეს „მწერლები და პოეტები“ — რასაც წარამარა გაიძახით — რა უბედურებაა?! პოეტი არ წერს თუ რატომ ვერ არის მწერალი?! თუ თქვენ „პოეტებში“ სულით პოეტებს გულისხმობთ ხოლმე?

*

ვამბობ ხოლმე, კითხვა სჯობია წერასმეთქი, მაგრამ კითხვისას ისეთ და იმდენ სისულელეს გადაეყრები, ასე გადაჭრითაც ვეღარ იტყვი...

*

ხან მგონია, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელი ახალი საზოგადოებაა საჭირო. ხან კი ვფიქრობ, კითხვისაც საკმარისია და სულ არ არის აუცილებელი, ყველამ იცოდეს წერა. მით უმეტეს, ბევრი ვერც სწავლობს და ბოდიალობს რაღაცას.

*

ეჭვი მაქვს, რომ ამ სოციალურ ქსელებში უფრო წერენ... სისულელეებს კი არა, საერთოდ — უფრო წერენ, ვიდრე კითხულობენ. ზოგი მხოლოდ წერს.

*

სოციალური ქსელები გვიჩვენებს, რომ საკუთარი თავგადასავლის მოყოლის შანსს არ ვუშვებთ ხელიდან.

პოეტი არა, ისა.

ყველა ქართველი პროზაიკოსია!

*

დიდი ქართველი მეპოსტე და საზოგადო მოღვაწე.

თუ რა დაერქმევა იმ წერილობითი ფორმის (ჟანრის) მიმდევარს, სოციალურ ქსელებში რომ გამოიყენება: მეპოსტე, მპოსტავი, მპოსტველი, პოსტმეისტერი, პოსტმეიქერი, პოსტისტი, პოსტერი, ..?

*

— რა ფოტოგენური ყოფილხარ! — ერთ-ერთი ყველაზე ცუდი კომპლიმენტია, რომელიც კი შეიძლება ადამიანს უთხრა რეალურად შეხვედრისას, ვირტუალური ნაცნობობის შემდეგ.

*

ვინც აქეთ წავიდეს — მალე დაბრუნდეს, ვინც აქეთ წავიდეს — გვიან დაბრუნდეს, ვინც აქეთ წავიდეს — აღარ დაბრუნდესო. ჭაბუკი მესამე გზას ირჩევს...

ვეღარ გაიგებ, ზღაპარს კითხულობ, თუ წარწერებს თბილისის აეროპორტის „გეითებზე“, განსაკუთრებით — ვიზალიბერალიზაციის შემდეგ.

*

თბილისის მერობის კანდიდატებო, რეალურ რამეებს დაგვპირდით, მარშუტკების მძღოლებს 40-გრადუსიან სიცხეში კონდიციონერებს ჩავართვევინებ და ეგეთი ზღაპრები არ გინდათ!

*

დედამიწიდან ნაგვის გადაყრა. კოსმოსის დანაგვიანება. ნეტავ, ეს პრობლემა როდის დადგება.

მწვავედ და საჯაროდ, თორემ ვინ იცის, დგას კიდეც.

*

ზოგჯერ სულ ტყუილად გეჩვენება, რომ ენჯიოშნიკური მოძრაობების ჯაჭვი თანდათან უპირისპირდება ყოველივე ადამიანურის გამოვლინებას. ამ დროს, აკი თვითონ ენჯიოების მიზანია ძალიან ადამიანური — იშოვონ ფული, რისგანაც კი შესაძლებელია და რისგანაც, ერთი შეხედვით, შეუძლებელიც კია.

*

ნაკრებიდან მივდივარო...

აი, ეს არის არასწორი. და არასწორად იქცევა ყველა, მსოფლიოს მასშტაბით, ვინც ასე იქცევა. რა თქმა უნდა, უფლება გაქვს, თამაშს თავი მაშინ დაანებო, როცა გინდა; მაგრამ ნაკრებს სჭირდები თუ არა, ეს ნაკრების მწვრთნელმა უნდა გადაწყვიტოს. შენი ასეთი გადაწყვეტილება კი ნიშნავს, რომ შენ აღარ გჭირდება ნაკრები. სად უთმობ ახალგაზრდებს გზასა და ადგილს — ნაკრებში, რომლის ნახევარმა თუ იცის თამაში?!

მადლობა არა, ისა. მადლობას გეუბნებოდით მაშინ, როცა ნაკრებში (კარგად) თამაშობდი.

*

ძიუ-დოს სანახაობრიობას ყველაზე მეტად ის ზამთრის აბანოს შარვალ-ხალათი ვნებს, რის გახდა-ჩაცმასაც მიაქვს ნახევარი ტურნირი.

ასე რომ, თუ ძიუ-დოს როდისმე ოლიმპიური სახეობებიდან (და კიდევ სხვა რამეებიდანაც) ამოიღებენ, დიდწილად მაგ სამოსის ბრალი იქნება. ამიტომ ჯობია, მანამდე ეგ სამოსი ამოიღონ. როგორმე.

*

რა თქმა უნდა, აღმოჩნდა, რომ ისიც ყველამ ზუსტად ვიცით, რამდენი ტერორისტის დაკავებას რამდენი სპეცრაზმელი, იარაღი და დრო სჭირდება.

არა, ასეთი ნიჭიერებაც არ შეიძლება.

თან, ზარმაცებიც რომ აღარ ვართ და აზრის გამოთქმა არ გვეზარება?

*

ეს არის კიდევ საინტერესო პოზიცია:

ადრე ასე ვინ გალაპარაკებდაო?! ახლა ხომ გალაპარაკებენო?! ჰოდა, აბა, რაღა გალაპარაკებსო?!

*

უმცირესობები, ყველა შემთხვევაში, უმრავლესობაზე ცუდ დღეში არიან. ჯერ ერთი, მათ უმრავლესობისგან თავის დაცვა, უფლებების დაცვა, თავის დამკვიდრებისთვის დამატებითი ძალისხმევის გამოვლენა და ა. შ. სჭირდებათ. მერე, გულში ისინიც ვერ იტანენ თავიანთგან განსხვავებულებს, ანუ უმრავლესობას. თან, მოგეხსენებათ, უმრავლესობა უფრო მეტია, ვიდრე უმცირესობა. ასე რომ, უმცირესობას გაცილებით მეტი ადამიანის ვერატანა უწევს, ვიდრე უმრავლესობას...

*

ეს ადრე ვიფიქრე. ახლა მაინც ჩავიწერ:

მაგისთვის სულ ერთია, ვისთან დაწვებაო — სხვადასხვასთან ვინც წვება, იმაზე ამბობენ ხოლმე. მაგრამ იქნებ სულ უკუღმაა — სულ ერთთან ვინც წვება, იმისთვის არის სულ ერთი, ვისთან დაწვება — ამიტომ აკმაყოფილებს ერთთან დაწოლა; თორემ იმას, ვინც სხვადასხვასთან წვება, სხვადასხვა ემუღამება და იმიტომ წვება სხვადასხვასთან, თორემ სულ ერთი რომ იყოს მისთვის, ვისთან დაწვება, რაღად გაირჯებოდა ზედმეტად — დაწვებოდა სულ ერთთან, დამატებითი დავიდარაბების გარეშე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოსო მეშველიანი

ანუ, ახლა რაზეც ვწერ

ელორიოში ჩარჩენილი

ძველი ამბავია, მამლის წელმა გამახსენა. დურანგოში (ბასკეთში) რომ ვიყავი, როცა საბოლოოდ მოვრჩით სამუშაოებს, ბიჭები, ვინც მახლდნენ, ყველა სადღაც წავიდა — ზოგი სამშობლოში, ზოგიც სხვა ქალაქში გადავიდა საცხოვრებლად. ზუსტად არ მახსოვს, რატომ დავრჩი, ფულს ველოდი თუ რეზიდენციის გაგრძელებას. მოკლედ, დურანგოდან მოშორებთ ერთ მივარდნილ, მაგრამ საოცრად მშვიდ და ლამაზ სოფელში ვიქირავე ოთახი. ეს სოფელი იყო ბისკაიას პროვინციის ავტობუსების ბოლო გაჩერება. იქ გადავედი, ელორიოში. პირველი, რაც თვალში მომხვდა, ის იყო, რომ იქ ერთმანეთში ესპანურად არავინ ლაპარაკობდა, ჭეშმარიტი ბისკაიელები ცხოვრობდნენ — კიდევ ის, რომ პატარა დაბალ კორპუსებს შორის რამდენიმე ადგილას დიდი საერთო ბოსტანი იყო. პირდაპირ ბოსტნის ბილიკიდან შეგეძლო თანამედროვე კაფებარში შებიჯება. რამდენ ბარშიც შევიარე, ყველა უცნაური ცნობისმოყვარეობით მაშტერდებოდა (იმდენად ხვდებოდათ თვალში უცხო ადამიანი). ცხადია, უხერხულობის განცდა მქონდა, მაგრამ, ამავე დროს, ძალიან მემშობლიურა მათი რეაქცია — ჩემს სოფელშიც ხომ ასე ხდებოდა, თუ ვინმე უცხო (მანქანა თუ მგზავრი) აივლიდა სოფლის შარაზე, ყველა (მას) მათ აყოლებდა თვალს. ეგ არაფერი, ყველაზე მეტად ის მემშობლიურა, სოფლის დღესასწაულზე მამლების ორთაბრძოლას რომ დავესწარი, ელორიოს ცენტრში, ერთ ძველ სკვერში — აი, ის აზარტი, ის შეძახილები...

ადრე ჩემს სოფელში არანაირი გასართობი რომ არ გვქონდა ახალგაზრდებს (შუქიც არ იყო, რომ ტელევიზორისთვის გვეყურებინა), ჩვენც მამლების (ძაღლების, ხარების) ორთაბრძოლით ვიქცევდით თავს, თან — „მაზიანზე“. მე ორი ერთნაირი წითელი მამალი მყავდა, ერთი უცებ ჩაფლავდა, მეორე ერთ-ერთი ფავორიტი გახდა, ნამდვილი კლასიკური მებრძოლი, მაგრამ სახლში, რატომღაც ის პირველი მამალი ჯაბნიდა — თავიდანვე ჰყავდა დაჩაგრული. ეს რომ ჩემზე უფროსმა ბიჭებმა გაიგეს, მაშინვე იპოვეს გამოსავალი (პროფესიონალები იყვნენ ამ საქმეში). იმ მამალს, რომელიც მებრძოლ მამალს ჩაგრავდა, ნახშირი წაუსვეს. ჰოდა, ატყდა, მაგრამ რა ატყდა — შეიძლება საუკუნის ორთაბრძოლადაც ჩაითვალოს. მოკლედ, დაჭამეს ერთმანეთი, ბოლოს შემეცოდა და გავაშველე, მოვაშორე ნახშირიც, მაგრამ უკვე ამანაც არ გაჭრა, სამკვდრო-სასიცოცხლოდ იყვნენ ერთმანეთს გადაკიდებულნი — გაშველებაც მომწყინდა. ასე გრძელდებოდა დღეების განმავლობაში. ისე მოშალეს ერთმანეთი, ორივე დასაკლავი გაუხდა დედაჩემს.

კრისტო

ისე გემრიელად ეწევა კრისტობალი სიგარეტს, ისეთი მოწევა იცის, მთელი ცხოვრება რომ ვერ იტანდე, უყურებ და მოწევა გინდება, თანაც ძალიან. აგერ, შუა მუშაობის დროს, ერთი ცალი მოხარშული კარტოფილი ამოიღო ზურგჩანთიდან, გაარჩია, ცოტა მარილი მოაყარა და ნელა შეუდგა ჭამას: „ღვიძლზე მაქვს პრობლემები, ხშირ-ხშირად და ცოტ-ცოტა უნდა ვჭამო, მაგრამ ყოველ ჯერზე იმდენ მტვერს ვაყოლებ, რაღა აზრი აქვს“ — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა. არაფერი მიკითხავს, არც შემიცხადებია, არც ის მითქვამს, რომ მეც ზუსტად ასეთ დღეში ვარ. როგორც კი მორჩა, ეგრევე სიგარეტს მოუკიდა — თან საუბრობს და ყბებს ისე ამოძრავებს, გეგონება, კვამლს ღეჭავსო. თან რომ სიტყვებს ჩემამდე მოყვება თამბაქოს კვამლის სურნელი?! უცებ მომინდა, მეც მოვუკიდე. თითქოს, ათი წელია ვიცნობ, სინამდვილეში კი გუშინ გავიცანი, როცა მითხრა, რომ ანდალუსიელი არაბების შთამომავალია, თავის ყავისფერ მკლავებზე დამახედა, რომელიც თეთრ თმას დაეფარა. სახეზე მივაშტერდი — თავის ხასიათთან შედარებით, თითქოს ძალიან მკაცრი გამომეტყველება აქვს: თეთრი ბლანჟე, ოდნავ მოხრილი ცხვირი, რაღაცნაირად ჩამუქებული თვალები, მუქი სახე. კაცი, რომელიც ათი წელი ტიპიური ესპანელის შთაბეჭდილებას ტოვებდა, უცებ, თვალის დახამხამებაში, ნამდვილ არაბად გადაიქცა. შემხედა, გაეცინა: „ხო, ასეა, თავზე რომ ჩალმა შემოვიხვიო, აეროპორტში არ შემიშვებენ...“ მე გუშინ, მან კი, ერთი დღით ადრე გამიცნო, ასევე, ათი წლის ნაცნობი... როცა გარეთ გავახედე: „აუ, ნახე, კრისტო, გარეთ რა ამინდია, ჩვენ კი...“ გაიხედა უზარმაზარი, ნახევრად დაორთქლილი ვიტრინიდან, იმ მხარეს დაიწყო ყურება, საითაც სან-სებასტიანის პლაჟი მოჩანს ზღვის ქარში ოდნავ მოქანავე პალმებით. მზე იყო, სითბო და თან ოდნავ ცრიდა. რაღაც ძალიან კარგი რამე თქვა. ვერ გავიგე, უბრალოდ ვიგრძენი — მომიტრიალდა:

— ეს მაჩადოა, ანტონიო მაჩადო, იყო ასეთი პოეტი, კარგი პოეტი!

— ვიცი, კაცო, ანტონიოც ვიცი და მანუელიც!

— ვაახ! შენ საიდან იცი? პოეზია გიყვარს?

— ეეე, კრისტო, კრისტო!.. — ვუთხარი და რადგან ასე გაუკვირდა, „გაკვირვებას ახლა განახებ“ — გავიფიქრე და მივაყარე და მივაყარე. გაშტერებული მიყურებდა. მოკლედ, იქამდე მოვიდა საქმე, სათქმელი გამიხდა, მეც რომ ვწერ, წიგნებიც მაქვს გამოცემული, თან რაღაცები გავაბუქე აზარტში შესულმა. კაი ხანი გაშტერებულმა მიყურა, ცხადია დაეჭვებულმაც:

— ნო მე ხოდას!..

— მართლა, კრისტო, მართლა (ვიცინი)...

— ინტერნეტში არის რამე (ტელეფონს იმარჯვებს)?

— კი, იქნება...

— შენი გვარი გამიმეორე ნელა!

დამარცვლით ვიმეორებ, თან ცოტა შორიდან დავყურებ (ხარაჩოზე ვარ). გამოჩნდა ჩემი ფოტოები, ჩემი წიგნებისაც, ჩემი მოკლე ბიოგრაფია ინგლისურად, ვიდეოები — რა გინდა, სულო და გულო...

— ოსტია! შენ გიჟი ხარ, ჩამოეთრიე მაგ ხარაჩოდან და მოუსვი აქედან!

— რატომ, კაცო? მე ამ ყველაფერზეც ვწერ, ეს ჩემი ცხოვრებაა, ჩემი ბედისწერა, შეიძლება ოდესმე ამ შემთხვევაზეც დავწერო (ანუ, ახლა რაზეც ვწერ)...

ზოთიპური

გლდანში, ღამით, სიგარეტის საყიდლად ჩავედი. გვიანი იყო. უკან მობრუნებულმა „თონეს“ გამოვუარე, ერთი შოთი ვიყიდე, იქვე ნახევრად ბნელ, სკვერის მაგვარ ადგილას ჩამოვჯექი, მშვიდად რომ მომეწია. ერთმა ჩემი ასაკის კაცმა ჩამიარა, თავჩაქინდრულმა, გამცდა, მობრუნდა, ისევ ჩამიარა, გაჩერდა, მომესალმა:

— ბოდიშით, რაა... ეს პური ცხელია?

დავიბენი.

— ხო... რავი... არა... აბა, საიდან ამ დროს ცხელი პური?..

თან ხელში შევათამაშე, უხერხულობისგან ვერც კი გავუწოდე.

— ცოტას მოვატეხავ, რა?.. მოატეხა, ძალიან პატარა ნამცეცებს აცლიდა და ისე იყრიდა პირში, როგორც მზესუმზირის მარცვლებს.

— არ გაგიკვირდეს, რა, განა მშია, ან ასე მიჭირს, უბრალოდ... კიბოიანი დედა მყავს სახლში, ისე მანადგურებს იმისი კვნესა-გოდების მოსმენა, გიჟივით წამოვხტები და გავრბივარ უმისამართოდ. ხან დალევა მინდა, ხან მინდა, ვინმეს დავეღაპარაკო, სიგარეტს არ ვეწევი და...

შევღონდი, ვერაფერი ვუთხარი, ან რა უნდა მეთქვა?

მერე გამომკითხა რაღაცები, მეც მოკლედ ვპასუხობდი, გულდამძიმებული. რომ ვუთხარი, რომ უცხოეთში დავდიოდი, მისი ისტორია მომიყვა, როგორ აიღო მაღალპროცენტიანი სესხი, ვიღაც ქართველი შეპირებია უკრანიიდან გერმანიაში წაყვანას, ჩასულა კიევში და იმ გარეწარს გადაუგდია. უკან ვერ დავბრუნდებოდი ჩემი ვალების გადამკიდეო, იქ ვიღაც შეპირებია უკრაინა-პოლონეთის საზღვარზე ფეხით გადაყვანას, სამი ღამე გაუთენებია უკრაინულ ზამთარში, ტყეში. გადასულა. პოლონეთში დაუჭერიათ. კაი ხანი აყურყუტეს თურმე. მერე რაღაცნაირად იქიდანაც გაუღწევია... მერე კიდევ... მერე კიდევ... ბოლოს ისე დავშორდით, სახელებიც კი არ გვიკითხავს ერთმანეთისთვის.

მოკლედ, მე იმის თქმა მინდა, რომ ერთი უბრალო ადამიანის ცხოვრებაც ერთი დიდი დაუწერელი რომანია.

ხეებზე შეყვარებული

ჩვენს მხარეში ხომ უფრო ჯაგრცხილა ხარობს — რამდენიმე ცალს თუ წააწყდები სადმე ერთად ამოსულს, არც ისე ლამაზი ფორმის ხეა. ამიტომ ერთობ გაკვირვებული დავრჩი, მაღლა, მოსასვენებელ წიფლნარამდე არ მისული (ასე ვეუბნებოდით ტყეში ერთ ჩავარდნილ ადგილს, ტაფობს, სადაც წიფლებს შორის პატარა მოლი იყო და მთაში მიმავალნი იქ ვისვენებდით ხოლმე), ჩვენი ქოხის გასწვრივ, სადაც ადრე საკარტოფილე ნაკვეთიც გვქონდა, უცებ წავაწყდი ულამაზეს რცხილნარს — ასეთი მწყობრი, ერთი ზომის, ლამაზად ასვეტილი ამდენი რცხილა ერთდროულად არასდროს მენახა. საოცარი სანახაობა იყო. ხშირი, გარეული თხილის ბუჩქების იქით, პატარა ხრამს გადაევლები და ასე უცებ ასეთი სილამაზე იშლება თვალწინ. ისედაც მიმალული ადგილია, რაღაცნაირად მივარდნილიც. უბრალოდ მივხვდი, რომ შეცდომით ვეძებდი ამ ადგილებში ნახირს, შორი გზით შემოვლა დამეზარა. ისედაც დრო არ მქონდა, ასე პირდაპირ გადავწყვიტე, მომეჭრა გზა შიხულიაშის მხარეს. ასე შემთხვევით წავაწყდი. გაშტერებული ვუყურებდი და მაშინ მივხვდი, რომ ადამიანის შემდეგ არაფერი ისე არ მიყვარს, როგორც ხე — ზოგ შემთხვევაში ადამიანზე მეტადაც. რადგან შეუძლებელია, ისეთი სიმშვიდე მომანიჭოს ადამიანმა, როგორსაც ტყეების ყურება, ტყეში სიარული და მოქანავე ხეების მიყურადება მანიჭებს. ზოგჯერ ხორცშესხმულიც კი მგონია. ალბათ ადამიანად ყოფნას რომ მოვრჩები, სადმე, მიუვალ ადგილას, ხედ ამოვალ. მეტის თქმა ახლა მეზედმეტება.

სიზმარ-ცხადი

მერამდენედ ვხედავ ამ სიზმარს — ისიც, ერთ სიზმარში. ერთი და იგივე კადრი მეორდება უსასრულოდ. ვიძაბები, ძილში კბილებს ვაკრაჭუნებ, ყბები მეღლება. არადა, რა უბრალოა — დედის ხელებს ვხედავ ლამპის მოციმციმე შუქზე, რაღაცნაირად ნათელ ხელებს, ასე გრაციოზულად და სწრაფად რომ მოძრაობენ და სულ რაღაც მილიმეტრებით სცდება საჩეჩელის მახათივით წვეტიან ლითონის კბილებს. ის კი დაბლა არც იხედება, ჩვენ გვიყურებს და რაღაც ძველებურ ამბებს გვიყვება, მე კი არ მესმის, ხელებს მივშტერებივარ. ღამეა, სადღაც ალბათ ჭოტიც კივის, მაგრამ თოვლით ამოგმანულ ფანჯრებში ვერ აღწევს მისი ხმა.

ცისფერი

მე ასე ვიცი, სინამდვილეში ალბათ ასეც არის — პირუტყვი (ხარი, ძროხა, მოზვერი, უშობელი) შეიძლება იყოს შავი, წითელი, თეთრი, მუქი, ჭრელი... მაგრამ დღემდე მე პირადად არ შემხვედრია ცისფერი. სწორედ ამან დამაბნია იმ დღეს.

სამდღიანი გადაბმული წვიმების შემდეგ, მთაში, როცა მიწურის გარშემო ერთმანეთში აზელილ ტალახს და ფუნას ისე ღრმად და მკვეთრად აჩნდა საქონლის ნაკვალევი, რომ რაღაც მარადიულობის განცდაც ტოვებდა, ხოლო ამ ქვეყნად თუ სადმე ნისლი იყო, თითქოს ყველა ამ ქედებშუა ჩაზნექილ ადგილას დაუგუბებია და ჩაუტკეპნია განგებას, ისე, რომ ერთი მეტრის მანძილზე ვირს და თხას ვერ გაარჩევდი ერთმანეთისგან. სწორედ იმ დროს მიწურის დაღრეჯილი კარი შემოაღო ჩემმა მეგობარმა ბიჭმა. ფეხებზე დავხედე და რადგან ყველი ამომყავდა, შიგნით შემოსვლისგან თავის შეკავება ვურჩიე. კარს ჩამოეყრდნო და უცნაური რაღაც მითხრა:

— ბიჭო, გრიშას მოზვერი, მგონი, ცისფერია!

გაოცებულმა გადავხედე, მერე მეგობარსა და ბოლომდე გაღებულ კარს შორის დავიწყე ყურება, თითქოს ის მოზვერი მის უკან ება.

— რას ბოდავ? რა ცისფერი, კაცო, ნაცრისფერია!

— აუ, შენ რა მიუხვედრელი ხარ, პიდარასტია, ბიჭო, პიდარასტი!

უცებ, გადახარხარება მინდოდა, მაგრამ თითქოს რაღაც გადამცდაო, ხველა ამივარდა, კინაღამ დავიხვრჩი.

— მართლა ასეა, — გააგრძელა სიცილით, — ძროხასავით არის, ბუღები ახტებიან და არც მოგერიებას ცდილობს და არც გარბის, არადა, რა ჯანიანი ჩანს ეს სამგლე!

მთელი კვირა ვიცინოდი ამ ამბავზე, მთელ ხმაზე. მერე გავარკვიე და მართალს ამბობდა.

რატომღაც ახლა მომინდა ამაზე დაწერა, ამ სახალისო ამბავზე, რომელიც ჩვიდმეტი წლის წინ გამახსენდა ბარსელონაში, მეტროში, როცა ჩემ წინ მსხდომი ბიჭები გაცხარებული კოცნიდნენ ერთმანეთს, ჩემს გვერდით მდგარ ჩემს შეზარხოშებულ მეგობარს კი ძლივს ვაკავებდი — გინებით მათკენ იწევდა საცემად.

ზამთარი

სულების სტუმრობის კვირეულიც (ქუნარეში) დასრულდა. როგორც იქნა, გავაცილეთ. ჯერაც შერჩენია ჭიშკრის ბოძს სამფეხა სანთლის ნაღვენთები, რითაც დედაჩემი გაუძღვა სულებს. დამშვიდდა ქალი. ასე რაღაცნაირად დაძაბული არასდროს მინახავს, ამოისუნთქა, რასაც ჰქვია. გარდა შინაგანი დაძაბულობისა, როგორია, მარტოხელა, ხანში შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულმა ქალმა ყოველდღე დილა-საღამოს საგანგებოდ მორთოს და გააწყოს სუფრა — ერთი კვირის განმავლობაში სუფრა ყოველთვის ისე იწყობა, რასაც მაგიდაზე დილით დადებ, იმის დადება საღამოს არ შეიძლება — სუფრა სულ განახლებული უნდა იყოს. როგორია? დილა-საღამოს პურების დაცხობა ყოველდღე, მერე და ამდენის მჭამელიც ვინ არის, მართლა სულები ხომ არ შეჭამენ?! მერე წინა დღის გამომცხვარ პურებს დედაჩემი თბილ შრატში ალბობს, ცოტა ფქვილს ამატებს და ძროხებთან მიაქვს. მოკლედ, პირუტყვიც დიდ პატივში გვყავს ამ დროს. უცნაური კი ის არის, რომ თუ ფიზიკურად არ ვმუშაობ, გონებაც მიდუნდება — რა ხანია, ვერც ვკითხულობ, ვერც ვწერ და ამას სულაც არ განვიცდი. ამ უმოძრაობისგან წონაშიც მოვიმატე, ამას წინდების ჩაცმის დროს მივხვდი ამ დილით. იმის თავი კი მაინც შემრჩა, აქაურ მარტოხელა, ხანშიშესულ ქალებზე ვიფიქრო — მიტოვებულ, დაცარიელებულ სახლებზე, გაუქმებულ სკოლაზე, საბავშვო ბაღის ნაშალზე ამოსულ თხილის ბუჩქებზე.

ჩემს უბანში (ეს პატარა სოფელიც დაყოფილია უბნებად და თემებად) თერთმეტი მოსახლიდან შვიდი სახლი ცარიელია, ორგან ორი ხანში შესული ქალი ცხოვრობს მარტო — დედაჩემი და ბებიაჩემი (ბაბუაჩემის ძმის ცოლი). ამაზე ფიქრს სულ მინდა გავექცე, მაგრამ ვერ ვახერხებ. ამ ზამთრის უცნაურობებმა კიდევ სულ ამირია ტვინი — ერთ დღეს თოვს, მეორე დღეს წვიმს, მესამე დღეს მზეა; ღამეები კი სულ ერთნაირია, ცივი და უნალექო. თოვლს საოცარი სიმშვიდე მოაქვს. რაღაც ხმები მაინც კვეთენ შუაღამის გაყინულ სივრცეს. ვწევარ და არც ვიცი, რაზე ვიფიქრო, ასეთი უცნაური განცდა ცხოვრებაში არ დამუფლებია.

* * *

რაღაცას ვეძებდი, კიბე ავირბინე, აივანი სწრაფად გადავჭერი და უცებ გავჩერდი — დედაჩემს მოვკარი თვალი, უცნაურად გაშეშებულ-გაშტერებულს; სარეცხი გადმოეღო, მკლავზე გადაეკიდა, ერთი ხელი მაღლა ჰქონდა აწეული, კიდევ ერთის მოხსნას აპირებდა და ასე გაშეშებულიყო. ირგვლივ არც არაფერი მოძრაობდა, დედაჩემს თავი მოებრუნებინა, ჩემგან გვერდულად კი იდგა, მაგრამ სახის პროფილი არ უჩანდა. ასეთ სიტუაციაში ხშირად მინახავს, მაგრამ მაინც მივაშტერდი, მივაშტერდი ასე უცნაურად გაშეშებულ-გაშტერებულ ქალს, ირგვლივაც არაფერი მოძრაობდა. აზრადაც არ მომსვლია, რამე მეკითხა. აქეთ დაიწყო, წასვლა რომ დავაპირე:

— ნახე ერთი! ეს პატარა მოედანიც აბალახდა, ამწვანდა. რას წარმოვიდგენდი, რაც აქ ამბავი იყო, ქვებსაც კი ცვეთდით, ისეთ ამბავში იყავით. დატკეპნილი მიწა ბეტონივით იყო, ამდენი ნარბენი, რამდენჯერ ფეხები დაგტყავებიათ. ახლა კი აბალახდა, რას წარმოვიდგენდი!.. მერე ის ხმები, როგორ მენატრება ის ხმები, ეს ამდენი ნაცნობი ხმა, როგორ ერთბაშად გაქრა... რამდენი წელია, იმ ხმების გაგონება მინდა. ამ მარტოობაში სულ სხვანაირად მინდა. ზოგი კიდევ რა ადრე გაქრა სამუდამოდ!..

მაშინ იმდენად არ უმოქმედია ჩემზე დედის ამ გულისშემძვრელ ნათქვამს, მაგრამ ოთახში რომ შევედი და კარი გავიხურე, ისე სასწაულად და ცოცხლად ვიგრძენი ყველაფერი, მთელი ღამე, იმ პატარა მოედნის გვერდით რომ ხევია, რომელიც ვეება წიფლების გაყოლებაზე სულ უფრო ღრმავდება, სწორედ იქიდან აღწევდა და ჩამესმოდა ის ხმები — თითქოს ყველა ხმა იქ იყო ჩაგუბებული.





ამირ ორი

სწორი ხედი

და რომ დამეწყო თქვენთვის აღწერა
ამ რბილი შუქის მოლურჯოსი
წყალში ალვის ხის ანარეკლის ათრთოლებულის
როცა იხვების იკვეთება მწკრივით გუბურა
და მორკალული ხაზის იქით სანაპიროსი
ჩირგვთა და უბის და მწვანე მთათა
წვიმისგან ზეცის ღრუბელსავით გაბაცებულთა —

არ დამიწყებდით განა თვალში
მცდელი ფარნების ჩანათებას
არ გაგმირავდით სტრიქონებში ერთ-ორ იხვს მაინც
და არ შესთხოვდით გველეშაპს
რომ ზღვიდან ხახადაღებული ამომდგარიყო
რათა ეხსენით ამ ღვთიური მოწყენისაგან?

ნუ გაირჯებით. აი, მზად მაქვს ნუსხა სათქვენო —
სამსჭვალნი, ჯვარი, კრუნჩხვა, ტკივილი
პეპლის ფარფატით წამოშლილი ტალღა ტალღაზე —
თქვენი თვალები ანთებული ამ პეიზაჟში
და ბოლოს ამოგმინვა მისი საკვირველი
გაღვრა თქვენს ხორცში სიტკბოების
ჟრუანტელი —

კიდევ წუთიც, მოითმინეთ. უკვე
ვასრულებ.

გადამთიელი

ის მწველ ქვიშაზე იღვიძებს კედელს და
მოედანს შორის.
ბადრაგი უდგას, როგორც დავიწყებულ მოგონებას:

ნუთუ ის მხოლოდ ნიშანია გზაზე,
აბრა, წარწერილობა?
წუთით დატოვეს გზაბოძალზე თუ სამუდამოდ?

არ მოჰკვდომია გათოშილი სხეული;
დახე, იგი მარტო არაა. უანარეკლო, უჩრდილო არსებს

მიჰყავთ იგი შეშის ხვავზე და ნაკელზე
და ცხებულ ზეთზე ყვავილთ გროვის ქვეშ
დასაწველად.

კაცია თუ თევზი?
შერჩება სული თუ საფლავისკენ გაუყვება
მზიდველთა მხრებზე?

ხელ-ფეხ-კისერი იმ ერთადერთ ბიჯში გაშეშებია,
რომლის გადადგმით მხედველობის გაქრა არიდან
და ჩაიკარგა საკუთარ ჩრდილში.

ლაყუჩებით ბოლო ამოსუნთქვას შეჰყინვია,
ყვითელი ჩრდილი
გაძრობილი სამონაზვნო სამოსელივით,
შიგთავსისაგან დაცლილივით, უკან დაურჩა,

რათა ყოველმა გამვლელმა ქელოს იგი
დაკვალულ გზაზე,

ქოხმახობასა და სავაჭრო დუქნებს შორის
მიმავალზე.

ჩრდილი, ხატება, სამოსელი
მყვარებელ თვალებში ამომწვარ
ანარეკლად აღბეჭდილა,

ოთახის კედელზე სარკის სამყაროდან მომზერლად,
წვიმისას შუქში გუბეთა მბზინავ ჭავლში მჩინარად.

აწ ის გონს მოდის, უსხეულო ხატება,
სამუდამო მესაფლავეთა
მიერ ზიდული ალაფივით. სამგლოვიარო პროცესია

წინ მიიწევს ნელ სიჩუმეში,
ვით სითხეში შესქელებულში;
არ ჩანან ქალნი მოზარენი, მაგრამ ისმის მათი გოდება:
ია-ჰოი! ია-ჰოი! ია-ჰოი!

შეკრებილები გაცრეცილან, ბნელიდან სრულად
არ არიან გამოჭრილები,
ასდევნებიან კუბოს მზიდველთ
ჩრდილის გრძელი შლეიფის მსგავსად,

ანდა ქაფივით, კიბორჩხალს რომ ნაპირზე მოსდევს.
გონზე მოსული,
ის ტერფებით ადგება მიწას, რომელსაც ადრე
არასოდეს არ აფასებდა და არც ამჯერად არ იხსენებს,

ხბოსავითაა, წამომდგარსავით
ფეხზე პირველად.

უკან იწევენ მზიდველები უკვე;
თუმცა ზერელე მზერისათვის
უჩინარია მოძრაობა, მაგრამ ნელ-ნელა კიდურებში
ეზრდება რტოსებრ.

ქვიშაზე ეგდო, მოედანზე, კედელთან, მარტო,
და გადის მთელი საუკუნე, სანამ დგება
ბოლოს და ბოლოს;

ჩრდილი იმატებს მისი კედელზე და, ხახასავით
დაღებული და უკიდურო, სწვდება მოედანს და ეტანება
ყოველივეს, რაც იქითაა.

ახლა, როდესაც გაიხსენა, ის ყოყმანშია,
მიეკაროს თუ არა იმას,
რამაც აქ მოიყვანა, დიდებულებას,
ნაფიქრივით რომ მოვარდნია.

ნელნელაობით ის თავს აღწევს სიკვდილის კრუნჩხვას,
ნელა თვალს აპყრობს ჩრდილს და ანარეკლს,
რაც მოიტოვა უკან:

ცოლსა და ორ ქალს მათსას, ვაჟს ხუთი წლისას,
ბერ დედას, ხმაში შებრუნებულ ექოსავით
ჯერ ისევ რომ დგას

მდინარის პირას,
სადაც ფერფლი მიმოაბნიეს.

XVI

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწერალი

ლუკა ბაქანიძე

ლუკა ბაქანიძის პირველი წიგნი, ლექსების კრებული, „ღმერთი ჩემი, მოხეტიალე“, 2011 წელს „კავკასიურმა სახლმა“ გამოსცა. ეს წიგნი ლიტერატურულ კონკურსზე „საბა“ ფინალამდე მივიდა, როგორც წლის საუკეთესო დებიუტი. მეორე წიგნი, „მესამე ნაპირი“ — ერთ-ერთი საუკეთესო რომანი თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში — „პალიტრა L“-მა 2014-ში გამოსცა და „საბას“ ფინალისტი გახდა. ლაურეატობა კი, მწერალს, ელექტრონულმა წიგნმა, მოთხრობების კრებულმა „სად ხარ, ლაზარემ“ მოუტანა.

ლუკა ბაქანიძე რასაც უნდა წერდეს, თუნდაც — პასუხებს ინტერვიუსთვის, ყოველთვის საინტერესო მთხრობელია. და რადგან მისთვის, როგორც ალბათ ბევრი მწერლისთვის, ტექსტის სული, მუსიკა, სუნი, ხასიათი დიდად მნიშვნელოვანია, ამ ყველაფერს კი სიტყვები ქმნის — უცვლელად ვტოვებ იმ სიტყვებს, რომელთაც მწერალი განგებ წერს ასე, მიუხედავად იმისა, რომ ორთოგრაფიაცა და მართლწერაც მშვენივრად იცის — „კიბატონო, სხვათაშორის, რათქმაუნდა, აესეთი, ერთერთი“ და კიდევ სხვა მწერლური ამბები — ინტერვიუში ლუკა ბაქანიძესთან:

— ბავშვობიდან წერ. ლექსებით დაიწყე, როგორც ვიცი. ერთ ინტერვიუში შენი მწერლობის მერკანტილურ საწყისებზეც ხუმრობდი — მამა თითო ლექსში გარკვეულ თანხას მაძლევდაო. ზოგადად, ძალიან მნიშვნელოვანია, მწერალს ტექსტებმა შემოსავალი მოუტანოს, ამ შემოსავლით იცხოვროს, თუმცა ჩვენთან ეს ძალიან რთული საკითხია. მაინც წერენ, ბევრს მუშაობენ, გამოსცემენ. რა აწერინებს ადამიანს, რა მოშურნეობაა ასეთი?

— მერკანტილური საწყისით წერას ამჟამად შევეშვი. ახლა იმიტომ ვწერ, რომ უბრალოდ, გადავრჩე... მაგრამ, გამოქვეყნებას რაც შეეხება, სწორედ რომ მერკანტილური მიზანია მთავარი ამძრავი. შესაძლოა, იმიტომ აქვს ამ პროცესს გამოცლილი ყოველგვარი იდეოლოგიური თუ მორალური საფუძველი, რომ ჩემი ძირითადი შემოსავლის წყარო წერა გახლავთ, სამწუხაროდ. და „სამწუხაროდ“ იმიტომ, რომ ზოგადად, წერა, მწერლობა, როგორც ასეთი, მიმაჩნია წყევლად და სულაც არ მეამაყება, ზოგიერთებისგან განსხვავებით, ეს პროფესია, უფრო კი ბედისწერა, რამეთუ, ადრეც მითქვამს და გავიმეორებ: ძალიან მურტალი შეგრძნებაა, როდესაც გრძნობ, რომ ინსტრუმენტი ხარ ვიღაცის ხელში და შენი ნებელობა შენ არ გექვემდებარება. სწორედ ასეთი დამოკიდებულება ჩამომიყალიბდა ჩემს საქმიანობასთან. თუმცა, ვინაიდან საბედნიეროდ იმის უნარიც გამომიმუშავდა, რომ საკუთარ თავს და ტექსტებს გვერდიდან შევხედო და, ასე თუ ისე, ობიექტურად შევაფასო— უბრალოდ, მკაცრად და აჟიტირების გარეშე, იმასაც ვხვდები, რომ სწორედ ასეთი დამოკიდებულება მაშორებს ყოველგვარ ლიტერატურულ კეკლუცობას თუ თვითტკბობას, და მეხმარება ხარისხიანი ნაწარმოებების შექმნაში. სხვა დანარჩენი, ვგულისხმობ სტილისტურ თუ კომპოზიციურ სრულყოფას და განვითარებას, ეს უკვე მომავლის —დროის და გამოცდილების ამბავია.

— რაკი მწერლობის მატერიალური მხარე მნიშვნელოვანი და მტკივნეული საკითხია ჩვენში, ლიტერატურულ კონკურსებზეც გკითხავ. ეს არის, ვფიქრობ, არაჩვეულებრივი საშუალება, წაახალისო ავტორები, დაეხმარო მათ. და ისედაც, ალბათ ყველას უხარია და აბედნიერებს გამარჯვება. შენ, როგორც არაერთგზის გამარჯვებულს, როგორც „საბას“ ლაურეატს, რა დამოკიდებულება გაქვს კონკურსებთან?

— დრო იყო, როცა კონკურსებს ჰქონდა ლამის სასიცოცხლო დატვირთვა, იმდენად მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის ლიტერატურულ სივრცეში დაფიქსირება. წამიგია კიდეც ბევრჯერ და წაგება განსაკუთრებით დამთრგუნველი იყო იმ ფონზე, როცა თავი ჰემინგუეი თუ ვიღაც ეგეთი მეგონა – იცის მწერლობამ ყმაწვილობაში აესეთი დაფნის გვირგვინის ჰალუცინაციები. მახსოვს, რა მძიმედ გადავიტანე 2011 წელს „საბას“ წაგება — ამ გადმოსახედიდან, ობიექტური წაგება, როდესაც წყალწყალა პოეზიის მთავარი კონკურენტი გახლდათ ამჟამად ჩემი ერთერთი საყვარელი მწერალი თამთა მელაშვილი, თავისი „გათვლით“, რომელიც ახლა ბოლო ოცწლეულის ერთერთ საუკეთესო რომანად მიმაჩნია რეგიონალური მასშტაბით. მაშინ კიდევ, კარგად მახსოვს, როგორ დასანახავად ვერ ვიტანდი ამ გოგოს. მოკლედ, პირველმა წაგებამ ისე იმოქმედა, რომ მას შემდეგ აღარც გამიხედია პოეზიისკენ. მერე იყო „მესამე ნაპირი“, როდესაც უკვე საკმაო მებადა გამოცდილებაც და სარდონიკული შტრიხებიც ხასიათში, ასე რომ, „საბაზე“ წაგებას მისხალი არ მოუკლია ჩემი თვითშეფასების სკალისთვის. უბრალოდ, გული ჩამწყდა, რადგან იმ პერიოდში ძალიან მჭირდებოდა 4000 ლარი და „მესამე ნაპირს“ კიდევ, ობიექტურად და აბსოლუტური ასპროცენტიანი სიმტკიცით და უყოყმანოდ — ეკუთვნოდა პრემია, თუმცა წავაგე. სამაგიეროდ, ამასობაში იმასაც კარგად მივხვდი, რომ წაგება უფრო მრგებს, ვიდრე მოგება, და სულ არ მომსვლია გული ჟიურის წევრებზე, პირიქით, ახლაც ძალიან ვაფასებ და მიყვარს ისინი. მოკლედ, მესამე „საბას“ და ჩემს გამარჯვებას „სად ხარ, ლაზარეთი“ უკვე ისეთი განწყობით დავხვდი, რომ სიცილს ძლივს ვიკავებდი ამ ტაშზე და აურზაურზე — აესე, ფილოსოფიურად. თუმცა ჟიურის წევრების უღრმესი მადლობელი ვარ, რათქმაუნდა, რამეთუ, როგორც ყოველთვის, სასიცოცხლოდ მჭირდებოდა საპრიზო თანხა.

— პოეზიით დაიწყე. პოეტური კრებული — „ღმერთი ჩემი, მოხეტიალე“ — 2011 წელს გამოსცა „კავკასიურმა სახლმა“. დიდხანს წერდი ლექსებს?

— სიმართლე გითხრა, ვერც წარმოვიდგენდი, თუ ოდესმე პოეზიიდან პროზაში გადმოვინაცვლებდი, იმდენად კომფორტულად ვგრძნობდი თავს პოეტის ამპლუაში და კაიხანსაც მივყოფდი ხელს ლექსების წერას, ბოლოს რომ არ მივმხვდარიყავი, რომ სწორედ კომფორტის საწინააღმდეგო პოლუსს ეწოდება პოეზია. ამავდროულად, იმასაც ვგრძნობდი, რომ სულიერად კარგად ვექვემდებარებოდი განვითარებას ამ სფეროში, ვუახლოვდებოდი რაღაც ნაღდს და დიდს და შევშინდი. დავფრთხი, როცა მივხვდი, რომ თუ გინდა ნაღდი ლექსები წერო, უნდა იცხოვრო კიდეც როგორც პოეტმა, რომ უნდა მიაღწიო და შეინარჩუნო გარკვეული სულიერი რანგი და დამოკიდებულება სამყაროსადმი და ადამიანებისადმი ჰოდა, ამ ყველაფერმა, ამ მსხვერპლის მოთხოვნამ და გაღებამ დამაფრთხო. პროზაში შედარებით იოლადაა საქმე, მასალების მოძიება და ფორმაცია იმდენ სულიერ ძალას და მსხვერპლს არ მოითხოვს, რამდენსაც პოეზია. თუმცა, მე ყოველთვის და ყველგან შევეცდები, ავარიდო ჩემთვის ძვირფასი ადამიანები მწერლობას და პოეტობას, რადგან წყევლაა-მეთქი ორივე, რომლის არიდებაც შესაძლებელია, სანამ ამის მიხვედრის კონდიციამდე მივა კაცი. მერმე კი უკვე პიზდეც. ვეღარ აღწევ თავს. უკვე მარტო შენ აღარ გეკუთვნის შენი თავი და ნებელობა, და ვისაც ეკუთვნის, იქ, ზემოთ, კეთილთან ერთად, ჩათლახი ვინმეა, და ჯილდო უფრო ენანება შენთვის, ვიდრე სასჯელი. ასე რომ, ლიტერატურისკენ მიდრეკილ თინეიჯერებს იმავეს მოვახსენებ დაჟინებით, რასაც საკუთარ თავს ვამუნათებ: ჯობია, პროფესიონალი მკითხველი იყო, ვიდრე პროფესიონალი მწერალი.

— ნუთუ იმდენად იოლადაა პროზაში საქმე, როგორც ამბობ, რომ „ეს ქვეყანა სამოთხეა პროზაიკოსებისთვის“?

— ჩვენს დროებას, ვითარებას, გარემოს თუ ასე მშრალად, პროფესიული კუთხით მივუდგებით — სწორედ რომ სამოთხეა. ყოველდღე ვხედავ და ვისმენ ისეთებს, ყოველდღე ვაწყდები ისეთ მოვლენებს თუ ხალხს, საიდანაც კარგი პროზაიკოსი მთელი ცხოვრების სამყოფ ზღვა მასალას გამოწურავდა. მაგრამ, რატომღაც, დაკვირვებული ვარ, რომ მიუხედავად ამისა, ქართული მწერლობა მაინც წარსულისკენაა მიდრეკილი. თითქმის არ შემხვედრია დროის და ვითარების ადეკვატური ტექსტი, გნებავთ სტილისტურად და გნებავთ კომპოზიციურად, და ამაში ვხედავ არა უნიჭობას, არამედ უფრო უძალობას, რაღაც გაურკვეველ ქვეცნობიერ შიშს რეალობის და დროის მოცემული მედინობის მიმართ, ზოგადეროვნულ შიშს, როგორც თვისებას... სწორედ ამიტომ ვთვლი და ვიმეორებ ყველა ინტერვიუში, რომ „თანამედროვე ქართული ლიტერატურა“, როგორც ასეთი, როგორც მოვლენა, ჯერ მხოლოდ ტერმინის სახით თუ არსებობს და მიუხედავად შიგადაშიგ საზღვარგარეთ გაჭრისა, მაინც ლოკალურ და პროვინციულ ხასიათს ატარებს. ეს, რათქმაუნდა, მთლიანობაში, ზოგადად ვთქვი. მეგულება ერთი-ორი უფრო დიდი მასშტაბის თანამედროვე ქართველი მწერალი, მაგრამ ეს მთლიან სურათს არ აუმჯობესებს ჯერჯერობით.

— ადრე „მესამე ნაპირთან“ დაკავშირებით ვრცელი ინტერვიუ გვქონდა, ამიტომ ამ რომანზე დიდხანს აღარ შევჩერდები, თუმცა მინდა ვთქვა, რომ მის მიმართ ინტერესი სულ უფრო იზრდება, ახლახან გერმანულ ენაზე ითარგმნა და გამომცემლობა „კლაკმა“ გამოსცა. როგორ ხედავ ევროპელ მკითხველს შენს ნაპირებზე, მესამე ნაპირზე?

— ამ რომანის დაწერიდან კი არის უკვე გასული იმდენი ჟამი, რომ საკუთარ თავს უფლება მივცე და ჩემივე ტექსტი ვაქო თუ ვაკრიტიკო, როგორც რიგითმა მკითხველმა, და მგონი, კომპეტენტურმა ლიტერატორმაც. ძალიან კარგად ვხედავ ამ გადმოსახედიდან უამრავ მინუსს, მაგრამ იმასაც ნათლად ვხედავ, რომ ერთერთი საუკეთესო კომპოზიციის შექმნა მოვახერხე ბოლო წლების რეგიონალურ პროზაში, და მის ერთერთ მთავარ ღირსებად სწორედ ინტერნაციონალურობა მიმაჩნია, თემატურადაც და სტილისტურადაც. აქედან გამომდინარე, მშვენივრად ვხედავ „მესამე ნაპირს“ მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის მკითხველის ხელში. მთავარია, მთარგმნელი სწორად გაუმკლავდეს მის სტილისტურ სპეციფიკას და მორჩა. „მესამე ნაპირის“ გერმანულენოვანი თარგმანის შემთხვევაში, რომლის პრეზენტაციაც ახლა, მარტში, მაქვს, ძალიან გამიმართლა, რადგან უკვე მოაღწია ჩემამდე სერიოზული მასშტაბის გერმანელი ლიტერატორების ქებამ, და დიდი მადლობელი ვარ ჩემი მთარგმნელის და მეგობრის, კატია ვოლტერსის. თუმცა, მაინც მგონია, რომ მთავარი სივრცე ამ რომანს მაინც ინგლისურენოვანი თარგმანით გაეხსნება, და მოუთმენლად ველი შემოთავაზებებს.

— მგონია, შენი პროზის განსაკუთრებულობა არის ენაში (არ ვიცი, როგორ შეიძლება მოახერხოს მწერალმა, სკაბრეზულ, თითქოს ძალიან ვულგარულ მეტყველებას შეუნარჩუნოს ბუნებრიობა და იმავე დროს, აქციოს მხატვრულ, ღირებულ ტექსტად). ასევე ძალიან მნიშვნელოვანი მგონია მისი თემატიკა, ამბები, რომელსაც ყვები და დიდი ნაწარმოების, დიდი რომანის კომპოზიციის, შეკვრის უნარი.

— ბევრს შევუქივარ ამ რომანის დინამიკაზე და მოსახერხებელ და თავისუფალ მედინობაზე, და ძალიანაც მომწონს კომპლიმენტები, რომ არ მოვიტყუო, მაგრამ ალბათ პროფესიონალი ლიტერატორი თუ მიმიხვდება, რა ძალისხმევა დავხარჯე, რა ბეწვის ხიდებზე ვიარე, რომ ამ ნაწარმოების მთელი ჭუჭყი, ვულგარულობით და სკაბრეზით დაწყებული, ბარბარიზმებით თუ ნეოლოგიზმებით დამთავრებული, მხატვრულად ღირებულ ფრაზეოლოგიად ამეწყო და შემდგომი, გამოქვეყნებისწინა დაგემოვნებისას ცუდ გემოდ არ დამრჩენოდა პირში —პირველ რიგში, მე, ავტორს, და მერმე მკითხველს, რადგან მკითხველზე მეტად საკუთარი აზრი მაინტერესებს, რომ არ დავმალო, რამეთუ მწერალი ჯერ საკუთარი თავისთვის უნდა წერდეს. რამდენადაც მეტადაა გათვალისწინებული ტექსტში მკითხველი, იმდენად ნაკლები ხარისხის გამოდის ნაწარმოები. მიზანთროპი და მორალისტი მწერალი წყალსაც წაუღია ათასი წელი.

— ვილაპარაკოთ პერსონაჟებზე, სახეებზე, არა მარტო რომანის გმირებზე, არამედ ზოგადად, შენს მოთხრობებში რომ გვხვდება, იმ ხალხზე. რა ტიპაჟებისგან საზრდოობენ ისინი, ვინ არიან, როგორ შეიქმნენ?

— არ მწამს ბუხრის პირას მოგონილი ამბების, თუმცა არც ამ ტიპის მწერლებს ვერჩი, რადგან ვიცი მხოლოდ წარმოსახვის მეოხებით შექმნილი ნაწარმოებები და გარკვეულწილად, მომწონს და პატივს ვცემ ზოგი ასეთი მწერლის შრომას. მაგრამ, მე პირადად, დიდად და ჭეშმარიტად ის ლიტერატურა მიმაჩნია, სადაც,





ეროვნული ბიბლიოთეკა

ტექნიკურ და სტილისტურ სრულყოფილებაზე მეტად, ვგრძნობ სულს, ნაწერის სულს, მის მუსიკას, სისხლს, სუნს, მთლიან ორგანიზმს. აესეთი სავსე და მთლიანი კომპოზიციით ვცნობ მწერალს, რომელმაც ზედმიწევნით იცის, რასაც წერს, და სწორედ ასეთ ლიტერატურას ვაფასებ, სწორედ ასე მსურს წერა მეც, მიუხედავად იმისა, რომ დიდ ლიტერატურამდე ჯერ ბევრი მიკლია და ჯერ მხოლოდ მწერლად შედგომის პროცესში ვარ, მაინც ვცდილობ, ასე თუ ისე, ნატურალისტი ვიყო, რაშიც, საბედნიეროდ, დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება და ზღვა მასალაც მიწყობს ხელს, მიუხედავად ჩემი არცთუ ისე ხანშიშესულობისა.

— შენს ფეისბუქგვერდზე წავიკითხე ძალიან საინტერესო რეპლიკა, რომელსაც „ალკოჰოლური სიბრძნე“ დაარქვი — სათაურებს და პერსონაჟის სახელებს თავიანთი მაგია აქვთ ლიტერატურაშიო.

— კიბატონო. სხვათაშორის, ცხოვრებაშიც ასეა. იმიტომ მიმაჩნია დიდ შეცდომად, წინაპრების სახელებს რომ არქმევენ შვილებს. ვიღაცის ცხოვრებას და ბედისწერას რომ აჰკიდებენ ხოლმე ახალდაბადებულ ბავშვს, და ამით უკვე წინასწარ საზღვრავენ, მიმართულებას აძლევენ თითქოს მის ცხოვრებას. ვიცი, ასეთი მსოფლმხედველობით 21-ე საუკუნეში ბევრს სულელი ვეგონები, მაგრამ ასეა — მჯერა მე ბედისწერის და იმის, რომ ჩვენს გარშემო უამრავი ნიშანია. ალბათ ჩემი ასეთი ხედვა იმანაც განაპირობა, რომ ბევრი წელი გამიტარებია ტყეში, ბუნებაში, სადაც არ არსებობს ბარიერი ადამიანს და სამყაროს შორის, და ყველაფერი უფრო თვალსაჩინოდ და ნამდვილად ჩანს და აღიქმება, ვიდრე ამ გაყრუებულ და დახშულ ურბანულ გარემოში. თუმცა იმასაც ვაღიარებ, რომ ვერც ამ თავის მოტყუების გარეშე ვძლებ დიდხანს, რასაც ქალაქი და საზოგადოება წარმოადგენს, თავისი არსით. მოკლედ, ლიტერატურაშიც რაღაც მსგავსი ხდება სახელწოდებებთან დაკავშირებით. უფრო კონკრეტულად ვერ ავხსნი, რამეთუ ამ საკითხში მეც მხოლოდ და მხოლოდ ალღოს ანაბარა გახლავართ.

— კიდევ ერთი სიბრძნე ასეთი იყო: „სტერილურს არც ტექსტს ვენდობი და არც მწერალს“. როგორია სტერილური ტექსტები?

— აქაც იმავე პრობლემასთან გვაქვს საქმე, რაც წეღან ვახსენე. იყო ქართულ მწერლობაში ხანა, როდესაც ენის ეთიკურ ქსოვილს იმდენ ყურადღებას აქცევდნენ, რომ ხშირად, საკუთარივე სიტყვის ოსტატობით ტკბობისას, სათქმელი, ამბავი, მთლიანი კომპოზიცია რჩებოდათ განზე. მაშინ დროება იძლეოდა საშუალებას, რომ მკითხველიც მწერალთან ერთად დამტკბარიყო, მართლაც რომ უნაკლოდ აგებული წინადადებებით და ფრაზებით. ბევრ შემთხვევაში,სახეზე გვქონდა მართლაც შესანიშნავი ნიჭი თხრობისა, მაგრამ, უმეტესად, მდარე და მოსაწყენი, ბანალური ამბავი, წყალწყალა კომპოზიცია. კონკრეტულად მწერლებს არ დავასახელებ. შორს წაგვიყვანსდა ბევრსაც გულს ვატკენ ალბათ, რადგან ქართველებისთვის ძვირფას და საამაყო მწერლებსაც მოვიაზრებ. სწორედ ასეთ ლიტერატურაზეა გაჩვეული თანამედროვე მკითხველიც და ლიტერატორიც, იმდენად, რომ თანამედროვე კრიტიკოსი ხშირად, ისევ და ისევ, წარსულის ტექსტებზე ახდენს კონცენტრირებას და თანამედროვე ტექსტზე დუმს, რამეთუ უბრალოდ არ იცის, რა თქვას. არ იცნობს და ჯიუტად გაურბის, არც უნდა გაიგოს ის მოცემულობა, რასაც თანამედროვე ტექსტი ჰქვია და ის სპეციფიკა, რასაც ეს უკანასკნელი მოითხოვს, რომ არ ჩანდეს ანაქრონიზმად და ბუნებრივად ლავირებდეს თანმდევ სამყაროსთან, ეპოქასთან. ეპოქა კიდევ, სამწუხაროდ, მთელი კაცობრიობის ისტორიაში, ყველაზე ჭუჭყიანი სწორედ ახლაა, და სწორედ რომ ჭეშმარიტად დიდი ნიჭია საჭირო, რომ დროების მოთხოვნებსაც უპასუხო და ამავდროულად, ენის, სიტყვის, წინადადების მოქნილობაც არ დაკარგო. ეს მოთხოვნები დგას ახლა მწერლის წინაშე და ესე ყოველი, სამწუხაროდ, ხშირად გამორიცხავს ეთიკურ თუ ცენზურულ ნორმებს. სწორედ ამ ჭუჭყის და ნაგვის მაღალმხატვრული ღირებულების მქონე ტექსტად ქცევაა თანამედროვე მწერლის უძნელესი ფუნქცია, ჩემი აზრით, რაც, კიდევ ვიმეორებ, უმეტეს შემთხვევაში, გამორიცხავს სტერილურობას, მწერლისაც და ტექსტისაც, რადგან მწერალმა თუ არ იცის, რა არის ჭუჭყი, ის მასზე ვერ დაწერს უბრალოდ და მშვიდად. სწორედ „ბინძური“ თემებისადმი ისტერიული დამოკიდებულებით, ისტერიული დეტალიზაციით — წერის მანერით თუ ლექსიკით იცნობა ტექსტში არაკომპეტენტური მწერალი. ანუ, რაც არ იცი, ჯობს, შეეშვა, მოკლედ რომ ვთქვა.

— ელექტრონული წიგნი „სად ხარ, ლაზარე“, რომელმაც მორიგი წარმატება მოგიტანა, მოთხრობების კრებულია. მოთხრობების წერა და რომანზე მუშაობა რამდენად განსხვავებული საქმეა და რატომ გადახვედი რომანის შემდეგ მოთხრობებზე?

— მარტივი პასუხი მაქვს: რომანიდან რომანამდე ალბათ, ძალიან გამიჭირდება მატერიალურად, თუმცა არც რომანებში მიხდიან მილიონებს, ამიტომ ვწერ დროდადრო მოკლე პროზას, ხშირ-ხშირი ჰონორარის ეშხით. ბევრ ჩემს მოთხრობაზე მაინცდამაინც დიდი ძალისხმევა არ დამჭირვებია, რადგან ძველ ლექსებს გადავხედე, რომელთა ერთერთი მახასიათებელი სწორედ მეტისმეტი პროზაულობა გახლდათ და მშვენივრადაც ვისარგებლე ამით — გადავაკეთე პროზად, და კარგიც ვქენი — უფრო მოუხდა. ამას გარდა, ზოგიერთმა რამდენიმე ლიტერატურული კონკურსიც მოიგო და შემეხიდა ძალიან. „საბას“ კონკურსზე განაცხადების მიღების დამთავრებამდე სულ რაღაც ორიოდე საათით ადრე გამიელვა თავში, რომ შეიძლებოდა ეს ყველაფერი ელ-წიგნად შემეკრა და ასეც მოვიქეცი: შევკარი და დავაფიქსირე მოთხრობების კრებულად და წამებში მოვასწარი კონკურსზე შეტანა. საბედნიეროდ, გამიმართლა და მოვიგე „საბა“. თან, ერთგვარი ვარჯიში და მოთელვაც არის ჩემთვის მოკლე პროზა, რომანამდე რომ არ მოვდუნდე, სტილისტიკაც დავხვეწო გზადაგზა. ახალ რომანს კიდევ შევუდგები ალბათ მალე.

— წავიკითხე, რილკეს „სონეტები ორფევსისადმის“ ერთ-ერთ სონეტზე წერდი — ამ ლექსმა ბევრი თავზეხელაღებული და მშვენიერი ამბავი ჩამადენინაო. ასეთი მკითხველი ხარ? ასე მოქმედებს სიტყვები? კიდევ რა ნაწარმოებები, ან რომელი ავტორები გიყვარს ზემოქმედების ამ დიდი უნარის გამო?

— აბსოლუტურად ყველა ხარისხის ტექსტს, რასაც ქვია, ვჭამ, რაც ხელში ჩამივარდება. რადგან, ზოგადად, კითხვის პროცესია ჩემი სულიერი მოთხოვნილება. დროდადრო ჩამივარდება ხოლმე ხელში კარგი წიგნიც და განვიცდი ლიტერატურულ ორგაზმებს. უამრავი კარგი ავტორი მეგულება, ვერ ჩამოვთვლი. ძალიან მიყვარს იაპონური, სკანდინავიური პროზა. ამერიკულმა პროზამაც დიდი როლი ითამაშა ჩემს მწერლად ჩამოყალიბებაში — სტილისტიკა განაპირობა გარკვეულწილად. ქართველებშიც მყავს საყვარელი ავტორები, კარგი ავტორები და მოუთმენლად ველი მათ კიდევ უფრო წინსვლას და განვითარებას, რადგან კარგ მწერლებზე მეტად კარგად განვითარებად მწერლებს ვცემ პატივს, ასეთები კი ქართველებს გვყავს ერთი ხელის თითებზე ჩამოსათვლელნი. უმეტესი კარგი მწერალი, ვინც ვიცი, როგორც წესი, ერთ გარკვეულ კონდიციას და კონსერვირებას სჯერდება, და ასეთებს, რაც უნდა ძლიერი ტექსტებით იყვნენ წარმოდგენილი, არ ვთვლი მწერლებად. ბევრ ჩვენთვის საყვარელ ავტორს ეხება ეს. უმეტესად, ახალგაზრდა ავტორების იმედი მაქვს და ვეძებ და შეძლებისდაგვარად, ვეხმარები, თუ დავჭირდი რამეში.

— ლუკრეციო ბაქანიძეზე, „დიდ ქვეითზე“, კოცონების მოყვარულ მოლაშქრეზე, მეთევზეზე მომიყევი. მის ცხოვრებაზე, ტექსტების გარეთ.

— რა გითხრა, აბა. ისევ ისე დავბოდიალებ ყველგან მთვრალი, სადაც გამეხედება და ვცდილობ, რომ შინაგანი სილაღე არ დავკარგო და მოვუფრთხილდე, როგორც ჩემს მთავარ განძს. ჯერ-ჯერობით გამომდის, მიუხედავად უამრავი, ერთი შეხედვით, გადაულახავი წინაღობების და პრობლემებისა. ადამიანად ყოფნას ვცდილობ, მოკლედ.

ესაუბრა თამარ ჟურული



ზაზა ბიბილაშვილი

პოეზია, დანარჩენი ლიტერატურა, და დანარჩენი

2017

*

სქესი ხომ სიცოცხლის გაგრძელებას ემსახურება. ამიტომ ვიზიდავთ ერთმანეთს ქალები და კაცები. მაგრამ თუ ეს ასეა (და ალბათ ეს ასეა), რატომ არის დახვეწილი სხეული იშვიათი, რატომ არის კარგი ცოტა, ანუ რატომ არის ცოტა ისეთი, როგორიც მოგვწონს, გვიყვარს, ყველაზე მეტად გვიზიდავს და აღგვაგზნებს?

*

ისე ძალიან მიყვარხარ, რომ ზოგჯერ მგონია, მართლა მიყვარხარ.

*

„მეც მიყვარხარ“.

სამწუხაროდ, შესაძლებელია, შენ მიერ წარმოთქმული ეს ფრაზა იმას კი არ გულისხმობდეს, რომ მასაც უყვარხარ, არამედ იმას, რომ, შენს გარდა, სხვასაც უყვარს.

*

უძილობამ ან ცუდმა ძილმა იცის: თითქოს თავში რაღაც არსებები ფუთფუთებენ, თითქოს უხმო ბგერებით გამოთქმული შორისდებულები, დაუმთავრებელი სიტყვები და წყვეტილი ფრაზებიც ენაცვლება ერთმანეთს, თითქოს უსასრულო აყალმაყალის სცენაა, რომელსაც ხმა იმ ზღვრამდე ჩაუწიეს, რომ ზუსტად ვეღარც ხვდები, მისი ხმოვანი ფრაგმენტები გესმის თუ გეჩვენება (სისხლძარღვებისა და გადაღლილი ნეირონების ბჟუილი კიდევ სხვა რამეა, ალბათ)...

მგონი, იმ სიზმრებზე ვლაპარაკობ, რომლებიც ვერ განხორციელდნენ, ვერ გაიშალნენ, ვერ განვითარდნენ და ახლა თავში გამომწყვდეულები ფუთფუთებენ, ჯუჯღუნებენ, ხმიანობენ და ვერც ხმიანობენ...

*

კარგია, რომ ადამიანი სხვას იმაზე მეტს სთხოვს, ვიდრე — საკუთარ თავს, სხვას მაინც არ პატიობს იმას, რასაც საკუთარ თავს აპატიებდა.

სხვანაირად ხომ თითქმის ყველა ცოდვა და დანაშაული საყოველთაოდ ნებადართული იქნებოდა.

*

ვინც მეტყვის, რომ მთაწმინდაზე დაუმსახურებელი დაკრძალვის გაქილიკება არ შეიძლება, მე ვუპასუხებ, რომ მისთვის წმინდა არაფერი არსებობს.

*

უამრავ რამეს სწავლობ ამ კრეატიულ სამსახურებში; ყველაზე ბოლოს იმასაც კი, რომ დაუფიქრებლად გააკეთო ზუსტად ისე, როგორც უფროსს უნდა.

*

ასეთების დახასიათებისას არ ღირს, მოცდე ისეთი ტერმინების გახსენება-შერჩევაზე, როგორებიცაა ცალმხრივი მეგობრობა, ცალმხრივი სიყვარული, ცალმხრივი შეფასება, ცალმხრივი კრიტიკა და ა. შ. უბრალოდ, თქვი: ცალმხრივი ადამიანი.

*

ნონკონფორმიზმი — წინდახედული კონფორმიზმი.

*

არ ვცდილობთ, მართლები ვიყოთ. მართლები ხომ ისედაც ვართ.

*

არაფერზე მაღლა დადგომა არ გინდათ. ისე გინდათ, მაღლიდან გვიყურეთ.

*

ჭკუის დარიგება:
ნურავის დაარიგებ ჭკუას.

*

ზოგი თაფლის ბუზია, ზოგი — განავლის, ზოგიც — სულ სხვა — ჭრილობის.

*

კომიკური მდგომარეობაა: ყოვლისშემძლეა და ყოვლის განმგებელი, მის გარეშე თმის ღერიც არავის ჩამოუვარდება თავიდან... მხოლოდ ერთი რამეა ბუნდოვანი: არსებობს თუ არა.

*

ასეთი სიტუაციაა: არსებობისთვის საკმარისია, აზროვნებდე; მაგრამ საკმარისი არ არის, ღმერთი იყო.

*

რწმენასაც ექნება თავისი პლუსები. მაგრამ მაინც მგონია, რომ არასდროს უნდა თქვა უარი აზროვნებაზე, თუ რა თქმა უნდა, საშუალება გაქვს, თანხმობა თქვა.

*

მე მგონი, სრულფასოვნების კომპლექსი უფრო არსებობს, ვიდრე არასრულფასოვნებისა. არასრულფასოვნების განცდას რა დიდი კომპლექსები სჭირდება. განა ვინ არის სრულფასოვანი. ან თუნდაც, რა არის სრულფასოვნება.

*

აბსოლუტური მარტოობა იმდენად ძნელი არ არის, რამდენადაც — შეუძლებელი.

*

გამოქვაბულში შეყუჟვა კარგია, მაგრამ ჯერ იქიდან შიმშილი, სიცივე, პატივმოყვარეობა და კიდევ ათასი დოზანა უნდა გამოდევნო.

*

უთქმელი იყოო. არაფერს ამბობდაო.

ვინ უსმენს ხოლმე, თორემ იქნებ ამბობენ კიდეც.

*

ახალგაზრდობაში ლამის შესაძლებელია, ბედნიერი იყო.

სიბერეში ლამის შეუძლებელია, უბედური იყო.

*

ადამიანის ცხოვრებას ისე არაფერი ცვლის, როგორც სიკვდილი.

*

ჯობია, ყველაფერს იუმორით შეხედო; მათ შორის, იუმორსაც.

*

აქ რომ მედგა მარგალიტის გორები, ხომ არ იცით, ვინ შეჭამდა?

ამირ ორი

წინასწარმეტყველება განკრთომილის

1
ამენ გეტყვით მე თქვენ,
ყოველთა მათ
რომელი არა განისყიდა და სხვა რამ სესხი
არა არს ვისი სულისათვის
გარნა სიყმილის მომტანისა.
ყოველთ მჭმუნვარეთ
ამისთვის რამეთუ განსუქნა ქვეყანა და ენა წაუხდა
ესდენ რომელ აღარ შესწევთ მისთა მკვიდრთა
ავ-კარგის ცნობა.

ამენ გეტყვით მე თქვენ,
რომელნი მოუწოდებთ მამათა და
წინაპართა ღმრთეებათ
წიგნის სახლიდან უწიგნოდან, სპიდან, საგუშაგოდან,
შესაკრებლიდან, ზარაფხანიდან,
სასვენებლიდან და გულიდან ამოქმნილიდან
და მოპასუხე არავინაა.

ამენ გეტყვით მე თქვენ,
ვინც მოთავისედ აქციეთ კაცი:
ხორცი ხორცისთვის, მძორი მძორთან.
რამეთუ რასაცა მოიღებთ ხელითა, არა განუტევებთ,
ფუცხვით აღებულს, ანუ ხილულს სახედველთაგან,
გინა მოყვასის ხორცი იყოს
ნთქამთ განხეთქამდე,
და თქვენს მზერაში განყინულში უძღებებაა.
და განძარცვავენ და დაიპყრობენ
თქვენს სახლ-კარს ავაზაკნი,
ღმერთის შესხმაა მათ ბაგეზე და ერის დიდება
და სისხლი მათ მარჯვენაზე.
ამიერ ქვეყნის დიდ-დიდთ ვინც მიეყიდეთ,
რომელთ დაუბრმნეს თვალნი ძეთ თქვენთა
რათა თაყვანის-სცემდნენ ოქროს და განიძღონ
ამაოებით გულნი,
არა დააგდონ ვიდრე ავ-კარგის ცნობა
ვითარ პირუტყვმა, ბაგაზედ ბმულმა.

რომელთ ომნი აღაგზნეს და ძენი თქვენნი
სიკვდიდ წარგზავნეს,
რომელთ ბეგარი დაგადეს და დაშვრომა გაიძულეს
კეთილისა თვისისათვის,
რომელთ მოიძულეს ახალმოშენენი,
რომელთ პირიდან მოწყალების თაფლი გარდამოსდით
და შეცოდებანი თვისნი პირისაგან ნათელისა დაუფარავთ,
რომელნი სიწმიდეში იბანენ ხელთა თვისთა
ხოლო გულსა შინა მათსა მძრომელნი ჰგიან.

2
ამენ გეტყვით მე თქვენ, ამენ რღვევას და მსჯავრს.
ხელითა თქვენით რღვევა ესე,
გულისა თქვენის ესე მსჯავრი
რომელი სულსა თქვენსა ზედა აღგიბეჭდავთ,
რომელს ელოდით მარადღე და რომელ მოდგება:
ნელიად იგი მოიწევა
ნაპრალთ შემსჭვალვით, ჩრდილოთ შორის,
კიდეთა შიდა სახედველთა,
ჩასწვრივ ნახეთქთა გულისათა
და წუხილშია მისი დასაბამი
და ცოდვის კითხვაა მისი ბოლო.

ამენ გეტყვით მე თქვენ
სულს ჰრქვა ვინცა თვისას
ვითარმედ შესწევს ჯერეთ თქვენს ხელთ ძალი
გულთა თქვენთა ზღუდისა დასარღვევად
ნაღვარევისთვის
თუნდა სისხლისა.

ამენ-მეთქი გეტყვით თქვენ,
აუმღვრეველ არს ვისი გამოღვიძება.
ვინცა საკუთარ სულს ეტყვის ამენ,
ვინცა შუბლიდან წარიხოცავს, დაბეჭდილს მასზედ,
სადაურობის, სამკვიდრებლის, გარდახდის ძლების
და საფლავის ყოველსავე დამამტკიცებელს
დაე, ჰქონოდეს ხელში ამისთვის ძალი
და სახელ-ედვას კვალად
ადამეანი.

3
ამენ, ამენ-მეთქი გეტყვით თქვენ,
მე ვარ სახლი,
მე ვარ სხეული და სოფელი.
რამეთუ პირველ ხორცი გემოსათ,
და თქვენი თქმული ემოსა სოფელს.
და ხორცსა ზედა თქვენსა სამოსი მოიყვანეთ,
მიწაზე სახლი,
და სახლსა შინა მყოფი დაივიწყეთ
და ბნელსა სხედით.

ამენ-მეთქი გეტყვით,
და არა სდუმდეთ:
გადაიგორეთ ქვა ბაგიდან
და განაცხადეთ გული, ცოცხალ არს ვიდრე.
რამეთუ სულმოკლეს
ნაქონიც მოაკლდება,
ხოლო სულმაღალს
შეემატება უფროის.

არ მოხვიდე აქედან

მოხვალ კი ჩემთან? გავიხარებ შენთან შეხვედრით?
იქცევა კარი
სამოთხის კარად? ეტყვის კი კვლავაც სამი ცეცხლი
შენს სახეს სალამს,

გაირჩევა კი სახელები მათი ჯერ კიდევ?
ცეცხლი-გული,
ცეცხლი-თავი, ფეხებშუა ცეცხლი? შენი სახე
არის კი შეშა ახლა მათთვის,
უკვდავია ნეტავ მათსავით?
ნეტავ მარადის ენთებიან ცეცხლნი მარადნი?

არ დამწვარან კი ფარვანები? ნუთუ არიან
სუნთქვასავით გახურებულნი, პურის დამნთქმელი

ცეცხლივით მუცლის? ნუთუ გნახავ ჩემ წინ მჯდომარეს?
ჩემო ნანატრო, საყვარელო, კითხვის ნიშანო ჩემო!
ცის დასავლიდან

ცის დასავლამდე საიქიოთი აღსავსეა ჩემი მუცელი.
გზა სად იწყება,
მიმართულების უქონელი, თოკი სად ბოლოვდება,

თვით რომ არის მთლიანად ბოლო? და იქ ვინ მიდის,
მაშინაც კი როდესაც ვრჩები?
ორი კამარის გარდა, გარდა მათ შორის ჩაღრმავების,
ლავიწს ზემოთ

ფერდობის გარდა, რას ამოაქვს
გაბმით ძახილი გულმკერდიდან: მოდი! ნუ მოხვალ!
და კიდევ ერთი აიჭრება მაღლა სტრიქონი,
ხატს რომ შეეხოს,
მაგრამ არც იქ არა ხარ შენ ჯერ.
ჩვენ ერთმანეთს არ ვიცნობთ. ჩვენ ჯერ

ბედნიერების ფასი ვიცით. რაა ბედნიერება!
ჩუმი სამსხვერპლო ცეცხლი,
დამწველი ჩვენი სახეების, და სიცხოველე,

აღმვსები ჩვენი შიგნეულის.
ჯერჯერობით შენ მხოლოდ „გარეთ
სიბნელე ყინავს“ გახსოვს. მერე კი

ცხება. კვამლია, რაღაც იწვის, და დავივსებით,
თუ არ შევწყვეტთ.
ნაცვლად ამისა ჩვენ შორიდან ოფლი გადაგვდის,

მაგრამ არა მღელვარებისგან.
ვიქნევთ გაზეთს, წერილს,
ჰაერის მსუბუქ დაქროლას ვქმნით
და სარკმელს ვაღებთ

ღამის სიცივის შესასუნთქავად. გვიანია.
შინ დაბრუნდეს
უნდა ერთ-ერთი, და უკნიდან კვლავ მოისმის
„მოდი!“, „ნუ მოხვალ!“,

და ვხვდებით: მოდი, როცა არ მოხვალ.
ხვალ ტკივილი დაინახება
სილაში, სადაც დამბრუნებლის ნატერფალია.

ვხშავ ყოველივე ამის ნაცვლად კარს და ვხსნი კედელს
და ვწერ ჩემს კარზე: არ მოხვიდე ხოლმე აქედან,
მუდამ იქიდან მოდი ხოლმე.

მოწმის ჩვენება

რვა წლის ბიჭის (რომელიც არ ჩანს)
ორმოცდაათიოდე წლის მამა,
სიტყვებისაგან ლექსების შემდგენი,
ყვარებული, შეჯავრებული (რაც არა ჩანს),
მთლიანობაში საკმაოდ ველური არსება, აი
სულის წყლულები, ურჩობა, ტუჩები
მეტად მგრძნობიარე, თვალები დაკვირვებული
(რაც ჩანს), და არსებითად
სარკეში იმაზე არაღრმად ჩაკეტილი ანარეკლი,
რაც შიგ არ არის.
ეს ორგანზომილებიანი საბუთია,
ძებნილის გამოსახულების ჩარჩო.
რაღაც პორტრეტი წუთით გამოკრთის აქ
სულის სიღრმიდან;
საკუთრივ სული?
რა შემიძლია გითხრათ მის თაობაზე,
რაც ჯერ არ იცით?
აი პატარა ხორბლის ღერო, არარადან ამოზრდილი,
აი დანა,
ერთიანიდან ის რომ ამოჭრა.

ზოგნი ამბობენ

ზოგნი ამბობენ, რომ, მიუხედავად
სხვა რამის შეძლების, ცხოვრება გრძელდება;
დაპყრობააო ის, ამის მთქმელებიც არსებობენ;
აგრეთვე — ისინი,
ვინც აიგივებს მას არყოფნასთან; და ისეთებიც,
ვისი თქმითაც
ცხოვრება გვეძლევა იმათ სამსახურში დგომისთვის,

ვისი ცხოვრებაც — ცხოვრება არაა. მე ვამბობ: შენ.
და ეს ადვილად ახსნადია: ღამე კვლავაც ბურავს

სარკეებს. სახლში ლამპრები ანთია. სინათლეზეც კი
არც რამ მზერა,
გარდა სარკიდან მომდინარე ერთადერთისა,
მაგრამ ჩემი, მისი მაცქერლის,

არავინაა მაცქერალი; და არ შეიცავს იგი შვებას
უსინანულოს, და სიცოცხლეა მასში,
არა სიკვდილი. და მე გავდივარ სიცხიდან, სუსხიდან,
ღამე მეხვევა,

და მენატრება, ვინც საკუთარი თავის
მხედავს შემხებელს.
სხვა არაფერი — მხოლოდ ეს მახსოვს.

თარგმნა ნიკა ჯორჯანელმა

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო
საქართველოს მწერალთა სახლი

რედაქტორი **ირაკლი ჯავახაძე**
რედაქტორის მოადგილე **უჩა შერაზადიშვილი**
ჟურნალისტი **თამარ ჟურული**

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940
9 772346 794004